

178

*Handwritten text in Georgian script*

243



ISSN 0868-4537

საქართველოს  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

1999

# სამართალი

პრაქტიკა ● მეცნიერება ● უპუბლიცისტიკა

3

1999

IUS  
TBILISI GEORGIA



# საპარტიო

საქართველოს  
რევოლუციური  
პარტიის ცენტრალური  
კომიტეტი

88

## საგეგმარო-პრაქტიკული შურნალი

### № 3 1999

აგვისტოს 1999 წლის

მაისი-ივნისი

### პრაქტიკა • გეგმარება • კუბლიცისტიკა

#### სარედაქციო კოლეგია:

- ჯანლათ ხაიბაშვილი
- ვლადიმერ ბაკათაშვილი
- ზენა ბაქაშვილი
- (მთ. რედაქტორის მოადგილე)
- ნინო ბურჯანაძე
- ოთარ ბაშაძე
- ავთანდილ მანუჩარაშვილი
- ბასილია ზომი
- გივი ინჟინაძე
- მედი ლეკვეიშვილი
- მოდარ ნიჭიერი
- თაქელო ნინია
- ნუგზარ საჯიან
- გიორგი ტყეშელაშვილი
- მინია უგრაძე
- როსინა უგრაძე
- ნანა ბიჭვაძე
- ლევან მანუჩარაშვილი

შურნალის დამფუძნებლები არიან: შურნალ „სამართლის“ რედაქცია, საქართველოს იურისტთა კავშირი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა,

#### შპს-ს საპარტიო-საგეგმარო

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შეხამდია არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მახაღები, რამელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვარდეთ მისამართი: 880048, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.  
ტელ.: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01.

შურნალი რეგისტრირებულია თბილისის შტაფმინდის რაიონის სასამართლოში. რეგისტრაციის ნომერია — 4/9-52.

#### შპს-ს სახელმძღვანელო.

**საღვთისმშობლის თემა**

ნაირა თაქთაქიშვილი — თავშესაფრის უფლება

ზურაბ დუჭაშვილი — სიტყვის თავისუფლება, როგორც პიროვნების თავისუფლების შემადგენელი ნაწილი

პაპარაციზმის სოციალური და ფსიქოლოგიური საყრდენები

**სამოქალაქო სამართალი**

ზვიად გაბისონია — უკხოთური ინვესტიციების სამართლებრივი ბაზის შესახებ

თეა ბრეგვაძე — „საქორწინო ხელშეკრულება“ — მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების საფუძველები

**სისხლის სამართალი**

აზირან კომახიძე — ვერსიების შედგენის და საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვის თავისებურებანი საზღვაო პორტიდან სახელმწიფო ქონების დატაცების საქმეთა გამოძიების დროს

გიორგი ჯანაშია — ძალადობითი დანაშაულობის შემეცნების საკითხი

როინ კაპანაძე — ხმის ჩაწერის არსი და მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში

თამარ იასეშვილი — სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დაუშვებლობა

ლამა ლალიძე — ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ცნება, საფუძველი, მიზნები და ამოცანები

**წინადადება**

გივი ყვარელაშვილი — სასჯელაღსრულების სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი

სარეაბილიტაციო ცენტრის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა

**რელიგია და სამართალი**

ჭეთევან საგინაშვილი — სასჯელთა სისტემა საეკლესიო სამართალში

**სამართლის ისტორია**

აპოლონ კალანდია — ძველი კოლხეთის დეკრეტები (ეპიგრაფიკული მასალები ბის მიხედვით)

ლალი გაბისონია — საქორწინო-საოჯახო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

ნინო ცნობილაძე — ვაჟა-ფშაველა და ფშავე-ხევსურეთში გავრცელებული სამართალი

**ეტიუდები ქართული კულტურის ისტორიიდან**

გიორგი ნადარეიშვილი — „ხელის“ უძველესი მნიშვნელობის ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“

**ღვაწლი**

ოთარ გამყრელიძე, მზია ლეკვიშვილი, მინდია უგრეხელიძე — რწმენა მისი სიცოცხლის მძლავრი სტიმული და გარანტია

**ხსოვნა**

მინდია უგრეხელიძე — ზურაბ რატიანი

რედაქციის მისამართი: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 30.  
ტელ. 99 02 45, 93 41 50, 99 51 01

გადაეცა წარმოებას 22.04.99 წ., ხელმოწერილია დასაბუჟდად 5.07.99 წ.,  
ფორმატი 70X108<sup>1/16</sup>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 517. ტირაჟი 490.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „სამშობლო“,  
თბილისი-380096, მერაბ კოსტავას 14



ინტენციური პოლიტიკის მიზანმიმართული განხორციელება. ინტენციური პოლიტიკის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს ინტენციური პოლიტიკის განხორციელებას. ინტენციური პოლიტიკის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს ინტენციური პოლიტიკის განხორციელებას.

**ნაიკა თავთაიშვილი**

ინტენციური პოლიტიკის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს ინტენციური პოლიტიკის განხორციელებას. ინტენციური პოლიტიკის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს ინტენციური პოლიტიკის განხორციელებას.

**თავთაიშვილის უფლება**

ინტენციური პოლიტიკის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს ინტენციური პოლიტიკის განხორციელებას. ინტენციური პოლიტიკის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს ინტენციური პოლიტიკის განხორციელებას.

ადამიანის უფლებების დარღვევასა და ლტოლვილის ფენომენს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. პოლიტიკური ლტოლვილები საკუთარ ქვეყანას ტოვებენ მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევის უარყოფის გამო. მიგრანტები, არც თუ იშვიათად მიკუთვნებული არიან ლტოლვილებს, რამდენადაც ისინი ტოვებენ საკუთარ ქვეყანას მათი ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული უფლებების დარღვევის გამო. სხვა გადაადგილებული პირები ამას აკეთებენ სტიქიური უბედურების ან ომების შედეგად, როდესაც იქმნება იმგვარი სიტუაცია, როცა შეუძლებელი ხდება საკუთარი უფლებების განხორციელება.

მეორე მხრივ, არსებობენ ადამიანისაგან განუყოფელი ისეთი უფლებები, რომლებიც ყოველთვის თან სდევნენ ამ უკანასკნელს, რომელ ტერიტორიაზეც უნდა იმყოფებოდეს იგი. ლტოლვილების მიმღები ქვეყანა ვალდებულია პატივი სცეს მათ უფლებებს ისევე როგორც ყველა, მის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის კატეგორიებს (უცხოელები, მოქალაქეობის არმქონე პირები).

პირები, რომლებიც ცდილობენ მიიღონ ლტოლვილის სტატუსი, უფლება აქვთ მოითხოვონ, რათა განხილული იქნას მათი თხოვნა. გარდა იმისა, რომ ისინი სარგებლობენ ადამიანისათვის მიკუთვნებული სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლებებით (გამონაკლისების გარდა), მათ გააჩნიათ გარკვეული პრიორიტეტები — სახელმწიფო ვალდებულია დააკმაყოფილოს ისინი მინიმალური საცხოვრებელი პირობებით მაინც, რათა მათ არ დაკარგონ თავიანთი ადამიანური თავმოყვარეობა, ოჯახური ცხოვრების საშუალება.

ერთი სიტყვით, ყოველი სახელმწიფო, რომელიც 1951 წლის კონვენციის მონაწილეა, ვალდებულია თავშესაფარი მისცეს ლტოლვილსა და მის ოჯახს.

თავშესაფრის პრობლემა განსაკუთრებით რთული და წინააღმდეგობრივია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი პუნქტის მე-14 მუხლში აღიარებულია, რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მოძებნოს თავშესაფარი დევნისაგან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და გამოიყენოს ეს თავშესაფარი“. თუმცა, მიუხედავად ამისა, თავშესაფრის უფლება არ იქნა შეტანილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტში. თავშესაფრის პრობლემა, ისევე როგორც ყველა იმიგრაციული საკითხები უშუალო დარეგულირებას საჭიროებს.

სახელმწიფოთა ნაწილი ამჯობინებს არ შემოფარგლონ თავიანთი სუვერენიტეტი ამ სფეროში მიღებული ვალდებულებებით.

საქართველო არ მიერთებია აღნიშნულ კონვენციას. ვფიქრობ, მიზეზი სწორედ ის ვალდებულებებია, რომლებსაც კისრულობს ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფო.

აღნიშნული ვალდებულებები შეიძლება მძიმე იყოს საქართველოსთვის და მის მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისათვის. განვითარებული ძლიერი ეკონომიკისა და პოლიტიკური მდგომარეობის მქონე სახელმწიფოთათვის კონვენციის ვალდებულებების შესრულება, მათი კისრება სირთულე არ არის.

ეკონომიკური მიგრანტების რიცხვი საკმაოდ გაიზარდა და ამის გამო, თავად თავშესაფრის კონცეფცია, შეიძლება უარყოფილიც იქნას.

ისინი, ვინც ეძებენ თავშესაფარს წმინდა პოლიტიკური მიზეზების გამო, ვერ მიიღებენ ლტოლვილის სტატუსს, თუ მათ მიიღებენ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, როგორც ეკონომიკურ მიგრანტებს.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, მოქალაქეობის მიცემა სახელმწიფოს სუვერენული უფლებების გამოხატულება, მისი უმეტესი პრეროგატივაა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მე-15 მუხლში ადგენს ყოველი ადამიანის უფლებას მოქალაქეობაზე, ხოლო შემდგომში აღნიშნავს, რომ ადამიანს თავისუფლად აქვს მოქალაქეობის შეცვლის უფლება. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი ზემოთ აღნიშნულ უფლებას ასე ფართოდ არ იცავს, სამაგიეროდ, მე-3 აქტი ადგენს უფლებებს ბავშვებისათვის: ყოველ ბავშვს აქვს მოქალაქეობის შეძენის უფლება. ეს უფლება შედარებით დაკონკრეტებულია ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-7 და მე-8 მუხლში (ეს უკანასკნელი ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს, მასში მონაწილეობს 130 სახელმწიფო).

კონვენცია უკიდურეს შემთხვევაში მშობლებს თუ არა, ლტოლვილთა შვილებს მაინც აძლევს უფლებას მიიღოს მოქალაქეობა. ამასთან, ეს პროცესი, ე. ი. ნატურალიზაცია და ასიმილაცია ამ უკანასკნელთათვის შედარებით გაიოლებული უნდა იყოს.

ისევე როგორც მოქალაქეობის მიცემის შემთხვევაში, თავშესაფრის მიცემაც სახელმწიფოს განუყოფელი უფლებაა და არაფრით არ უნდა განიხილებოდეს როგორც მეორე სახელმწიფოს სუვერენული უფლების დარღვევად. აღნიშნული პროცედურა, მართალია, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით რეგულირდება, მაგრამ მისი ძირითადი მომწესრიგებელია შიდა სახელმწიფოებრივი ანუ ეროვნული კანონმდებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტით „საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს“.

როდესაც საუბარია თავშესაფრის უფლებაზე, უმრავლეს შემთხვევაში, იგულისხმება სახელმწიფოს მიერ ცალკეული პირებისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების უფლება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფარი სახელმწიფოთა მიერ მიეცემათ არა მხოლოდ პოლიტიკურ მიგრანტებს. კერძოდ, თავშესაფარი მიეცემათ ლტოლვილებსაც. ე. ი. ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირებსაც.

თუ ზოგადად განვსაზღვრავთ, თავშესაფრის უფლება განიხილება, როგორც სახელმწიფოს სუვერენული უფლება, ნება დართოს შემოუშვას და აცხოვროს საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქე, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ქვეყანა.

თავშესაფრის მიცემის საკითხი განუყოფლადაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან, მის სუვერენიტეტთან. აქედან გამომდინარე კონკრეტული სახელმწიფო თავად წყვეტს თავშესაფრის მიცემის საკითხს ცალკეული პირისადმი ან პირთა ჯგუფისადმი. სწორედ სახელმწიფო განსაზღვრავს, ეთანხმება თუ არა მის ინტერესებს ის მიზეზები, რომელთა გამოც კონკრეტულ პირს მოუწია საკუთარი ქვეყნის დატოვება.

აქედან გამომდინარე, ხდება ისიც, რომ ერთი სახელმწიფო თავშესაფარს აძლევს პოლიტიკური მიზეზების გამო საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიიდან გამოქცეულ პირს, ხოლო მეორე სახელმწიფო თავშესაფარს აძლევს, როგორც პოლიტიკურ ისე სისხლის სამართლის დევნის სუბიექტსაც.

მიუხედავად თავშესაფრის უფლებისადმი ასეთი განსხვავებული მიდგომისა, ეს უკანასკნელი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტს, თუ გარკვეული შეზღუდვები თავიდანვე არ არის დათქმული საერთაშორისო ხელშეკრულებაში თავად სახელმწიფოთა მიერ.

საერთაშორისო სამართალში თავშესაფრის უფლების განხილვისას, უპირველესად, გამოიყოფა პოლიტიკური თავშესაფარის უფლება, რომელიც განიხილება როგორც ერთი სახელმწიფოს მიერ რომელიმე პირისათვის ან პირთა ჯგუფისათვის შესაძლებლობის მიცემა თავი შეაფაროს ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე.<sup>1</sup>

მიზეზი თავშესაფრის მოთხოვნისა არის პოლიტიკური მოტივები, რომლის გამოც ეს პირები იდევნებიან საკუთარ სახელმწიფოში. პოლიტიკური მოტივებით დევნაში იგულისხმება არა მარტო პოლიტიკური მოსაზრებები, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რელიგიური რწმენა, მასობრივი ან ეროვნული კუთვნილება და სხვა.

აუცილებელი პირობა, იმისთვის, რომ პირს მიეცეს კონკრეტულ სახელმწიფოში თავშესაფარი, არის თხოვნა (განცხადება), რომელიც ეკუთვნის დაინტერესებულ პირს.

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც პირი, რომელიც იღებს თავშესაფარს, შეიძლება იქცეს აპატრიდად (მოქალაქეობის არმქონე პირად). თუ ადამიანი, რომელმაც მიიღო თავშესაფარი, რჩება საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქედ, ის კარგავს საკუთარი სახელმწიფოს მხრიდან დიპლომატიური დაცვის უფლებას და სარგებლობს სახელშეკრულებო შედეგებით.<sup>2</sup>

იმის თაობაზე დავა, რომ უნდა დარჩეს თუ არა პოლიტიკური მიგრანტი საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქედ, შეიძლება ორი თვალსაზრისით იქნას განხილული.

ადამიანი პოლიტიკურ თავშესაფარს თხოულობს იმის გამო, რომ ვერ ეგუება საკუთარ სახელმწიფოში გაბატონებულ წესებსა და მართვა-გამგე-

1 «Международное право», М., 1987, с. 311.

2 იქვე.

ობის ფორმებს, არ მოსწონს სახელმწიფოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა და მიაჩნია, რომ ეს ფორმა შეიძლება განსხვავებული იყოს დღევანდელი რეალობისაგან. იგი აქტიურად გამოხატავს ამ უკმაყოფილებას და სწორედ ამის გამო იძულებულია დატოვოს საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პოლიტიკური პატიმრის ბედს გაიზიარებს.

რამდენად მიზანშეწონილია ამ შემთხვევაში ადრინდელი მოქალაქეობის დათმობა, ეს დამოკიდებულია პიროვნების შეხედულებაზე, თუ ამ უკანასკნელს მიაჩნია, რომ მისი სახელმწიფო არსებულ კურსს არასოდეს გადაუხვევს და ის ამ სახელმწიფოში ყოველთვის პოლიტიკურად განსხვავებულად მოაზროვნე იქნება. ამ შემთხვევაში სრულიად გამართლებულია მოქალაქეობის დათმობა. მითუმეტეს, რომ სიტუაციის გამოსწორების შემთხვევაში, ანუ მაშინ, როდესაც ეს პირი საკუთარ ტერიტორიაზე შესძლებს დაბრუნებას, მოქალაქეობის აღდგენაზეც შეიძლება იყოს საუბარი.

მეორე შემთხვევაში, პოლიტიკური მიგრანტი ტოვებს თავის სახელმწიფოს ტერიტორიას და მიაჩნია, რომ დღევანდელი, ანუ არსებული რეალობა, გამეფებული პოლიტიკური შეხედულებანი ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ არის ინსპირირებული. იგი ტოვებს თავისი სახელმწიფოს ტერიტორიას იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელზე შეუძლებელია სახელმწიფოს შიგნიდან მოახდინოს ზეგავლენა. იგი იმედოვნებს, რომ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნისას უკეთ შესძლებს მოქმედებას თავისი სახელმწიფოს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, ცხადია, ეს უკანასკნელი არ ტოვებს თავის ადრინდელ მოქალაქეობას.

როგორც საერთოდ არის მიღებული, პოლიტიკურ დამნაშავეებს არ გადასცემენ ხოლმე. თუმცა, ზემოთ აღნიშნული მეორე შემთხვევის გამო, ცალკეული სახელმწიფოები (მაგალითად ბელგია), მიიჩნევენ, რომ ამგვარი პირები საფრთხეს უქმნიან ორ სახელმწიფოს შორის არსებულ ურთიერთობებს, ის შეიძლება საერთაშორისო კონფლიქტის მიზეზიც გახდეს და ამის გამო პოლიტიკური დამნაშავეების გადაცემის მომხრენიც არიან.

თავშესაფრის უფლების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის განვითარების ისტორიასთან. ამ უკანასკნელის შესახებ ცნობები სახელმწიფოთა განვითარების ყველა ეტაპზე მოიპოვება. თუმცა ყოველ ისტორიულ პერიოდში იგი ატარებდა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, შინაარსსა და ფორმას.

თავშესაფრის უფლება უკვე ცნობილი იყო ისეთ უძველეს სახელმწიფოებში, როგორიცაა აფრიკა, საბერძნეთი, რომი, აღმოსავლეთის სახელმწიფოები.

პირი, რომელიც იდევნებოდა საკუთარ სახელმწიფოში ცალკეული მიზეზების გამო, ცდილობდა თავი შეეფარებინა, როგორც თავად ამ სახელმწიფოში, ისევე მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე მონათმფლობელურ ეპოქაში თავშესაფრის უფლება განიხილებოდა ორ ასპექტად — შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხსენებულ ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის შემთხვევით ხასიათს ატარებდნენ, თავშესაფრის უფლება უფრო შიდასახელმწიფოებრივი ფორმით ხორციელდებოდა და უმრავლეს შემთხვევაში მიღებული ჰქონდა რელიგიური ფორმა.



მთელი ამ პერიოდის მანძილზე პოლიტიკური და სისხლის სამართლის დამნაშავენი მკვეთრად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. უფრო მეტიც, სწორედ პოლიტიკურ დევნილებს უბრუნებდნენ მშობლიურ სახელმწიფოს. მხოლოდ, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიდან იწყება დღევანდელი მნიშვნელობით თავშესაფრის ინსტრუქციის ჩამოყალიბების ისტორია.

ყველა ქვეყნის თავისუფლებისათვის დევნილ პოლიტიკურ მოღვაწეებს უფლება მიეცათ თავი შეეფარებინათ საფრანგეთში. მალე ეს პრინციპი აღიარა სხვა სახელმწიფოებმაც.<sup>3</sup>

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში განასხვავებენ ტერიტორიულ და დიპლომატიურ თავშესაფარს.

ტერიტორიული თავშესაფარი საშუალებას აძლევდა პირს ან პირთა ჯგუფს თავი შეეფარებინა პოლიტიკური მოტივებით დევნისაგან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიისათვის.

დიპლომატიური თავშესაფარი აძლევდა უფლებას თავი შეეფარებინა აღნიშნული მოტივით დევნისაგან დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობის ტერიტორიაზე ან უცხოეთის სამხედრო ხომალდზე.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა წესი, რომლის თანახმადაც აიკრძალა დიპლომატიური თავშესაფრის მიცემა, რათა არ გაეუარესებინა ურთიერთობა ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან კონკრეტული სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან. თუმცა აღნიშნული ფორმა ჯერ კიდევ მოქმედებს ლათინური ამერიკის ქვეყნებში

აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს თავშესაფრის უფლება, როგორც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ინსტიტუტი. პირველ შემთხვევაში ხელთა გვაქვს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს არის შიდა, ეროვნული ნორმები, რომლებიც პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საკითხებს არეგულირებს.

თავისთავად თხოვნა პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების თაობაზე არ იწვევს მის ავტომატურ მიღებას.

საერთაშორისო სამართალმა, კერძოდ კი გაეროს მიერ 1967 წელს მიღებულმა დეკლარაციამ „ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ“, განსაზღვრა დებულება, რომლის თანახმადაც თავშესაფარი დევნილს ეძლეოდა ტაძრებში, წმინდა ნივთებთან, მაგალითად, პალესტინაში X საუკუნეში ჩვ. წ. აღ. იერუსალიმის ტაძარი იყო თავშესაფრის მიღების საშუალება. ხელშეუხებლობის მიღებისათვის დევნილი უნდა შესულიყო ტაძარში საკურთხეველთან და ხელით უნდა შეხებოდა სამსხვერპლოს. X საუკუნიდან ებრაელთათვის თავშესაფრის ადგილად იქცა ექვსი ბერძნული და ლეიცი-ნერი ქალაქი და მათ შორის იერუსალიმიც.

საბერძნეთში ხელშეუხებლად ითვლებოდა სხვადასხვა ღმერთების ტაძრები, მათი სტატუეტები, საკურთხეველები, ტაძრის შემოგარენი და მთლიანად ქალაქიც.

რომში ამგვარ ფუნქციას ასრულებდნენ: დიანას, იუპიტერის, რომულის ტაძრები, აგრეთვე ომის ემბლემაც.

ამ პერიოდისათვის თავის საწყისი ფორმით წარმოიშვა თავშესაფრის ტერიტორიული ფორმაც. დღეს იგი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი

3 ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1986, გვ. 350.

ინსტიტუტია და განიხილება, როგორც დევნილისათვის მეორე სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის შეთავაზების ფაქტი.

ტერიტორიული თავშესაფრის ძირი განსხვავებულია რელიგიური თავშესაფრისაგან. საფუძველი მდგომარეობს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს უთანხმოებაში. ამგვარი ფორმით თავშესაფარი ეძლეოდათ როგორც პოლიტიკურ, ისე სისხლის სამართლის დამნაშავეებსაც. თუმცა, თუკი სახელმწიფოთა შორის არსებობდა ნორმალური ურთიერთობები, დევნილი პირი, როგორც წესი, გადაეცემოდა ხოლმე მომხსოვნ სახელმწიფოს.

შუა საუკუნეებისათვის თავშესაფრის უფლება ჩვეულებრივ უფლებად განიხილებოდა. ამ პერიოდისათვის უკვე იდებოდა ცალკეულ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებები, სადაც გათვალისწინებული იყო გადაცემის შესახებ მუხლებიც, რომლებიც გამორიცხავდნენ ცალკეულ პირთათვის თავშესაფრის მიცემის ფაქტს.<sup>4</sup>

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარების ამ ეტაპზე, ძირითადად, ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის მეზობლური ურთიერთობებით იფარგლებოდა.

თავშესაფრის მიცემისას, სახელმწიფომ თავისი სუვერენიტეტის განხორციელებისას პატივი უნდა სცეს სხვა დანარჩენ სახელმწიფოებს. გამომდინარე აღნიშნულიდან თავშესაფრის მიცემა ეს სუვერენული უფლებაა. სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება ან უარი თქვას მის განხორციელებაზე. მაგრამ, თუ სახელმწიფო გადაწყვეტს ამ უფლების რეალიზაციას, მაშინ მან უნდა პასუხი აგოს ამ რეალიზაციის შედეგად წარმოშობილ საერთაშორისო-სამართლებრივ შედეგებზეც.

როგორც უკვე აღინიშნა, თავშესაფრის მიცემის საკითხი, ძირითადად შიდასახელმწიფოებრივი ნორმების საშუალებით რეგულირდება, ცხადია, საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით. აღნიშნული საკითხი მოიცავს სხვადასხვა პროცედურას (სასამართლო, ადმინისტრაცია).

საქართველო თავშესაფრის უფლებას აძლევს იმ უცხოელებს, რომლებიც თავის ქვეყანაში იდევნებიან ადამიანის უფლებათა და მშვიდობის დაცვისათვის, პროგრესულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული და სხვა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

თავშესაფრის უფლებაზე უარი შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის საქმიანობა და შეხედულებები ეწინააღმდეგება გაეროს ორგანიზაციის ამოცანებს, პრინციპებს და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

თავშესაფრის მიცემის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოში იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

პროცედურული საკითხი ცალკე აქტით გადაწყდება, ალბათ ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც მოქალაქეობის მინიჭებასა და დაკარგვის თაობაზე ხდება, იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს დაევალებათ პროცედურის წარმოება.

როგორც უკვე აღინიშნა, თავშესაფრის უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული გადაცემის ინსტიტუტთან. თუ ადრეულ პერიოდში თავშესაფარი განურჩევლად ეძლეოდათ როგორც სისხლის სამართლის ისე პო-

4 И. Галенская, Право убежища, М., 1968, стр. 5—7.

დიტიკურ დამნაშავეებსაც (თუმცა ამ უკანასკნელთათვის რიგ სახელმწიფოებში ცალკეული შეზღუდვები იყო დაწესებული), საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე თავშესაფარი უმეტესად სწორედ ამ უკანასკნელთ ეძლეოდათ და პოლიტიკური თავშესაფარიც გვიანდელი ტერმინი გახლავთ. რაც შეეხება სისხლის სამართლის დამნაშავეებს, მათი გადაცემა უკვე სავალდებულო გახდა, რაც სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებებში აღინიშნა.

როგორც ითქვა, პოლიტიკურ დამნაშავეთა არ გადაცემა, გაბატონებული საწყისია საერთაშორისო სამართალში, თუმცა ეს პრობლემა დღესაც დისკუსიის საგნად რჩება.

ისტორიიდან მოყვანილი ფაქტების საფუძველზე პოლიტიკური დანაშაულისათვის გადაცემაზე უარის თქმა დაიწყო XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. მანამდე, როგორც აღინიშნა, სახელმწიფო დამნაშავეთა, მეამბოხეთა, მოღალატეთა გადაცემა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთგანწყობის, კეთილ ურთიერთობების შესტად განიხილებოდა და ფიქსირდებოდა ცალკეულ ხელშეკრულებებში.

ინგლისი, პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც აღიარა პოლიტიკურ დამნაშავეთათვის თავშესაფრის მიცემის უფლება. ცალკეულ სახელმწიფოთა სათავეში მოვიდნენ პირები, რომლებიც თავად იყვნენ დევნილი პოლიტიკური საქმიანობისათვის და ცხადია, ისინი უარს ვეღარ იტყოდნენ სხვათათვის მიეცათ პოლიტიკური თავშესაფარი.

ამგვარად, XIX საუკუნის 40-იან წლებში პოლიტიკურ დამნაშავეთა გადაცემის საკითხი გადაწყდა თითქმის ყველა სახელმწიფოში უარყოფითად. თუმცა საერთაშორისო სისტემაში დარჩნენ ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებიც გადასცემდნენ პირებს, რომელთაც პოლიტიკური დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი.<sup>5</sup>

მეცნიერთა ნაწილი, რომლებიც ემხრობიან პოლიტიკურ დამნაშავეთა გადაცემაზე უარის თქმას, ეყრდნობიან შემდეგ მოსაზრებებს — დამნაშავეთა გადაცემის საფუძველში დევს, რომ ეს უკანასკნელი არის ყოველი სახელმწიფოს იურიდიული წესრიგის მტერი, მაშინ, როცა პოლიტიკური დამნაშავე საშიშია მხოლოდ იმ სახელმწიფოსათვის, რომლის წინააღმდეგ მიმართულია მისი ქმედება; მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იგი სავსებით არ არის საშიშროების მატარებელი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული არ ატარებს გადაცემის უმთავრეს მოტივს, დანაშაულებრივი ქმედობის ზოგადსაშიშროებას, რომელიც ერთიანად ლახავს როგორც მომთხოვნი ისე გადამცემი სახელმწიფოს ინტერესებს.

ამასთან, პოლიტიკური დანაშაულებრივი ქმედება განსხვავებულია თავისი შინაარსით ზოგადი სისხლისსამართლებრივი დანაშაულისაგან. საერთო დანაშაულებათა უმთავრესი ფაქტორი, ბოროტი ნება, პოლიტიკური დანაშაულის შემადგენლობაში არ არსებობს. პირიქით, ამგვარი მოქმედების საწყისი იდეა არის კეთილშობილი, გამოადგეს და უშველოს თავის სახელმწიფოს.

და ბოლოს, სახელმწიფო, რომელიც მიიღებს პოლიტიკურ დამნაშავეს უკან, ცხადია, მიმტვევებელი ვერ იქნება და სასჯელიც შეიძლება უმკაცრესი იყოს — ესეც ერთ-ერთი საფუძველია გადაცემაზე უარის თქმისა.

5 Ф. Лист, Международное право, 1814.

იმ პერიოდში, როდესაც პოლიტიკური დამნაშავენი ცდილობენ მოცემული სახელმწიფოს მოძველებული პოლიტიკური ორგანიზმის წინააღმდეგ, იგი არ შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოებრიობისა და იურიდიული წესრიგის მტერი ზოგადად. ამ შემთხვევაში პირველი მოსაზრება შეიძლება სავსებით მიღებულია ჩაითვალოს.

ამ შემთხვევაში შეუძლებლად ითვლებოდა გადაეცათ პოლიტიკური დამნაშავე როგორც მსხვერპლი მტრისათვის. გამართლებულია თუ არა დღეს ეს მოსაზრება, შეიძლება თუ არა მიეცეს თავშესაფარი დღეს სისხლის სამართლის ზოგადი დანაშაულისათვის დამახასიათებელი ხერხებით მებრძოლ „პოლიტიკურ დამნაშავეს“? განა ასეთი აქტიური „მებრძოლი“ არ წარმოადგენს საშიშროებას სხვა სახელმწიფოსათვის, როცა უკანასკნელი ნებისმიერ საშუალებას იყენებს მიზნის მისაღწევად, ხომ შეიძლება თავშესაფრის მიმცემი სახელმწიფო სერიოზული პრობლემების წინაშე დადგეს?

ამ მოსაზრებებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს გაბატონებული საწყისი პოლიტიკურ დამნაშავეთა მიმართ. პირველი ამ მოსაზრების მომხრე გახდა ბელგია, რომელმაც 1856 წელს მიიღო სპეციალური კანონი, რამაც პოლიტიკურ დამნაშავეთა რიგიდან გამორიცხა მეფის მკვლელობა.

ინგლისმა კი, რომელიც თავშესაფრის უფლების მიმცემ კლასიკურ ქვეყნად ითვლებოდა, მიიჩნია, რომ ქმედება, რომელიც ატარებს ზოგად სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, თუმცა იგი ჩადენილია პოლიტიკური მოტივებით, არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ დანაშაულად.

აქედან გამომდინარე, გადაცემას ექვემდებარებიან პირები:

1. რომლებმაც ჩაიდინეს ზოგადი დანაშაული. მაგალითად, მკვლელობა, აფეთქება, გამოიწვიეს სხვადასხვა სახის კატასტროფა (სავაიაციო, საგზაო, სარკინიგზო), ფულადი ნიშნების გაყალბება და ა. შ. თუნდაც პოლიტიკური მოტივებით;

2. პირები, რომლებმაც საომარ ვითარებაში ჩაიდინეს დანაშაული, რომლის გაბათილებაც არავითარ პოლიტიკურ მოტივებს არ შეუძლია;

3. პირები, რომლებმაც ჩაიდინეს განსაკუთრებით რთული დანაშაული, თუმცა იგი მთავარი პოლიტიკური ქმედების შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა.



## ზურაბ ლუჭავიძე

# სიტყვის თავისუფლება, როგორც პიროვნების თავისუფლების უპირატესი ნაწილი

თანამედროვე პირობებში, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ვითარდება, როგორც მსოფლიოს თანამედროვეობის დამოუკიდებელი სუბიექტი, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ქვეყნის იურიდიული სტრუქტურისა და ფუნქციონირების, როგორც მეცნიერულმა კვლევამ, ისე სადღეისო სა-



კითხვების პრაქტიკულად გადაჭრამ. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა საზოგადოებაში სიტყვისა და აზრის თავისუფლება. მხოლოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მოკლე, ლაკონურ ფორმულაში ჩადებულია რამდენიმე რთული და ერთგვარად წინააღმდეგობრივი პრობლემა, რომელიც არც დღეს წარმოქმნილა და არც დღეს გადაიჭრება. ეს პრობლემა არა მხოლოდ აქტუალურია, არამედ მტკიცენიულიც არის, რადგან ათეული წლების მანძილზე სიჩუმეს მიჩვეული საქართველო ალაპარაკდა. ალაპარაკდა ყველა — ვისაც რაიმე აქვს სათქმელი და ვისაც უბრალოდ ლაპარაკი იტაცებს, ვინც იბრძოდა და იბრძვის სოციალური პროგრესისათვის და ვინც იბრძვის ვიწრო ეგოისტური პრობლემების მოსაგვარებლად.

სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ძალიან ძველი პრობლემაა და იგი უკავშირდება საერთოდ პიროვნების თავისუფლების პრობლემას, ამიტომ, პიროვნების თავისუფლების ცნება ყოველთვის წინ უძღოდა სიტყვის თავისუფლების ცნებას, რომელიც როგორც თეორიულმა და პრაქტიკულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, პიროვნების თავისუფლების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

თავისთავად, თავისუფლება ვიდაცისაგან დამოუკიდებლობას ნიშნავს. ამიტომ თავისუფლების ცნება ისტორიულად, ე. ი. ცვალებადი, განვითარებადი და სოციალური კატეგორიაა და მისი ფუნქციონირება მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაშია შესაძლებელი. ადვილი გასაგებია, რომ ერთი ინდივიდუმი საზოგადოების გარეშე შეუძლებელია და უაზრობაა. ერთადერთი იზოლირებული პიროვნებისათვის, როცა მის ირგვლივ არავინ არ არის, შეუძლებელია თავისუფლება და არათავისუფლება. ასე, რომ თავისუფლების ცნების არსებობა დამოკიდებულია საზოგადოების არსებობაზე. თანაც ისეთი საზოგადოების, რომელიც დაყოფილია ურთიერთდაპირისპირებულ ფენებად, დაჯგუფებებად და პიროვნებებად. ამას ადასტურებს კაცობრიობის მთელი ისტორია.

სიტყვის თავისუფლება რეჟიმის დემოკრატიულობის საზომია: თუ რეჟიმი მართლაც დემოკრატიულია, სიტყვის თავისუფლებაც რეალურია. მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მაგრამ, თუ რეჟიმი არსებითად ტოტალურია, სიტყვის თავისუფლება მისი კოსმეტიკური შელამაზების ერთ-ერთი კომპონენტია და მოწოდებულია ამტიკოს იმის არსებობა, რაც არ არსებობს.<sup>1</sup> ტოტალიტარულ რეჟიმებში ასეთ არარსებულ თავისუფლებას აცხადებდნენ ზოგან ერის, ზოგან კლასების ინტერესების გამოხატვად, და თავისუფლების დათრგუნვას ამართლებდნენ საზოგადოების ერთი ნაწილის ინტერესებით. სინამდვილეში, ასეთი „თავისუფლება“ ემსახურებოდა და ემსახურება საზოგადოების მმართველი ძალების, კლასის, პოლიტიკური ელიტის ბატონობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

თავისუფლების ცნება, საერთოდ და კერძოდ, სიტყვისა და აზრის თავისუფლების ცნება, ჩვენს გარდამავალ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ბევრის მიერ არასწორად იქნა გაგებული. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ თავისუფლებას აიგივებენ სრულ თვითნებობასა და განუკითხაობასთან. „მე თავისუფალი ვარ, მაშასადამე, უფლება მაქვს გავაკეთო, რაც პირადად მომწონს“. უნდა კი მტკიცება, რომ ეს „ფილოსოფია“ სრულიად ყალბია

1 См. Конституция Российской Федерации. Научно-практический комментарий. М., стр. 233.

— მცდარი კი არა, ყალბი. თვითონ ეს უძველესი ქართული ტერმინი — თავისუფლება, ალბათ, უნდა გავიგოთ ასე: რის უფლებას მისცემს ადამიანი თავის თავს, ანუ რამდენად ეყოფა პიროვნებას შეგნება და ნებისყოფა, რომ დაუმორჩილოს თავისი საქციელი ისეთ პრინციპებს, სადაც სხვისი ინტერესების დაცვაც შედის.

სწორედ ეს დებულება არის გადმოცემული ყველასათვის კარგად ცნობილ სიტყვებში, რომელიც იმდენად აქტუალურია, იმდენად საჭირობო როტო, რომ დღესაც ბევრი იმონმებს განსაზღვრული მოსაზრების გასამართლებლად. ეს სიტყვებია: „ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც სხვა ადამიანის თავისუფლება იწყება“.

ჩაუკვირდეთ ნათქვამს: თუ თავისუფლება მთავრდება, მაშასადამე, ის სრული არ არის, იგი შეიზღუდა რალაც მიზეზის გამო. სხვანაირად წარმოუდგენელიც არის: ერთ საზოგადოებაში ცხოვრებისას ადამიანები რალაცას უთმობენ ერთმანეთს. დემოკრატია და თავისუფლება არასოდეს არ ნიშნავდა აულაგმავ თვითნებობას. თუმცა ზოგიერთები ცდილობენ საკუთარი თავისუფლება გამოიყენონ და განახორციელონ აბსოლუტური სისრულით, სხვისი თავისუფლება კი სრულიად განდევნონ თავისი მოქმედებისა და ინტერესების არეალიდან.

ცნობილია, რომ პიროვნების თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ამ პიროვნების საზოგადოებასთან მიმართების განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმა. კაცობრიობამ დიდი ხანია იცის, რომ პიროვნება არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად თავისუფალი, თუ ის თავის თავს საზოგადოების წევრად თვლის. ეს მიმართება დიდი ხანია გარკვეულია. საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ჰარმონია მყარდება მაშინ, როდესაც მიღწეულია შეთანხმება ურთიერთდათმობისა და ურთიერთანგარიშგანევის თაობაზე. ასეთი შეთანხმება არ შეიძლება იყოს ძალისმიერი რომელიმე მხრიდან, რადგანაც იგი აღარ იქნება შეთანხმება, იგი იქცევა იძულებად, რომელიც, ურთიერთმტრობისა და უნდობლობის უშრეტი წყაროა.

ისმის კითხვა: რა არის სიტყვის თავისუფლება?

„სიტყვის თავისუფლება — ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი, პირადი და მოქალაქის პოლიტიკური უფლებაა, რომელიც წარმოადგენს უფრო ზოგადი უფლების — „მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების“ შემადგენელ ნაწილს. სიტყვის თავისუფლება არის პიროვნების შესაძლებლობა საჯაროდ (ზეპირად, წერილობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით) გამოხატოს თავისი აზრი. კონონმდებლობამ და სასამართლო პრაქტიკამ დემოკრატიულ ქვეყნებში შეიმუშავა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის სისტემა მისი ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ, სახელმწიფოთა უმრავლესობაში იკრძალება სიტყვის თავისუფლების გამოყენება კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის მონოდებებისათვის, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური შულის გასაღვივებლად, სხვა პირების ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის და ა. შ.<sup>2</sup>

„სიტყვის, აზრის... თავისუფლება“ საზოგადოებისათვის აღმოჩნდა იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ მან ასახვა პოვა მსოფლიოს

2 იხ. პ. ვნობილაძე, კონსტიტუციური სამართალი (ვნობარი), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 1998.

თითქმის ყველა კონსტიტუციაში (გერმანია, ამერიკა, იტალია, საფრანგეთი და სხვა).

საქართველოს დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ამ პრობლემას ეძღვნება მე-2 თავის მე-19 მუხლი მთლიანად, სადაც ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს აქვს „სიტყვის, აზრის, ...თავისუფლება“ და რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა იმისათვის თუ მას აქვს განსხვავებული აზრი რაღაც მოვლენაზე, ან მოისურვოს ამ აზრის საჯაროდ გამოთქმა. მთლიანად ეს მუხლი ასე უღერს:

„მუხლი 19.

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს“.<sup>3</sup>

მაგრამ, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არსებობს უფლება მოვალეობათა გარეშე. ამიტომ, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი საგანგებოდ აფრთხილებს ყველას, რომ ერთი პიროვნების თავისუფლება არ უნდა ზღუდავდეს და ლახავდეს მეორე პიროვნების უფლებებს. სწორედ ამ სფეროში ხდება მრავალი გაუგებრობა და თავს იჩენს ბევრი ძნელად გადასალახავი ვითარება.

უნდა აღინიშნოს, რომ აზრისა და სიტყვის თავისუფლების პრობლემა, სხვადასხვანაირი სიმწვავეთ დგას სხვადასხვა ქვეყანაში, და რაც უფრო შეზღუდულია პიროვნების შესაძლებლობები, გამოთქვას საკუთარი აზრი, მით უფრო მწვავედება ასეთი სურვილი და სათანადოდ, წინააღმდეგობაც. ე. წ. ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში, შემუშავდა საზოგადოების ყოფის ისეთი ფორმებიც, რომლებიც პიროვნებას აძლევენ საშუალებას თქვას ის, რის თქმაც უნდა — რაიმე სერიოზული ან რაღაც სულელური. მაგალითად, ინგლისის დედაქალაქ ლონდონში, არის ცნობილი ჰაიდ პარკი. ამ პარკში სასაუბროდ მისულ ადამიანებს მრავალნაირი გასართობი ელით, მათ შორის არის ისეთი რამეც, რაც ზოგს იზიდავს, ზოგს ართობს, ზოგი კი აღშფოთებამდე მიჰყავს. ეს არის მრავალრიცხოვანი, ინდივიდუალური ტრიბუნები, ან უბრალოდ, ამაღლებული ადგილები, საიდანაც ყველას შეუძლია იქადაგოს, ილაპარაკოს, ვილაც აქოს, ვილაც აკრიტიკოს, მიუხედავად მისი რანგისა და თანამდებობისა. გამონაკლისია ღმერთი და მონარქი. მათ მიმართ რაიმე კრიტიკული აზრის გამოთქმა უბრალოდ აკრძალულია, და ამას ფხიზლად ადევნებენ თვალყურს იქ მოსეირნე პოლისმენები. ამ მრავალრიცხოვან და ჭრელ გამოსვლებში შეიძლება ზოგჯერ რაღაც ჭკვიანური და სერიოზულიც უღერდეს, მაგრამ ჰაიდ პარკის ორატორობა იმდენად არასერიოზულ მოვლენად ითვლება, რომ არავინ მათ ყურადღებას არ აქცევს. ამავე დროს ნუ ვიფიქრებთ, რომ ჰაიდ პარკის ეფექტი მხოლოდ ლაპარაკის მოყვარულთა გულის მოფხანაა. ეს არის „ორთქლის გამოშვების“ დიდი ხნის წინათ კარგად დამუშავებული ფორმა. რაღაც იდეით შეპყრობილი ადამიანი, ყოველთვის ცდილობს ეს იდეა ვილაცას გაუზიაროს. თანაც, თუ იდეა რაღაცის ან ვი-

3 იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს, მუხლი 19.

დაცის მიმართ პროტესტს შეიცავს, მისი გამოთქმის სურვილი უფრო უძლიერდება პიროვნებას, ხოლო თუ რაღაც ფორმით მან ეს მოახერხა, ანუ სხამაღლა გამოთქვა მის თვალში მომნიშებელი აზრი, იგი მშვიდდება, რაღაც კმაყოფილებას გრძნობს, შეიძლება ვთქვათ, ერთხანს ტკბება კიდევ თავისი „მიღწევით“. აი, რაშია „ჰაიდ პარკის ეფექტის“ საიდუმლოება.

ე. ნ. ძველი დემოკრატიის ქვეყნებში გაბრაზებული ადამიანის დამშვიდების ასეთი ფორმები საკმაოდ გავრცელებული რამ არის. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, თეთრი სახლის შორიასლოს, რაღაც განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ყველას აქვს უფლება იდგეს ან იჯდეს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული პლაკატით ხელში, ან გამოაცხადოს შიმშილობა, რომელიც შეიძლება იყოს ერთდღიანი ან უფრო ხანგრძლივი, მშრალი ან სველი (ანუ ისეთი შიმშილობა, როდესაც ადამიანი საჭმელს არა ჭამს, მაგრამ სხვადასხვა წვენებზე და წყალზე უარს არ ამბობს). „ამგვარი პროტესტები“, როგორც წესი, მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ მთავრდება: მოსწყინდება ადამიანს იქ ჯდომა, შესცივდება ან დაიღლება და მიდის სახლში. სამაგიეროდ, ის თავს იმშვიდებს იმით, რომ მას, როგორც შტატების მოქალაქეს, აქვს რაღაც უფლება და ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობაც.

იტალიის რესპუბლიკის დღეს მოქმედი კონსტიტუციის პირველი ნაწილის 21-ე მუხლი მთლიანად ამ პრობლემას ეხება, სადაც გამორიცხავს ცენზურის არსებობას, აღიარებს აზრისა და სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს სრულიად ცალსახოვნად კრძალავს საზოგადოებისათვის სიტყვით ან პრესით ზიანის მიყენებას. ძალიან საინტერესოა ამ მუხლის ბოლო აბზაცი, სადაც ნათქვამია, რომ „იკრძალება ბეჭდვითი ნაწარმოებები, სანახაობები და ყოველგვარი სახის ღონისძიება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კეთილ წესებს“.<sup>4</sup>

ფრანგული დემოკრატია, დღევანდელ დემოკრატიათაგან, ერთ-ერთი უძველესია, და სათავეს იდებს 1789 წელს ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონიდან, რომელსაც ჰქვია „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“. ამ, მოცულობით პატარა დოკუმენტმა, უზარმაზარი როლი შეასრულა არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელი მსოფლიოს განვითარებაში. დეკლარაციის მე-19 და მე-11 პუნქტები აღიარებენ, რომ:

„10) არავინ არ უნდა განიცადოს შეზღუდვა თავისი აზრის გამოხატვისას, სარწმუნოებრივისაც კი, თუ ეს გამოხატვა არ არღვევს კანონით დადგენილ საზოგადოებრივ წესრიგს.

11) აზრისა და სიტყვის თავისუფლება არის ერთ-ერთი უძვირფასესი უფლება, ამიტომ ყოველ მოქალაქეს გააჩნია საკუთარი აზრის გამოთქმის და ბეჭდვის თავისუფლება. ამ უფლებათა ბოროტად გამოყენება დაუშვებელია“.<sup>5</sup>

როგორც ვხედავთ, მე-18 საუკუნის მიწურულს, როდესაც მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა მონარქიასა და რესპუბლიკას შორის. ფრანგები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ თავისუფალ სიტყვას და პრესას არა მარტო სიკეთის, არამედ ბოროტების მოტანაც

4 См. Конституции государств Европейского Союза, Конституция Итальянской Республики, М., 1997.

5 იქვე.

შეუძლია. ამიტომ, საგანგებოდ არის ნათქვამი, რომ ამ უფლების ბოროტად გამოყენება ისჯება კანონით.

ყოველივე ზემოთ იქმნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლების სიკეთე შეიძლება იქცეს დიდ ბოროტებად, თუ იგი არ არის მოქცეული კანონის ფარგლებში, ან კიდევ არ სრულდება კანონით დადგენილი შეზღუდვები.



**ზურაბ ლუქაშვილი**

**პაპარაზიზმის სოსიალური და უსიძლოოგიური სასრღენები**

თავისუფლების ცნება საერთოდ, და კერძოდ, სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების ცნება, ჩვენს გარდამავალ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ბევრმა არასწორად გაიგო. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ თავისუფლებას აიგივებენ სრულ თვითნებობასა და განუკითხაობასთან. „მე თავისუფალი ვარ, მაშასადამე, უფლება მაქვს გავაკეთო, რაც პირადად მომეპრიანება“ უნდა კი მტკიცება, რომ ეს „ფილოსოფია“ სრულიად ყალბია, მცდარი კი არა, ყალბი. თვითონ ეს უძველესი ქართული ტერმინი — თავისუფლება, ალბათ უნდა გავიგოთ ასე: რის უფლებას მისცემს ადამიანი თავის თავს, ანუ რამდენად ეყოფა პიროვნებას შეგნება და ნებისყოფა, რომ დაუმორჩილოს თავისი საქციელი ისეთ პრინციპებს, სადაც სხვისი ინტერესებიც არ იქნება იგნორირებული. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლების ცნება მოიცავს უფლებებისა და თავისუფლებების მთელ ჯგუფს: სიტყვის თავისუფლებას (აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას), ბეჭდვისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლებას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიღების უფლებას, ნებისმიერი კანონიერი საშუალებით ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას.<sup>1</sup> ამ მხრივ, ინფორმაციაზე მომუშავე ხალხი, ანუ ჟურნალისტები, მოვალენი არიან მუდამ ახსოვდეთ არა მარტო მათთვის მონიჭებული უფლებები, არამედ ამ უფლებებთან გამომდინარე პასუხისმგებლობაც.

ნუ ვიფიქრებთ, რომ ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული გართულებები, მარტო საქართველოში ხდება. ეს მოვლენა დამახასიათებელია მთელი ე. წ. ცივილიზებული სამყაროსათვისაც.

ინფორმაციის მოპოვების სირთულე პირდაპირ არის დამოკიდებული ინფორმაციის საზოგადოებრივ ან პიროვნულ მნიშვნელობაზე, რაც უფრო ფარულია ინფორმაცია, მით უფრო ძნელია მისი ხელში ჩაგდება. ეს სიძნელე ძალიან

<sup>1</sup> პაპატი ცნობილად, „კონსტიტუციური სამართალი“ (ცნობარი), თბ., 1998.

ხშირად დიდ რისკთან არის დაკავშირებული, ზოგჯერ, სიცოცხლის რისკთანაც კი. როგორც ამბობენ, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის ორი წლის მანძილზე 70-მდე ყურადღებულად დაიღუპა. ეს საკმაოდ დიდი ციფრია.

რისკთან არის დაკავშირებული ე. წ. ინტიმური ინფორმაციის მოპოვება, ანუ ისეთი ცნობების ხელში ჩაგდება, რომლებიც შეეხება ცალკეული გამოჩენილი პირების პირად ცხოვრებას. განსაკუთრებით პარადი ცხოვრების ისეთ ფაქტებს, რომლის გახმაურებაც არაფრით არ სურს პიროვნებას. ასეთი ინფორმაციის შემგროვებელმა მშვენივრად იცის საზოგადოების ერთი ნაწილის დაუოკებელი სურვილი შეიჭყიტოს სხვის პირად ცხოვრებაში, ცხვირი ჩაყოს ისეთ საქმეში, რაც მას სრულიად არ ეხება და ამ თავისი ავადმყოფური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, საკმაოდ დიდი ფულის გადახდასაც არ ერიდება. ე. წ. ცხელ-ცხელ ფაქტებზე ადებული ფული იმდენად დიდი და მომნუსხავია, რომ ზევრი ჟურნალისტი ივიწყებს მორალს, პატიოსნებას, ადამიანურობას და ყველაფერს კადრულობს, რომ ამგვარი ფაქტები მოიძიოს. ამ მოვლენას ჟურნალისტიკაში სპეციალური ტერმინიც კი აქვს — პაპარაციზმი. პაპარაცი იყო იტალიელი ჟურნალისტი (მართალია, კინოფილმის პერსონაჟი), რომელიც არაფერს თაკილობდა, რომ მოეპოვებინა, როგორც იტყვიან, „მაფრი სუნის მქონე“ ფაქტები და მისი გვარი იქცა სიბინძურის, უკადრისი საქციელის გამომხატველ ზოგად სახელად.

სამწუხაროდ და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის დიდად საზიანოდ, დღევანდელ პრესაში სულ უფრო ძლიერდება ამგვარი „პაპარაციული“ ტენდენციები. ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული დაჯგუფებები, დაბირისპირება და კლანური სულისკვეთება.

პაპარაციზმი, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, საკმაოდ რთული ხასიათისაა და მისი ხელაღებით დაწუნება ან მოწონება, გაუმართლებელი ცალმხრივობა იქნებოდა. უფრო მეტიც, ისეთი ხმებიც გაისმის, რომლებიც პაპარაციზმს ამართლებენ კიდევ და „საზოგადოებრივი ჭუჭყის გამწმენდ სანტიარსაც“ კი უწოდებენ.

ამ მხრივ, მეტად საინტერესოდ მოგვეჩვენა 1998 წლის 22 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიით გადმოცემული იურიდიული ხასიათის დისკუსია, როცა ცხელშიც თავისებურად იყო წარმოდგენილი პაპარაციზმის ბუნება. დისკუსიის მონაწილეები, ერთი მხრივ, აღიარებდნენ, რომ პაპარაციისტული სულისკვეთებით გაჟღენთილი ჟურნალისტები იბრძვიან არა სამართლიანობისა და ზნეობის განსაზღვრებისთვის საზოგადოებაში, არამედ ნებისმიერი გზით ფულის მოსახვეჭად, ან მოწინააღმდეგისათვის აკრძალული ილეთით დარტყმის მოსაყენებლად, მეორე მხრივ, დისკუსიის მონაწილეები საკითხს მიუდგნენ სხვა კუთხით. პაპარაცი ჟურნალისტები, როგორც წესი, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის ხალხია. აქვთ კარგად განვითარებული სოციალური ყნოსვა, არ ერიდებიან რისკს, არიან ენერგიულები და მიზანდასახულები. ამავე დროს, ისინი, როგორც წესი, ირჩევენ არა უბრალოდ გამორჩეულ პირებს, არამედ ისეთებს, რომლებმაც სიმდიდრე და სახელი მოიპოვეს საეჭვო ხერხებით და ყოველმხრივ ცდილობენ, რომ საზოგადოებისათვის არ გახდეს ცნობილი, თუ როგორ გამდიდრდნენ ან რა ზნეობრივი სულისკვეთებით ცხოვრობენ. პაპარაცი დიდხანს უტრიალებს თავის მსხვერპლს, ჩუმ-ჩუმად აგროვებს ინფორმაციას მის შესახებ და მსხვერპლისთვის სრულიად მოულოდნელ მომენტში მიაყენებს დარტყმას. ღია ბრძოლა ჩვეულებრივად იწყება არა მასალების გამოქვეყნებით, არამედ მასალების გამოქვეყნების მუქარით, თუ ეს მიზანში ამოღებული პიროვნება არ გაიღებს რაღაცა თანხას, ან არ წავა რაღაც კომპრომისზე. ე. ი. იწყება ნამდვილი პრიმიტიული შანტაჟი, რომელშიც



პაპარაცი არაფერს კარგავს. მოხვეჭის შანსი კი აქვს. მსხვერპლის საქციელი ვმყარება შენიღბული ადამიანის ფსიქოლოგიას, დაუძლეველ შიშს, რათა საზოგადოებამ არ დაინახოს მისი ნამდვილი სახე. ასეთი ორთაბრძოლა, როგორც წესი, მთავრდება ჟურნალისტის გამარჯვებით — თუ მან მოთხოვნილი თანხა ვერ ჩიიღო, საკომპრომენტაციო მასალების გამოქვეყნებით, გაჯიუტებული „კლიენტის“ მიწასთან გასწორებით, ამ შემთხვევაში, მართალია, ჟურნალისტი მატერი-ალურ მოგებას ვერ ნახულობს, სამაგიეროდ, საზოგადოების თვალში ბოროტ ძალებთან მებრძოლის სახელს იხვეჭს. ამავე დროს, ერთგვარად აფრთხილებს ყველა იმას, ვისაც რაღაც ცოდვა მიუძღვის, მაგრამ უარს ამბობს ამ ცოდვის დაფარვის სამაგიეროდ რაღაც თანხის გაღებაზე. აქ ისმის კითხვა — რა მნიშ-ვნელობა აქვს საზოგადოებისათვის იმას, რაც გააკეთა ჟურნალისტმა? პასუხი ცალსახა არ არის. პაპარაციზმისადმი ლობობიერად განწყობილ მოაზროვნეებს ზიანიათ, რომ, მართალია, აღწერილი ბრძოლა წამოიწყო ვიღაცამ, უპატიოსნო, ბინძური მიზნებით, მაგრამ საბოლოო ანგარიშში მან მძიმე დარტყმა მიიყენა საზოგადოებრივად საშიშ და ყალბი მორალის მატარებელ ძალებს და რომ საბო-ლოლო შედეგი მაინც საზოგადოებისათვის სასარგებლოა.

არის ისეთი აზრიც, რომ ორი სიბოროტის შეჯახება (ამ შემთხვევაში პა-პარაცი ჟურნალისტებისა და შენიღბული პიროვნების) და ერთი მათგანის და-პარცხება არ არის სიკეთის გამარჯვება, რადგანაც გამარჯვებული მხარე თვი-თონაც ბოროტებაა და კვლავ საღდაც იჩენს თავს.

ეს ფაქტი შეიძლება შევადაროთ ასეთ სიტუაციას: სამართალდამცავი ძალები დასდევენ ორ ავაზაკს, მაგრამ ვიდრე ისინი ავაზაკებს მისწვდებიან, ერთმა ავაზაკმა მოსპო მეორე. როგორ უნდა შეფასდეს გამარჯვებული ავაზაკის მოქ-მელება — როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო და პისაღები, თუ როგორც ერთი ბოროტების გამარჯვება მეორეზე, თავისზე უფრო სუსტ ბოროტებაზე? იმათთვის, ვინც ამ ავაზაკებს დასდევდა, მომხდარი ამბავი მხოლოდ საქმის შემ-სუბუქებაა და ალბათ, არ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების შესახებ.

პაპარაციტულ ტენდენციებზე ამდენი ლაპარაკი დაგვიჭირდა იმის გამო, რომ ჩვენს სინამდვილეში, მასობრივი ინფორმაციის სისტემაში, არც თუ იშვიათად ვაწყვდებით პაპარაციზმის ელემენტების გამოვლინებას, თუმცა არა, ე. წ., სუფთა სახით. მაგალითად, ყოველთვის გვხვდება ისეთი სტატიები, ტელე-რადიო გა-დაცემები, რომლებშიც აშკარად გამოსჭვივის მტრობა არა იმდენად ბოროტი საქმის მიმართ, არამედ იმ პიროვნების მიმართ, ვისაც მიეწერება ბოროტი საქ-ციელი. ამ მოვლენის სიცოცხლისუნარიანობა დამყარებულია იმაზე, რომ ჩვენ ჯერ კანონმდებლობაში სათანადო დონეზე არა გვაქვს იურიდიულად და ზნე-ობრივად მკაფიოდ ჩამოყალიბებული კანონები იმის შესახებ, თუ რა არის პი-როვნების შეურაცხყოფა, ადამიანის ღირსების ხელყოფა, მისი უფლებების დარ-ღვევა და ა. შ.

ჩვენი მტკიცების სისწორის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტები, რო-დესაც სასამართლოს უჭირს გარკვევით დაადგინოს პიროვნების ამა თუ იმ საქ-ციელში არის თუ არა სხვისი ღირსების ხელყოფის ფაქტი.

ასე რომ, პაპარაციზმის პრობლემა სოციალურად, მორალურად და ზნეობ-რივად აქტუალური პრობლემაა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ-გვარი ტენდენციების დასუსტება ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ არ შეიძინევა.

ზვიად ბაზისონია

უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი

გაზის შესახებ

მსოფლიოს მაღალგანვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში უცხოურ ინვესტიციების სამართლებრივ (საკანონმდებლო-ნორმატიულ) ბაზას შეადგენს როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი სამართალი იქცევს.

1. შიდასახელმწიფოებრივი სამართალი. უნდა აღინიშნოს, რომ, გარდა სპეციალური კანონმდებლობისა (კანონები უცხოური ინვესტიციების შესახებ საინვესტიციო კოდექსები), საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამოქალაქო კოდექსებს, აგრეთვე საკონტესიო, წიაღის, მეწარმეთა შესახებ, სავადასახადო, საბაჟო, საბანკო ფასიანი ქაღალდების შესახებ და ზოგიერთ სხვა კანონმდებლობებს. ბუნებრივია აბაღება კითხვა: მაშინ რა საჭიროა ინვესტიციების შესახებ სპეციალური კანონმდებლობა?

უცხოური კანონმდებლობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ „ასეთი კანონმდებლობის შექმნის მოთხოვნილება გაჩნდა, პირველ ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებში, სადაც ცდილობდნენ შეექმნათ შეღავათიანი რეჟიმი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად“.<sup>1</sup> ასე იყო აფრიკაში, სადაც მიღებულ იქნა საინვესტიციო კოდექსები და სხვა საინვესტიციო კანონები, აგრეთვე ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონების გარდა (არგენტინა, ბრაზილია), ზოგან მიღებულ იქნა სპეციალური დარგობრივი კანონმდებლობა (მაგალითად, მექსიკის 1958 წლის კანონი „წავთობის შესახებ“). უცხოური ინვესტიციებს დიდი ყურადღება ეთმობა ირანის, ინდოეთის, ფილიპინებისა და სხვა განვითარებადი ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.

რაც შეეხება მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს (აშშ, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.), მათ უცხოური ინვესტიციების შესახებ სპეციალური კანონმდებლობა არ გააჩნიათ. ასეთ ქვეყნებში „როგორც წესი, სამამულო თუ უცხოური კაპიტალის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების საერთო წესები და სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი სხვა ნორმები“.<sup>2</sup> პროფ. ა. გ. ბოგატირევის აზრით, აღნიშნულ ქვეყნებში ასეთი

1. М. М. Богуславский. Иностраннные инвестиции: правовое регулирование. М., 1996, с. 14.

2. თამაზ ინაშვილი. ინვესტიციების ცნება და მისი სამართლებრივი მოწესრიგება, ჟურნ. „მცნე“, 1998, № 1, გვ. 45.



კანონმდებლობის საჭიროება არ წარმოიშობა, ვინაიდან საინვესტიციო პროცესების სამართლებრივი რეგულირება უზრუნველყოფილია ზოგადი ხასიათის კანონმდებლობით, რომელიც აწესრიგებს ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში.<sup>3</sup>

უნდა ითქვას, რომ ისეთმა ქვეყანამ, როგორცაა იაპონია, ომისშემდგომ პირველ წლებში მიიღო კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ, მაგრამ, შემდგომში, ეკონომიკის განვითარების გამო, იგი გააუქმა. კანადამ, აშშ-სთან დამარბული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებიდან გამომდინარე (მას თავისზე ეკონომიკურად გაცილებით ძლიერ პარტნიორთან — აშშ-თან დადებული აქვს ორმხრივი ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ), 1973 წელს მიიღო კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“, რომელიც შეიცვალა „კანადაში ინვესტიციების შესახებ“ 1985 წლის კანონით<sup>4</sup> და რომელიც აცავს კანადის ეკონომიკას შესაძლო ეკონომიკური ექსპანსიისაგან.

მას შემდეგ, რაც პოსტსოციალისტური ქვეყნები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზას დაადგნენ, დაიწყო სპეციალური კანონმდებლობის მიღება. ასეთი კანონები სხვადასხვა დროს მიღებულ იქნა რუმინეთში, პოლონეთში, უნგრეთში, კუბაში, მონღოლეთში, ვიეტნამში და სხვა ქვეყნებში. უფრო დეტალური კანონმდებლობა იქნა მიღებული ჩინეთში. ამ პროცესის დასაწყისად უნდა იქნეს მიჩნეული 1979 წლის 1 ივლისის კანონი ჩინური და უცხოური კაპიტალით შექმნილი ერთობლივი საწარმოების შესახებ.<sup>5</sup> უფრო მოგვიანებით მიღებულ იქნა უცხოური კაპიტალის საწარმოთა შესახებ კანონი (1986 წლის 12 აპრილი), დებულება განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შესახებ პროვინცია გუანდუნში (1979 წლის 1 ივლისი) და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებად ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება გამოირჩევა მეტად არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით უცხოურ კაპიტალთან. კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული კაპიტალი ექვემდებარება მკაცრ სახელმწიფო კონტროლს ინვესტიციების მიმდებარე ქვეყნის მხრიდან, ზოგან კი, პირიქით, სხვადასხვა სახის შეღავათებისა და გარანტიების მიცემით ქმნიან უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელ პირობებს.

უცხოურ კაპიტალდაბანდებათა შეზღუდვის მნიშვნელოვან ღონისძიებებად შეიძლება: ა) წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების გადამუშავების სფეროში უცხოური კაპიტალის დაშვებაზე განსაკუთრებული სახელმწიფო კონტროლის დაწესება; ბ) სახალხო მეურნეობის განსაზღვრულ, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან დარგებში უცხოური კაპიტალის დაუშვებლობა; გ) იმ საწარმოებში, რომლებიც შექმნილია უცხოური ფირმების მიერ, სახელმწიფო ან კერძო ეროვნული კაპიტალის აუცილებელი სავალდებულო წილის დაწესება; დ) უცხოური საწარმოების მიერ შემოსავლის გარკვეული ნაწილის განვითარებადი ქვეყნების შიდა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოყენება (დაბეგვრა, შემოსავლების საზღვარგარეთ გადაგზავნის შეზღუდვა); ე) კონცესიური პოლიტიკის განსაზღვრა.<sup>6</sup> ასეთ საინვესტიციო პოლიტიკას, ძირითადად, მაინც მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები იყენებენ (გერმანია, საფრანგეთი,

3 А. Г. Богатырев. Инвестиционное право, М., 1992, с. 83—84.  
 4 Н. Г. Доронина, Н. Г. Семилютина. Правовое регулирование иностранных инвестиций в России и за рубежом, М., 1993, с. 7.  
 5 Китайская Народная республика. Законодательные акты, М., 1989, с. 286.  
 6 М. М. Богуславский. Международное частное право, М., 1994, с. 180—

იაპონია), თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ისეთი უძლიერესი სახელმწიფო, როგორცაა აშშ, მხარს უჭერს ინვესტიციების მოზიდვას და მხოლოდ რამდენიმე დარგი იმყოფება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ — ეროვნული თავდაცვა, ბირთვული ენერჯეტიკა და შიდა ავიატრანსპორტი.<sup>7</sup>

რაც შეეხება პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებს, მათი საინვესტიციო პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მოზიდვისაკენ გამოკვეთილად არის ორიენტირებული, რაც, ძირითადად, უცხოური კაპიტალის შემცველი საწარმოებისათვის სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათების მინიჭებაში გამოიხატება. ზწორედ ამგვარ პოლიტიკას დაადგა საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში. ამით იყო განპირობებული ის, რომ 1991 წლის 10 აგვისტოს და 1995 წლის 30 ივნისს კანონები უცხოური ინვესტიციების შესახებ უცხოელ ინვესტორებს გაცილებით ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა, ვიდრე ადგილობრივ მეწარმეებს. ამგვარი პრეფერენციული რეჟიმის თაობაზე პროფ. ლ. ჭანტურია 1996 წელს აღნიშნავდა: „შეხედულება უცხოელი მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ მცდარი მგონია. სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის რეალური საერთო სამართლებრივი საფუძვლის შექმნა და მისი უზრუნველყოფა“.<sup>8</sup> ამ არჩეუმიენტირებულმა მოსაზრებამ შემდგომში საკონომდებლო ხორცშესხმა პოვა საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 12 [ოქტომბერს მიღებულ კანონში „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, „ინვესტორად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში“. ამდენად, უდავოა, რომ აღნიშნულმა კანონმა თავისი მოქმედება გააგრძელა როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ ინვესტორებზე თანაბარი სამართლებრივი სტატუსით.

**2. ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები.** უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირებისას დიდია ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულების როლი და მნიშვნელობა. „ტრანსნაციონალური კორპორაციების შესახებ“ გაეროს ცენტრის 1987 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ინვესტიციების საკითხებთან დაკავშირებით დადებული იყო 265 საერთაშორისო ხელშეკრულება<sup>9</sup> და ეს პროცესი შემდგომშიც მაღალი ტემპებით გაგრძელდა. ინვესტიციებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ორმხრივ ხელშეკრულებებს ენიჭება. ასეთი ხელშეკრულებების დადების საჭიროება რამდენიმე ძირითად პრინციპულ მომენტს მოიცავს. პირველ რიგში, ასეთი ხელშეკრულებების მეშვეობით თითოეული ხელისმომწერი (ხელშემკრელი) სახელმწიფო იღებს შესაძლებლობას მეორე სახელმწიფოში უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების უფლებების რეალიზაცია. მეორე მხრივ, ნებისმიერ უცხოელ ინვესტორს, რომელიც გარკვეულ რისკს ეწევა, ინვესტიციის მიმღები სახელმწიფო უნდა უქმნიდეს გარკვეულ გარანტიებს, რომლითაც მისი კაპიტალი დაცული იქნება ექსპროპრიაციისაგან ან სხვა იძულებითი ღონისძიებებისაგან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა

7 P. X. Фолсом, М. У. Гордон, Дж. А. Спаногл. Международные Сделки. М., 1996, с. 222.

8 ლ. ჭანტურია. თ. წინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები (პირველი გამოცემა), აბ., 1996 წ., გვ. VIII.

9. Bilateral Investment Treaty. London, 1988. კუთითებ მ. მ ბოგუსლავსკის მიხედვით: М. М. Богуславский. Иностраные инвестиции... с. 23.

დაიწვეს უცხოური ინვესტიციების ორმხრივი ხელშეწყობის (წახალისების) და ურთიერთდაცვის ხელშეკრულებების დადება როგორც მაღალგანვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებთან. მაგალითად, უკრაინას ორმხრივი ხელშეკრულებები (შეთანხმებები) დადებული აქვს ვიეტნამთან (1994 წ.), პოლონეთთან (1993 წ.), გერმანიასთან (1993 წ.) და ა. შ.; ბელორუსიას — დიდ ბრიტანეთთან, ვიეტნამთან, გერმანიასთან, ფინეთთან, საფრანგეთთან, შვეიცარიასთან და ა. შ.; ყაზახეთს — გერმანიასთან, საფრანგეთთან (1992 წ.) და ა. შ.; ლატვიას — გერმანიასთან (1991 წ.); ესტონეთს — შვედეთთან, ფინეთთან; ლიტვას — გერმანიასთან, საფრანგეთთან (1992 წ.); სომხეთს — საბერძნეთთან, დიდ ბრიტანეთთან; მოლდოვას — ჩინეთთან (1992 წ.) და ა. შ.<sup>10</sup>

ორმხრივი ხელშეკრულებების და შეთანხმებების დადების მეშვეობით უცხოური ინვესტიციების დაცვის გზას ადგას საქართველოც. დღეისათვის მას უცხოური ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმებები დადებული აქვს თურქეთთან (1992 წ. 30 ივლისი), გერმანიასთან (1993 წ.), ლუქსემბურგთან (1993 წ. 23 იანვარი), ჩინეთთან (1993 წ. ივნისი), საბერძნეთთან (1994 წ. 9 ნოემბერი), ბულგარეთთან (1995 წ. 19 იანვარი), დიდ ბრიტანეთთან (1995 წ. 15 თებერვალი), ისრაელთან (1995 წ. ივნისი), იტალიასთან (1997 წ. 15 მაისი), ნიდერლანდების სამეფოსთან (1998 წ. 3 თებერვალი)<sup>11</sup> და სხვ.

უცხოური ინვესტიციების რეგულირებასთან დაკავშირებულ ორმხრივ ხელშეკრულებათა მეორე ჯგუფს, ჩემი აზრით, უნდა მივაკუთვნოთ ორმხრივი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები. ასეთი შეთანხმებები საქართველოს დადებული აქვს რუსეთთან, სომხეთთან, გერმანიასთან, თურქეთთან და ა. შ. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ რუსეთს, გარდა ისრაელთან, კორეის რესპუბლიკასთან, პოლონეთთან (1992 წ.), ბულგარეთთან, რუმინეთთან, საბერძნეთთან და ლუქსემბურგთან (1993 წ.) დადებული შეთანხმებებისა, მისთვის, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრისათვის, მოქმედებს ის ხელშეკრულებებიც, რომლებიც დადებული ჰქონდა სსრკ-ს (აშშ-თან — 1973 წ., ფინეთთან — 1977 წ., უნგრეთთან, მონღოლეთთან, პოლონეთთან, რუმინეთთან — 1977 წ. და ა. შ.).

გარდა ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, ის სახელმწიფოები, რომლებსაც სურთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მათი სამართლებრივი რეგულირება, დაინტერესებულნი არიან მრავალმხრივ ხელშეკრულებებში (კონვენციებში) მონაწილეობითაც. მათგან თავისი მნიშვნელობით შეიძლება განსაკუთრებით გამოიყოს ორი კონვენცია. კერძოდ: ა) პირველი — სეულის 1985 წლის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1988 წლის 12 აპრილს.<sup>12</sup> ამ კონვენციის მეოხებით სახელმწიფო და კერძო დაზღვევები შეივსო უცხოური ინვესტიციების საერთაშორისო მრავალმხრივი დაზღვევის სისტემით. კონვენციის მიხედვით, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკის) სისტემაში შეიქმნა ინვესტიციების გარანტირების საერთაშორისო სააგენტო (Multilateral Investment Guarantee Agency — MIGA). აღნიშნული სააგენტო იძლევა გარანტიებს არაკომერციული რისკებისაგან, კონვენციის მონაწილე განვითარებად წევრ-სახელმწიფოთა მთავრობებს უწევს კონსულტაციებს, უც-

10 М. М. Богуславский. Иностранные инвестиции... с. 28—29.

11 მონაცემები აღებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

12 Н. Г. Доронина, Н. Г. Семилотина. Многосторонние международные конвенции в области защиты иностранных инвестиций и российское законодательство, журн. «Сов. Гос. и право», 1992, № 10, с. 90—92.

სოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სტრატეგიის, პროგრამებისა და პროცედურების დამუშავებასა და რეალიზაციაში, გამოდის სპონსორად საერთაშორისო საქმიან წრეებსა და კონკრეტულ სახელმწიფოთა შორის დიალოგებში<sup>13</sup> და ა. შ. სეულის კონვენციაში მონაწილეობს 100-ზე მეტი სახელმწიფო, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, უნგრეთი, საბერძნეთი, ისრაელი, ინდოეთი, ესპანეთი, მექსიკა. რაც შეეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, კონვენცია მოქმედებს რუსეთისათვის (1992 წ. 15 სექტემბრიდან), სომხეთისთვის (1992 წ. 16 სექტემბრიდან), საქართველოსთვის (1992 წ. 20 თებერვლიდან), ყირგიზეთისთვის (1992 წ. 28 სექტემბრიდან), ლიბეისთვის (1992 წ. 22 სექტემბრიდან), მოლდოვისთვის (1992 წ. 22 სექტემბრიდან) და თურქმენეთისთვის (1992 წ. 26 სექტემბრიდან).<sup>14</sup> ბ) მეორე კონვენცია, რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოში, დადებულია ვაშინგტონში 1965 წლის 18 მარტს (ძალაშია 1966 წ. 14 ოქტომბრიდან) და ეწოდება კონვენცია „სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს შორის საინვესტიციო დავის საერთაშორისო გადაწყვეტის შესახებ“. აღნიშნული კონვენცია ითვალისწინებს საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრის<sup>15</sup> შექმნას.

**3. საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიორიტეტი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიმართ.** უცხოური ინვესტიციების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით რეგულირება მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებთან. უფრო მეტიც, მრავალი ქვეყანა თავისი კანონმდებლობით განამტკიცებს საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიორიტეტულობას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შედარებით. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. მსგავს ნორმას შეიცავს „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ რუსეთის კანონი, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, „თუ რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი სხვა საკანონმდებლო აქტებით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია რსფსრ-ს ტერიტორიაზე მოქმედი წესებისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულება“.<sup>16</sup> ამასთან, უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადგენილი წესით რატიფიკაციის შემდეგ ისინი იქცევა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად. სწორედ აღნიშნულ ნორმას შეიცავს, მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუციის 96-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც „საერთაშორისო ხელშეკრულებები, დადებული დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად, ესპანეთში მათი ოფიციალური გამოქვეყნების მომენტიდან ითვლება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად“.<sup>17</sup>

13. Джон Д. Дениеле, Ли Х. Радеба. Международный Бизнес. Внешняя среда и деловые операции, М., 1994, с. 317.

15 М. М. Богуславский, Иностранные инвестиции... с. 30.

14 აღნიშნული ვენტრის (ICSID) კომპეტენციისა და მისი საქმიანობის პროცედურის შესახებ იხ. ზ. ვაბისონია. საინვესტიციო და სხვა ეკონომიკური დავების განხილვის ზოგიერთი კომპეტენციურ-პროცედურული საკითხი. ჟურნ. „სამართალი“, 1999, № 1.

16 Гражданское и предпринимательское право (общая часть). Сборник документов, состав. Т. В. Богачева, М., 1996, с. 133.

17 Испания. Конституция и законодательные акты, под ред. Н. Н. Разумовича, М., 1982, с. 63.

4. ეროვნული რეჟიმი და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. უცხოური ინვესტიციების საკანონმდებლო რეგლამენტირების ძირითადი მიზანი ის არის, რომ ინვესტიციების მიმღები სახელმწიფო თავისი საკანონმდებლო ბაზით ქმნიდეს ყველა პირობას, რათა მოზიდულ (დაბანდებულ) იქნეს უცხოური ინვესტიციები მის ქვეყანაში.

უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი პირობების შექმნისას, როგორც წესი, საერთაშორისო კერძო სამართალში განასხვავებენ ორ პრინციპს ანუ რეჟიმს — ეროვნულ რეჟიმს და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს. როგორც წესი, საერთაშორისო პრაქტიკაში უცხოური ინვესტიციების მიმართ გამოიყენება ერთ-ერთი ამ პრინციპთაგანი, ან ორივე ერთად. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დროს ყველა უცხოელ ინვესტორს ენიჭება თანაბარი უფლებები, ანუ, სხვა სიტყვებით, ერთი სახელმწიფოს ინვესტორებს საქმიანობის ისეთივე პირობები ექმნებათ, როგორც სხვა ქვეყნის ინვესტორებს. ეროვნული რეჟიმის დროს კი უცხოელი ინვესტორები გათანაბრებულნი არიან ინვესტიციების მიმღები ქვეყნის, ე. ი. ადგილობრივ ინვესტორებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ, ვინაიდან საინვესტიციო ურთიერთობათა მონაწილენი დიდხანს არიან ჩართულნი ეროვნულ საქონელბრუნვაში ეროვნული სამართლის სუბიექტების თანაბრად, ამიტომ ისინი უნდა სარგებლობდნენ იგივე უფლებებით, რომლებითაც ადგილობრივი ბიზნესმენები.<sup>18</sup>

როგორც წესი, ქვეყნები თავიანთ კანონმდებლობაში ორივე პრინციპს იყენებენ, თუმცა გარკვეულ დათქმებსაც აკეთებენ. მაგალითად, ლატვიის შესაბამისი კანონის მიხედვით, უცხოელ ინვესტორებს გარანტირებული აქვთ ეროვნული რეჟიმი, გარდა ამავე კანონით დაწესებული გამონაკლისებისა.

უცხოური ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებში შეიძლება აღიარებული იყოს ერთ-ერთი ან ორივე რეჟიმი. საკითხის სიცხადისათვის მოვიტან ერთ მაგალითს: საქართველოს მთავრობასა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კაპიტალ-დაბანდებების ორმხრივი წახალისებისა და დაცვის შესახებ შეთანხმების (ხელმოწერილია ქ. სოფიაში 1995 წ. 19 იანვარს) მე-4 მუხლის მიხედვით, „ხელშემკვრელი მხარე, რომლის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების კაპიტალდაბანდებებმა განიცადეს ზარალი, რაც გამოწვეული იყო ომით ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით ან მსგავსი ვარემოებებით, ინვესტორებს შეუქმნის იმაზე არანაკლები ხელშეწყობის რეჟიმს, ვიდრე იგი უქმნის რომელიმე მესამე სახელმწიფოს ინვესტორებს“ (ე. ი. ლაპარაკია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე, — **ზ. გ.**). აღნიშნული შეთანხმებისგან განსხვავებით, ორივე პრინციპს (როგორც უპირატესი ხელშეწყობის, ასევე ეროვნულ რეჟიმს) ითვალისწინებს საქართველოს მიერ ქ. ტაშკენტში, 1995 წ. 4 სექტემბერს უზბეკეთის რესპუბლიკასთან დადებული ანალოგიური შეთანხმების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც „ითითებული მონაწილე მხარე თავის ტერიტორიაზე მინიჭებს მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორთა შემოსავლებსა და ინვესტიციებს თანაბარ უფლებიან და სამართლიან რეჟიმს, არანაკლებ იმ რეჟიმისა, რომელსაც იგი ანიჭებს საკუთარი ინვესტორების შემოსავლებსა და ინვესტიციებს (ეროვნული რეჟიმი, — **ზ. გ.**) და, ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტორთა შემოსავლებსა და ინვესტიციებს“ (უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. — **ზ. გ.**).

18 ა. გ. ბოგატირევის დასახელებული ნაშრომი. გვ. 256-257.

მიუზღავად ყოველივე აღნიშნულისა, მართებულად უნდა იქნეს მიჩნეულს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ აღნიშნულ გარანტიებს, მრავალი შემზღუდავი დათქმების გამო, უფრო დეკლარაციული ხასიათი აქვს.<sup>19</sup>

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებები უცხოელ ინვესტორებს ძირითადად, ეროვნულ რეჟიმს ანიჭებენ, მაგრამ არ გამორიცხავენ გარკვეულ შემზღუდავებსა და აკრძალვებს ზოგიერთ სფეროში სახელმწიფო მონოპოლიების დაწესებით. მაგალითად, ისეთი ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები, როგორცაა საფრანგეთი და კორეა, დამატებით ამოწმებენ უცხოურ ინვესტიციებს — შეესაბამებთან თუ არა ისინი ეროვნულ ინტერესებს,<sup>20</sup> აშშ სახელმწიფო მონოპოლიას აწესებს მრეწველობის რამდენიმე დარგზე და ა. შ. ამასთან, ეროვნული რეჟიმი ზოგიერთ შემთხვევაში არ გამორიცხავს შეღავათიანი რეჟიმის შექმნას იმ დარგში, რომელიც პრიორიტეტულად არის მიჩნეული უცხოური კაპიტალის მოზიდვის დროს. ასეთ დარგებში უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი შეღავათები.<sup>21</sup> ყოველივე ამით მრავალი ქვეყანა დიდ ეფექტს აღწევს ეროვნული მრეწველობის განვითარების საქმეში, რისი რელიეფური მაგალითია ე. წ. „ოთხი აზიური ვეფხვი“ (ინდონეზია, კორეა, სინგაპური, ტაივანი.



## თან გრძობაძა

### „საქორწინო ხელშეკრულება“ — მუდღეთა ქონებრივი

### ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების საფუძველი\*

თანსაკუთრებისაგან უნდა განვასხვავოთ მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება. მასში იგულისხმება ქორწინებამდე შექმნილი ქონება და ქონება, რომელაც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით, ანდა შექმნილია მისი პირადი მოხმარებისათვის, ე. ი. ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ძვირფასეულობის გარდა, შექმნილი მეუღლეთა საერთო თანხებით, ითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომელიც სარგებლობს ამ ნივთ-

\* დასასრული. დასაწ. იხ. ჟურ. „სამართალი“, 1999, № 2.

19 P. Нагапетьянц. Соглашение о поощрении и взаимной защите капиталовложений, Журн., «Внешняя торговля», 1991, № 5, С. 10. М., 1996, с. 222

20 P. X. Фолсом, М. У. Гордон, Дж. А. Спаногл. Международные Сделки, М., 1996, с. 222.

21 М. М. Богуславский. Иностранные инвестиции... с. 63.



ბით. ასეთია, მაგალითად, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ყელსაბამი, საათი და სხვა კანონი ასეთი ქონების კატეგორიიდან გამორიცხავს მეუღლეთა მიერ შეძენილ ძვირფასეულობას. ასეთი ნივთები, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება განკუთვნილი იყოს რომელიმე მეუღლის ინდივიდუალური სარგებლობისათვის, მეუღლეთა თანაზიარი საკუთრებაა. ამასთან დაკავშირებით, იბადება ასეთი კითხვა: რატომ გამორიცხავს კანონი ასეთი ქონების კატეგორიიდან მეუღლეთა მიერ შეძენილ ძვირფასეულობას? ამასთან, უმჯობესი იქნება, კანონმდებლობამ ზუსტად განსაზღვროს, თუ რომელი ნივთი შეიძლება მიეკუთვნოს ძვირფასეულობას.

აღსანიშნავია, ისიც, რომ საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება შეიცვალოს კანონით დადგენილი წესი. მაგალითად, მეუღლეებს შეუძლიათ შეთანხმებით ძვირფასეულობა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში მათი საერთო თანხებით შეძენილი, ჩათვალონ ინდივიდუალურ საკუთრებად.

მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება მათ თანასაკუთრებად გადაიქცეს. სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის თანახმად: „თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (დაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული“.

საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საერთო ქონების გაყოფაზე, გადაწყვიტონ პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ბედი თანასაკუთრების გაყოფისას, აგრეთვე შეცვალონ სამოქალაქო კოდექსის 1169-ე მუხლით დადგენილი მათი საერთო ვალების გაყოფის წესი, რომლის თანახმად, საერთო ვალები მეუღლეთა შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად. მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ. თანასაკუთრების გაყოფისას მეუღლეებს თანაბარი წილი ეკუთვნით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გადაწყვეტილი. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გამო, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.

თუ მეუღლეები არ გააერთიანებენ თავიანთ ქონებას, საქორწინო ხელშეკრულებით მათ შეუძლიათ დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე. მათ შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი მონაწილეობა ოჯახის შემოსავლებსა და ხარჯებში და ის ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს გადაეცემა ქორწინების შეწყვეტისას.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მეუღლეთა შესაძლებლობას, რათა შეზღუდონ საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები განსაზღვრული ვადით, ანდა ამა თუ იმ პირობების დადგომით. სხვა საფუძვლით მათი შეზღუდვა არ შეიძლება. მეუღლეების უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მათი ინტერესებიდან გამომდინარე. „კანონი ზუსტად არ მიუთითებს იმ პირობაზე, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შეზღუდვას. ასეთი პირობის განსაზღვრა მეუღლეთა კომპეტენციაში შედის. მაგალითად, შესაძლებელია



ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყოს, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შვილის სასკოლო ასაკის მიღწევამდე მიღებული ყველა საჩუქარი წაითვალოს თანაზიარ საკუთრებად და გამოყენებულ იქნეს ბავშვისათვის. დამატებითი განათლების მისაღებად. როდესაც საქორწინო ხელშეკრულება იდება განსაზღვრული დროით, მაშინ ადგილი ექნება ვადით შეზღუდვას“.<sup>4</sup>

სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლი ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვას საქორწინო ხელშეკრულების შინაარსში. აღნიშნული მუხლის თანახმად: „საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და — დავის შემთხვევაში — სასამართლოში მიმართვის უფლება. ხელშეკრულებით ასევე არ შეიძლება გათვალისწინებული იყოს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს.

კანონის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს, სავალდებულოა ხელშეკრულების დადები ორივე მხარისათვის. როცა ეს მოთხოვნა არ სრულდება, შეიძლება იგი ხელშეკრულების შეწყვეტის ან გაბათილების საფუძველი გახდეს. დაინტერესებული მეუღლის თხოვნის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ის პირობები, როგორცაა შესრულებაც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ მას. ამისთვის სასამართლოს უნდა გააჩნდეს პატივსაღები მიზეზები (ბავშვის დაბადებამდე ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორესათვის ავტომატური ყიდვა თავისი მშობლების ხარჯზე, ერთ-ერთი მეუღლის მიერ შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, მისი ინდივიდუალური საკუთრების ყველა მნიშვნელოვანი ღირებულების ნივთის გადასვლა მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში და სხვა). სასამართლის მიერ საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა მიზნად ისახავს ამ მხრივ დაინტერესებული მეუღლის ქონებრივი ინტერესების დაცვას საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში.

რადგან საქორწინო ხელშეკრულების დადებაც და შეწყვეტაც მეუღლეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული, ამიტომ კანონში მითითებულია, რომ საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ ურთიერთშეთანხმების საფუძველი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის ფიზიკური ან მატერიალური მდგომარეობის შეცვლა. მაგალითად, შრომის უნარის დაკარგვა, უმუშევრობა და სხვა. შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის მდგომარეობის შეცვლამ გამოიწვიოს ხელშეკრულების შეწყვეტა.

რაც შეეხება საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტას მეუღლეთა ცალმხრივი უარის შემთხვევაში, კანონი არ უშვებს ამის შესაძლებლობას და მიაჩნია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა ამ საფუძველით დაუშვებელია.

საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის გავრცელებული საფუძველია განქორწინება. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს თანაზიარი საკუთრების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის. თუ ხელშეკრულებით მეუღლეთა შორის ქორწინების შემდგომი პერიოდის რაიმე ვალდებულების შეს-

4. იქვე.





ამირან კომახიძე

ვერსიების შედგენის და საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვის  
თავისებურებანი საზღვაო პორტიდან სახელმწიფო ქონების  
დატაცების საქმეთა გამოძიების დროს

საზღვაო ნავსადგომებიდან (პორტებიდან) სახელმწიფო ქონების დატაცების საქმეთა გამოძიებას თან ახლავს ვერსიათა შედგენა. ვერსიები ანუ ვარაუდები წარმოიქმნებიან დატაცების ფაქტის არსებობისთანავე, როგორც დატაცების ხერხის განსაზღვრისათვის, ასევე იმ პირთა წრის დასადგენად, რომლებიც გვევლინებოდნენ ორგანიზატორებად, აღმსრულებლებად, თანამონაწილეებად და დატაცებული ქონების რეალიზატორად. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საზღვაო ნავსადგომში (პორტში) საკმაოდ დიდი რაოდენობის პიროვნებანი არიან დასაქმებული უცხო სახელმწიფოებიდან მიღებული ტვირთის გადმოზიდვით, დაბინავებით, შენახვით, უსაფრთხოების უზრუნველყოფით, გაგზავნით და სპეციალური დაცვის სამსახურით, ადვილი წარმოსადგენია ვერსიათა ის რაოდენობა, რომელიც გამოძიების წინაშე (თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმართო) „სტიქიურად წარმოიშობა“, ე. ი. წამოიჭრება სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან ერთად გამოძიებას პირველსავე დღეს. ცხადია, სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები საზღვაო ნავსადგომებიდან უდავოდ ითვალისწინებს გამოძიებელთა მხრივ გადაუდებელი საგამომძიებლო მოქმედებების გატარებას, ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების შერჩევა და გამოყენებას, რადგან სწორედ საგამომძიებლო მოქმედებათა გატარების თანმიმდევრობამ უნდა განსაზღვროს დატაცების ფაქტის სრული გახსნისა და დამნაშავეთა გამომჟღავნების ვერსიების შემოწმების ოპერატიულობა. ჩვენ შორს ვართ იმ გადაწყვეტილებიდან, რომ ვერსიები დავეთო უფრო რეალური, ე. ი. უფრო მისაღებ და მეორეხარისხოვან ვერსიებად და ასეთი პრინციპით მოვახდინოთ მათი შემოწმების თანმიმდევრობა. ჩვენ ვეთანხმებით იმ პროცესუალისტებს და კრიმინალისტებს (პროფ. შ. ფაღიაშვილი, ა. ფაღიაშვილი, რ. ჭოდოშვილი), რომლებსაც მიუღებლად მიაჩნიათ ასეთი მიდგომით ვერსიების შემოწმება და მიაჩნიათ, რომ ყველა ვერსია უნდა შემოწმდეს ერთდროულად, რადგან გამოძიების დასაწყისში, შეუძლებელია განსაზღვრო რომელი ვერსია აღმოჩნდება უფრო მისაღები და რეალური. აქედან გამომდინარე, თუ საზღვაო პორტიდან დატაცებული სახელმწიფო ქონების გამოძიების დროს წარმოიქმნა არა ერთი, არამედ ათეული ვერსია, რასაც სინამდვილეში ადვილი აქვს თითქმის ყოველთვის, საჭიროა შეიქმნას საგამომძიებლო ჯგუფი ან ჯგუფები და მათ დაევალოს განსაზ-

ღვრული ვერსიების შემოწმებაც. ასეთი მოქმედების მიზანია ის, რომ ყველა ვერსიის შემოწმება მოხდეს ერთდროულად, სწრაფად და ეფექტიანად.

ისმის კითხვა, რა მონაცემებიდან არის შესაძლებელი, რომ გამოძიებულმა შეადგინოს ესა თუ ის ვერსია? კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „გამომძიებელს შეუძლია ვერსიის შედგენის საფუძველი ამოიღოს საქმის ყველა მასალებიდან“.<sup>1</sup> ჩვენ მივგაჩნია, რომ ასეთი ახსნა მეტად ზოგადია და იგი ვერ პასუხობს სწორი ვერსიის შედგენის პირობას, ჩვენი აზრით, ვერსიის შედგენა, რომელსაც რეალური საფუძველი ექნება დაინტერესდეს გამოძიება და ფუჭად არ დაიკარგოს დრო, შესაძლებელი იქნება „არა ყველა მასალიდან“, არამედ იმ კონკრეტული დატაცების ფაქტის განხორციელების ხერხიდან, საშუალებიდან, რომელიც დამოკიდებულია დროზე, ვითარებაზე და იმ მატერიალურ თუ თანამდებობის პირთა უფლებამოსილების განხორციელებაზე ან უგულებელყოფაზე, რამაც საბოლოო ანგარიშით განაპირობა დატაცება და დანაშაულის კვალის დაფარვა. აღნიშნულ კატეგორიათა საგამომძიებო პრაქტიკის შესწავლა ადასტურებს, რომ პირველადი საგამომძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა გატარების შედეგად, გამოძიებელი დებულებს უკვე განსაზღვრულ მასალებს, რომლებიც საფუძველს აღწევნ მას შეადგინოს არა მარტო ზოგადი ხასიათის, არამედ კონკრეტული ხასიათის ვერსიებიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ქონების დატაცების ხერხის და საშუალებების სწრაფი დადგენა, რადგან მათ საფუძველზე გამოძიების მიერ შედგენილი ვერსია პასუხს გასცემს საბოლოოდ, არა მარტო დატაცების ფაქტის განხორციელების მნიშვნელოვან საკითხთა წრეს, არამედ იმ კითხვასაც, თუ ვის შეეძლო ჩაედინა ასეთი ხერხით და საშუალებით დატაცება.

1998 წლის 29 აგვისტოს ქ. ბათუმის სასამართლოში განხილული იქნა სისხლის სამართლის საქმე ვინმე ორი პირის მიმართ (დან. მათ. ს.ს.კ. 91-ე მუხლის 1-ლი ნაწ). რომლებმაც 1997 წლის 24 ნოემბერს დაახლოებით 20 საათიდან 21 საათამდე განხორციელეს სახელმწიფო ქონების დატაცება, რაც იმაში გამოიხატება, რომ პორტიდან გამოსული ხორბლით დატვირთულ ვაგონებს ახსნეს 15 ცალი გასაჩერებელი ბუქსი და 9 ვაგონიდან დაიტაცეს სახელმწიფო ქონება.

გამომძიების დაწყებისთანავე წარმოიშვა ვერსია იმის შესახებ, რომ აღნიშნული დანაშაული შეეძლო ჩაედინა პირს, რომელმაც კარგად იცოდა ტვირთშიხიდი ვაგონების გასაჩერებელი ბუქსის ჩადება და მოხსნა.

აღნიშნული ვერსიის შემოწმებამ დაადგინა, რომ დამტაცებლები იყვნენ რკინიგზის მუშაკები, რომლებიც უშუალოდ ახდენდნენ ვაგონების ბუქსების მოხსნით გადაადგილებას ორთქლმავლის გარეშე. ეს ერთადერთი ვერსია, რომელიც შედგა დამტაცებელ პირთა დასადგენად, სწორი აღმოჩნდა.

ვერსიის სწორად შედგენის და შემოწმების საფუძველზე გამოძიებაც სწორად წარიმართა და მიყენებული ზარალი ანაზღაურებული იქნა. აღდენად ცხადი ხდება, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გამოძიების დაგეგმვის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ვერსიების შედგენას, რომლებიც პასუხს გასცემენ კითხვას — რა ხერხით მოხდა ქონების დატაცება? ეს კითხვის მხრივ, საშუალებას მისცემს გამოძიებელს, გამოძიების დასაწყისშივე შეიმუშავოს განსაზღვრული საგამომძიებო ღონისძიებების გატარების მეთოდიკა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ვერსიის შედგენის საფუძველიანობას,

<sup>1</sup> А. Н. Васильев, Г. Н. Мудрюшин, Н. Я. Якубович, Планирование расследования преступлений, Госюриздат, 1967, с. 95.

მთელ რიგ შექმნეველებში, განაპირობებს დატაცების ზოგიერთ სპეციფიურ ნიშანთვისებათა არსებობა, რომლებიც ამა თუ იმ დატაცების ხერხის ნაშთს ათებელია, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ნიშანდობლივი გარემოება შესაძლოა იყოს როგორც დანაშაულებრივი ქმედების მახასიათებელი, ასევე ისეთის, რომელიც არანაირად არ იქნება დაკავშირებული დატაცებასთან.

ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოვიყვანთ ასეთ მაგალითს. დანაკლისის ან პროდუქციის ზედმეტობის გამოყენების დროს, როგორც წესი, იქმნება ვერსია, რომ ადგილი აქვს დატაცებას ან დატაცების მცდელობას. ეს გასაგებია და მას თავისი ობიექტური ახსნაც გააჩნია, ვინაიდან პროდუქციის დატაცების დროს საწყობს უნდა გამოუვლინდეს დანაკლისი, ხოლო ზედმეტობის დროს კი ჩნდება ეჭვი, რომ დამატებელმა შეჰქმნეს რეზერვი დასატაცებელი პროდუქციისა. მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ასეთი შემთხვევებიც, როდესაც დანაკლისი ან ზედმეტობა ამა თუ იმ პროდუქციისა შეიძლება შეიქმნას სათანადო საბუთების დაკარგვის შემთხვევებში, ანდა არასწორი აღრიცხვა-ანგარიშგების დროს; მითუმეტეს გასათვალისწინებელია, რომ საზღვაო სანაოსნო სავაჭრო პორტების საწყობებში პროდუქციის დაბინავებას და აღრიცხვას საკმაოდ დრო სჭირდება.

აღნიშნულ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ვერსიათა მეტნაკლებად სწორად შედგენა და რაც მთავარია, მათი შედეგიანი შემოწმება. გამოძიების მეთოდიკის თვალთახედვით ვერსია, რომელიც წარმოიქმნა დატაცების ასახსნელად ზოგადად და ცალკეული ელემენტების დასადგენად, კერძოდ, უნდა შედგეს გამოძიებლის მიერ სწორედ იმ არსებული მასალებიდან და გარემოებიდან გამომდინარე, რომლებიც გამოძიებელს გააჩნია საქმის ფაქტობრივი გარემოების შედეგად და რომლებიც სწორედ კონკრეტულ დატაცებას ეხება. ამიტომ გამოძიებელმა ვიდრე ააგებდეს ამა თუ იმ ვერსიას, საჭიროა ღრმად გაანალიზოს თითოეული ფაქტი, რომელიც მისთვის ცნობილია და ასევე ყველა გარემოებანი განიხილოს ურთიერთაკავშირში, რომლებიც მეტნაკლებად ხსნიან დატაცების ხელშემწყობ პირობებს და დატაცების ხერხს. ურთიერთგანალიზება უნდა განხორციელდეს, როგორც წესი, ერთდროულად ფაქტების შეკრებისთანავე, ვინაიდან ორივე ეს პროცესი (ფაქტების შეკრება და განალიზება) ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან და ურთიერთს განაპირობებენ. მაგალითად, როდესაც გამოძიებელი აწარმოებს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას (ე. ი. პორტის საწყობის), იგი აღწერს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებსაც, მისი აზრით პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი აქვს გამოსაძიებელ შემთხვევასთან. აქ ვხვდებით ისეთ შემთხვევას, როდესაც გამოძიებელი აწარმოებს რა მოწმის დაკითხვას, მიღებული ჩვენებებიდან და შეკრებილი მასლიდან იღებს და აფიქსირებს მოწმის იმ ჩვენებების ნაწილს, რომელიც ეხება დანაშაულებრივ ქმედების რომელიმე მხარეს, ამიტომ არ შეიძლება მოიძებნოს ისეთი მუდმივი კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მისცემდა გამოძიებელს ყველა შემთხვევაში განესაზღვრა დატაცების მნიშვნელოვანი გარემოებანი და მათი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასთან.

კავშირი ცალკეულ გარემოებასა და განხორციელებულ დანაშაულებრივ შემთხვევას შორის იმდენად მაცდუნებელია, რომ მისი ზუსტი განსაზღვრა უმოკლეს დროში შეუძლებელია (მხედველობაში გვაქვს დანაშაულის შემადგენლობა). ასეთი სიტუაციები წამოიჭრება მაშინ, როდესაც ესა თუ ის ფაქტი შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო არა მარტო დანაშაულებრივი გარემოებათა არსებობით, არამედ სხვა მიზეზებითაც, მაგალითად, როდესაც საზღვაო სავაჭ-



რო პორტში რაიმე სახის პროდუქცია გადმოიტვირთა გემიდან და ვერ მოხერხდა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მისი საწყობში დაბინავება. დამით მოვარდნილმა შტორმმა კი ნავმისადგომიდან წარეცხა დიდი ნაწილი პროდუქციისა. გამოძიებას უდავოდ წამოეჭრებოდა ვერსია იმის შესახებ, ხომ არ არის გაზრდილი შტორმით წაღებული პროდუქციის რაოდენობა, ანდა იყო კი ასეთი ძლიერი შტორმი; და ა. შ.

ზემო ნათქვამიდან შესაძლოა გავაკეთოთ დასკვნა, რომ ზოგადი თუ კერძო ვერსიის შედგენის აუცილებლობა აიხსნება იმით, რომ დადგინდეს ცალკეული ფაქტი, გარემოება, მოვლენა. ასეთ შემთხვევებში მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ (ორი მომენტი: 1) აღნიშნულ ფაქტს აქვს თუ არა მნიშვნელობა ჩვენ წარმოებაში არსებული საქმისათვის და 2) აღნიშნული ფაქტი უშვებს თუ არა ქმედების რაზმენიმე სხვადასხვა ხასიათის ახსნას? ჩვენ შემთხვევით არ დავანაწილეთ კერძო ვერსიის ანალიზის შედეგად მიღებული შედეგის მნიშვნელობა სავაჭრო სექტორთან ურთიერთკავშირში. საზღვაო ნავსადგომის პორტებში განხორციელებული სახელმწიფო ქონების დატაცების დროს გამოძიება, როგორც წესი, დგება მეტად მნიშვნელოვანი სირთულის წინაშე, რომელიც მდგომარეობს იმ პირთა წრის განსაზღვრაში, ვისაც შეეძლო განეხორციელებინა დატაცება. როდესაც პროდუქცია შესულია პორტის საწყობებში, იგი აღრიცხულია, მონაცემებში კი მითითებულია საქონლის გადმოტვირთვის, ხარისხის და სხვა რეკვიზიტები. თუ პროდუქცია ან საქონელი კონტეინერშია, აქაც მას ეძლევა სასაწყობო ნომერი. პროდუქციის დაბინავებისა და აღრიცხვის ასეთი წესი აადვილებს გამოძიების ამოცანას კერძო და ზოგადი ვერსიების შედგენისა, რომელიც მიზნად ისახავს დამტაცებელთა პირთა წრის და დამტაცებელთა მხრივ დატაცებული პროდუქციის ხერხის განსაზღვრას. მაგრამ სულ სხვა ამოცანის წინაშე დგება გამოძიებელი, როდესაც საქონლის დატაცება ხდება გემიდან საქონლის გადმოტვირთვის პროცესში, პროდუქციის საწყობში მიტანამდე. აქ პირთა წრე, ვისაც შეეძლო განეხორციელებინა დატაცება, ფართოა. ამიტომ ცალკეული კონკრეტული ვერსიების პარალელურად უნდა აიგოს ისეთი ზოგადი სახის ვერსიებიც, რომელთა გულდასმით შემოწმება პასუხს გასცემს გამოძიებისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს — ვის და როგორ შეეძლო განეხორციელებინა დატაცება. საქონლის დატაცება, უშუალოდ გადმოტვირთვის პროცესში, შედარებით ადვილია დამტაცებლებისათვის, რადგან გადმოტვირთვის პროცესში იგი არ აღრიცხება. აღრიცხვა იწყება მხოლოდ მისი დაბინავების მომენტიდან, როდესაც საწყობის გამგე მიიღებს პროდუქციის ზედნაღებებს ან კონოსამენტს. ვერსიები, რომლებიც სახელმწიფო ქონების დატაცების დროს ამ პროცესში წარმოიშვება, ძირითადად, გამიზნულია დამტაცებლების და მათი ხელის შემწყობი პირების წრის დასადგენად. ვერსია იმის თაობაზე, რომ პროდუქციის დატაცებაში შესაძლოა მონაწილეობდნენ დაცვის თანამშრომლებიც, თითქმის ყოველ ასეთ შემთხვევებში წარმოიშვება ხოლმე და არც თუ უსაფუძვლოდ. ამის საფუძველს ისევ და ისევ სასამართლო და სავაჭრო პრაქტიკა გვაძლევს.

რა ს. ხის პროდუქციის დატაცებასაც უნდა ჰქონდეს ადგილი გემიდან გადმოტვირთვის დროს, დაზნაშავენი ყოველთვის დაინტერესებულნი არიან დატაცებული საქონელი არ შეიტანონ საწყობში (არ აღრიცხონ და პირდაპირ მოხდეს მათთვის ხელსაყრელ დროს მისი პორტის ტერიტორიიდან გატანა. ამ ოპერაციის განხორციელება კი შეუძლებელია დაცვის გარეშე, ვინაიდან ყოველი სატრანსპორტო საშუალების მფლობელი და პროდუქციის გამტანი ვალებულია პორტის დაცვას წარუდგინოს სპეციალური საშვი, რომლის ერთი

ცალი დაცვას რჩება. აქედან ცხადი ხდება, რომ გამოძიებამ ერთ-ერთ ვერსიად უნდა დაგვემოს დაცვის თანამშრომლების თანამონაწილეობა.

ვერსიათა ხასიათი, მათი შემოწმების ხერხები და საშუალებებში ერთ-ერთი ძირითადია გამოძიებლის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ საზღვაო ნავსადგომებში (პორტებში) სახელმწიფო ქონების დიდძალი ოდენობით ტვირთი იყრის თავს, ძნელად წარმოსადგენი არ უნდა იყოს ვერსიათა შედგენის და არამართო შედგენის, არამედ შედეგების შეფასების საკითხებიც. ამიტომ კერძო ვერსიათა პარალელურად იქმნება ზოგადი ვერსიები, რომელთა მიზანია კერძო ვერსიათა პარალელურად აღადგინოს მთლიანობაში ის ვარაუდი (ვერსია) დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისა, რომელიც გამოძიებას მიიყვანს დატაცების ფაქტის სრულ გახსნამდე და დამნაშავეთა დადგენამდე. ზოგადი ვერსიების შედგენის საფუძველი, ძირითადად, არის ის პირველადი მტკიცებულებების წყაროები, ფაქტობრივი გარემოებები და სხვადასხვა მონაცემები, რომლებიც სამართალდამცვე ორგანოებს ხელთ აქვს გამოძიების დაწყებისთანავე.

ბათუმის საზღვაო სავაჭრო პორტში პორტის დაცვასთან ერთად, ფუნქციონირებს გასამხედროებული დაცვაც, რომელიც ვალდებულია დღედაღამ თვალყური ადევნოს პორტში გადმოტვირთულ საქონელს. ისინი ასევე ვალდებული არიან პორტის მიმდებარე ზღვის აკვადორიატ მხედველობაში ჰქონდეთ. ამ მოვალეობის განსახორციელებლად მათ ხელთ არის ტექნიკა (სატელეფონო შიგა ქსელი, პროექტორები, გაწვრთნილი ძაღლები და ა.შ.), ამიტომ თუ ადგილი ექნება პორტიდან დატაცებული ქონების დაკავებას მიმდებარე ტერიტორიაზე, ანდა ზღვის ნაწილში, რომელიც საზღვაო პორტს არ ეკუთვნის, ცხადია, გამოძიების წინაშე წამოიჭრება (კერძო ვერსიებთან ერთად) ზოგადი ვერსიები და მათი შემოწმების აუცილებლობა, კერძოდ, დანაშაულებრივი კავშირის არსებობა უშუალოდ დამტაცებლებსა და ორი სახის დაცვის თანამშრომლებს შორის. აღნიშნული ვერსიის შემოწმების გარეშე შეუძლებელი იქნება საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, რაც გულისხმობს დანაშაულებრივი ქმედების სრულ გახსნას და დამნაშავეთა გამომჟღავნებას.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა დასტურია იმისა, რომ უშუალო დამტაცებლები, როგორც წესი, თავის თავზე იღებენ საქონლის დატაცების პირველ სიძიმეს. ეს გასაგებია, რადგან მათ არ სურთ ქმედობა დაკვალიფიცირდეს როგორც ორგანიზებული დანაშაული, თანაც წინასწარ განზრახვით. მეორე მხრივ კი, მათ სურთ ჰყავდეთ დამცველები და დამხმარენი გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს. გამოძიების ამოცანაა, რომ ეს იმედები გაუცრუოს ბოროტმოქმედებს, რის გამოც გამოძიების გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ისეთი ზოგადი და კერძო ვერსიების ურთიერთშერწყმას და შემოწმებას, როგორცაა დადგენა დროისა, რაოდენობისა, პორტიდან გატანის ინტენსიურობისა, ტრანსპორტის ტიპისა და ა. შ. თითოეული კითხვა კერძო ვერსიათა მთელი კომპლექსია, რომელიც საბოლოოდ პასუხს სცემს ზოგადი ხასიათის ვერსიებსაც. გავეცნოთ ორგანიზებულად ვერსიების შედგენის და შემოწმების მაგალითს. 1997 წლის 18 ოქტომბერს, ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის № 9 ნავმისადგომზე თბომაველ „მატევი მურავიოვიდან“ დაიტაცეს დიდი ოდენობით შაქრის ფხვნილი, დატაცებაში მონაწილეობდნენ პორტის თანამშრომლები, რომლებიც მუშაობდნენ დოკერ-მექანიზატორებად. დანაშაულებრივი ქმედების გახსნა და დამნაშავეთა დაკავება

მოსხა ეფექტიანად, ცხადია, ვგულისხმობთ მიყენებულ ზარალის ანაზღაურებასაც. გამოძიება სრულიად მართებულად მოიქცა, როდესაც არ დაკმაყოფილდა მიღწეული და ბოლომდე მიიყვანა საგამოძიებო გეგმით დასახული დონის ძიებების შესრულება, შემდგომში მსგავსი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით და შესაბამისი კერძო განჩინებით აღმოიფხვრა ის დარღვევები, რომლებიც ზელს უწყობდა დამტაცებლებს დანაშაულის კვალის დაფარვაში.

ბუნებრივია ისმის კითხვა, რატომ ეთმობა ასეთი დიდი მნიშვნელობა ვერსიების შედგენის და მათი შემოწმების საკითხებს? რატომ არ შეიძლება გამოძიება პირდაპირ გაჰყვეს დაფიქსირებული ფაქტის გამოძიებას, ყოველგვარი გეგმის და ვერსიების აგების გარეშე? გამოძიების მსვლელობა ზომ თვით დააყენებს გამოსარკვევ საკითხებს და თუ რამდენად მისაღები და მნიშვნელოვანი იქნება ისინი საქმისათვის, ამის მიხედვით მოხდება შემოწმება?

ასეთი მიდგომა ვერსიების შედგენისა და შემოწმებისადმი კრიმინალისტიკურ მეცნიერებას მიაჩნია დაუშვებლად. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფესორ ვ. ტერებილოვს, რომელიც მიუთითებს, რომ „ვერსიათა აგების გარეშე შეუძლებელია დანაშაულის სრული გახსნა და დამნაშავეთა გამოძიება“.<sup>2</sup>

კრიმინალისტიკურმა მეცნიერებამ შეიმუშავა საგამოძიებო ვერსიათა შემოწმების მთელი რიგი ხერხები და საშუალებები, რომელთა შემოწმებასაც მიყვევართ დანაშაულის სუბიექტის, სუბიექტური მხარის, ობიექტის და ობიექტური მხარის დადგენამდე. ჩვენს მიერ რეკომენდირებული მოქმედებები გამოძიების მეთოდის ზოგადი მითითებებია, რომელთა გამოყენებაც მხოლოდ მაშინ მისცემს გამოძიებელს ეფექტს, თუ ზოგად და კერძო ვერსიათა შემოწმების ხერხებსა და საშუალებებს დაუკავშირებს კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების იმ თავისებურებებს, რომელიც გამოიხატება დანაშაულის ჩადენის ადგილის, დროის, პირობებისა და იმ სპეციფიკის გათვალისწინებაში, რაც თითოეულ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებას ყოველთვის ახასიათებს. მთელ რიგ შემთხვევებში კი თვით დატაცებული ობიექტის ხასიათი და მისი დანიშნულება წარმოქმნის სრულიად რეალურ ვერსიას და მიიყვანს გამოძიებას დანაშაულის სწრაფ გახსნამდე.

ამ მოსაზრების ნათელი მაგალითია სისხლს სამართლის საქმე, რომელიც აღიძრა 1996 წლის 4 ივნისს, სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტზე. საზღვაო დეპარტამენტის სადიზელო-საგენერატორო სადგურიდან დატაცებული ძვირადღირებული აკუმულატორის შესახებ გამოძიებამ პირველადი ვერსია ააგო იმის დასადგენად, თუ ვის შეეძლო დაეტაცებინა ასეთი დანადგარი, რამდენ პირს უნდა მიეღო მონაწილეობა (ვინაიდან ერთ პიროვნებას არ შეეძლო მისი გატანა) და სად უნდა მომხდარიყო მისი რეალიზება. ცხადი ხდებოდა, რომ დანადგარი უნდა შეეძინა არა მსუბუქი ავტომანქანების მძღოლებს, არამედ საზღვაო ნაოსნობის სეინერების და კატარღების მესვეურთ. ამ დასკვნამ განაპირობა ზოგადი ვერსიის აგება, რათა დადგენილი ყოფილიყო ვისი სეინერები და კატარღები საჭიროებდნენ გატაცებულს. უმოკლეს ვადაში დადგინდა შემძენი პირები, რომელთა ჩვენებების შედეგად გამოვლინდა დამტაცებლები, გაირკვა და დადგინდა დანაშაულის სუბიექტური მხარე და დანაშაულის სხვა შემადგენელი ელემენტები.

<sup>2</sup> В. И. Терсбилов, к вопросу о следственных версиях и планирование расследования, «Советская криминалистика на службе следствию» — вып. 6-й Госюриздат, 1975, вып. 6.

ყველა აღწერილ შემთხვევაში აუცილებლობა კარგად გააზრებულ ვერ-  
სიათა შედგენა, მათი დროული შემოწმების ხერხების და საშუალებების დასა-  
ოება, რათა პასუხი გაეცეს გამოძიებისათვის საინტერესო საკითხებს.  
დაბოლოს არ არის და არც შეიძლება იყოს სტანდარტული საგამომძიებო  
გეგმა ყველა დეტალების საქმეთა გამოძიებისათვის, არამედ არის წრე საკითხე-  
ბისა, რომელთა გარკვევა აუცილებელია საზღვაო ნავსადგომთა საწყობებიდან  
სახელმწიფო ქონების დეტალების საქმეთა გამოძიების დროს.



## გიორგი ჯანაშია

# ძალადობითი დანაშაულობის შეფასების საკითხი

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში ძალადობითი დანაშაულობა განიხილება  
როგორც ერთ-ერთი რთული და საშიში მოვლენა. წამყვანი საერთაშორისო  
ორგანიზაციები ომის მიზეზების გამორკვევისას სულ უფრო და უფრო ხშირად  
აქცევენ ყურადღებას ძალადობითი დანაშაულობის ბუნებისა და მიზეზების დად-  
გენას<sup>1</sup> და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ სახის დანაშაულობა უშუალოდ ხელ-  
ყოფს უმთავრეს საზოგადოებრივ ღირებულებას — ადამიანს, მის ჯანმრთელო-  
ბას, სულიერ წონასწორობას და თვით სიცოცხლეს.

თითქმის ყველა ქვეყანაში ძალადობითა დანაშაულობამ ე. წ. „ქუჩური“  
მოდელიდან გადაინაცვლა სხვა დონეზე, შეიძინა ახალი, ადრე არსებული საში-  
ში ფორმები.<sup>2</sup> ამიტომ მრავალი ქვეყნის კრიმინოლოგია სამართლიანად განიხი-  
ლავს ძალადობით დანაშაულობას, როგორც საერთაშორისო პრობლემას.

გაერთიანებული ერების მეცხრე კონგრესმა (კაირო, 1995 წ.) სპეციალურად  
განიხილა „ძალადობით გამოყენებული დანაშაულობის თავიდან აცილების“ სა-  
კითხი, რომელიც შემდგომ წარდგენილ იქნა „ძალადობის მიზეზების საერთა-  
შორისო მიმოხილვის“ ნაწილის სახით.

ამ დოკუმენტების მოსამზადებელ მასალებში აისახა ევროპული, ლათინურ-

1 Сборник стандартов и норм ООН в области предупреждения преступности и уголовного правосудия. ООН, Нью-Йорк, 1992, ст. 108—325; Насилие в семье, — Седьмой конгресс ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. ООН, Нью-Йорк, 1986, ст. 75—78; Искоренение насилия в отношении женщин. Девятый конгресс ООН по правонарушителям, A/CONF 169/16 12 May 1995. P 32—36.

2 M. GREEN Chronic Exposure to Violence and Poverty-Crime and Delinquency. 1993. V. 39. W-L, p. 106-124.

ამერიკული, აზიური, არაბული და აფრიკული რეგიონების შემოერთება ძალადობითი დანაშაულობის ზრდასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მწვავედ განიხილებოდა ძალადობის ისეთი ფორმები, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენდნენ ქალაქებში,<sup>3</sup> სკოლებში, რეალურად ხელყოფდნენ ბავშვებს<sup>4</sup> და ქალებს.<sup>5</sup> მეცნიერთა გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ძალადობამ დანაშაულის ფორმით შეიძინა მასობრივი პროცესის ხასიათი. იგი არის არა მარტო ცალკეული ქვეყნების საზოგადოებრივი და ინდივიდუალური პრობლემა, არამედ საერთაშორისოც.<sup>6</sup> ტრანსნაციონალური ტერორისტული საქმიანობა — ძალადობის ახალი ფორმაა, რომელიც „ავიარგინებს“ დანაშაულის ევოლუციას. საერთაშორისო დოკუმენტებში არაერთხელაა მითითებული, რომ ძალადობითი დანაშაულობა განსაკუთრებით ვრცელდება დიდ ქალაქებში, სადაც დამნაშავეს ადვილად შეუძლია დამალვა. ქალაქების ზრდა, მოსახლეობის მობილურობა, დაუკეგმავი ლეგალური ურბანიზაცია, ქალაქის მოსახლეობის უზომო გაფართოება და სხვა ამგვარი ფაქტორები ხელს უწყობენ ქალაქებში ძალადობის ზრდას. წასთან ერთად მკვლევარები მიუთითებენ ქალაქში ჩამოსული სოფლის მოსახლეობის გაუცხოების ფაქტს. ბედნიერი ცხოვრების მოსაპოვებლად ქალაქში ჩამოსული ადამიანი კარგავს ტრადიციულ კავშირებს. ქალაქის უცხო კულტურა, არსებობის ანონიმურობა, მუდმივი ცხოვრებისეული დამაბულობა ხელს უწყობს სისასტიკის დამკვიდრებას.<sup>7</sup> ბავშვების და ქალების მიმართ ძალადობის გავრცელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიმინოლოგიური პრობლემაა. სამწუხაროდ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოები არ ამხვილებენ ყურადღებას სისასტიკის ფაქტებზე, ეგუებიან ამ მოვლენებს, როგორც ცივილიზაციის თანმხლებ დასაშვებ პროცესს.<sup>8</sup> ზოგიერთი მონაცემის მიხედვით მართლ რუსეთში ძალადობის ობიექტია 2 მილიონი ბავშვი. ძალადობის ფაქტებზე მეტყველებს ასევე ჯარში არსებული ახალმოსულთა დამცირების „აღმზრდელობითი“ მეთოდები და სხვა.

ძალადობითი დანაშაულობის გავრცელებამ მთელი მსოფლიოს წინაშე დააყენა მისი, როგორც კრიმინოლოგიური თეორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემის ახსნის საკითხი, ასევე დანაშაულობის თავიდან აცილების ცნების და მისი ფორმების განსაზღვრის აუცილებლობა.<sup>9</sup>

ჩვეულებრივი ლეფინციის დონეზე ძალადობითი დანაშაულების გავება ეჭვს არ იწვევს. თითქმის ყველა ერთხმად თვლის, რომ დანაშაულის ამ სახის

3 О насилии в небольших американских городах — Борьба с преступностью за рубежом, 1993, № 5, ст. 7—10.

4 М. Юрга. Порнобизнес: Скандал в ФРГ. — «За рубежом», 1990, № 3, Преступления против малолетних в США — Проблемы преступности в капиталистических странах, 1986, № 5, ст. 13;

5 D. SRAVO. Supposed Crime and Jurisdiction at the Turn of the Century, Toronto, 1991.

6 Г. Якобсон. Болезнь, охватившая человечество — «Литературная газета», 1996, 20 марта.

7 D. CRESSEY. Theft of the nation: The structure and operations of orgaized crime in America. N. Y. 1969.

8 R. REINER. The British policy tradition: Model of myth — Social changes, crime and police (international conference) Budapest, 1993 p. 29-33; N. JAREBORG. The Swedish sentencing law. — Turpean Journal on Criminal Policy and Research. 1994. V. 2 W. I. P. 71-80 ets.

9 А. С. Никифоров. США: Новый закон о контроле над насильственной преступностью — Криминологические и уголовно-правовые идеи борьбы с преступностью, М., ИГПАН, 1966 г.

განმსხვავებელი ნიშანია დაზარალებულის მიმართ ძალადობის და შუქარის გამოყენება. ძალადობითი დანაშაულობის შედეგი კი სიკვდილი, სხეულის დაზიანება ან ფსიქიკური ზიანია.

ძალადობითი დანაშაულობის კრიმინოლოგიური განსაზღვრა მკვეთრად განსხვავდება სისხლისსამართლებრივი განსაზღვრისაგან. კრიმინოლოგია ამ საკითხს განიხილავს უფრო ფართოდ, მისი ყურადღების ცენტრშია როგორც ბანალური კონფლიქტი ოჯახში, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის შეიარაღებული ძალადობა. ამასთან პირველი მომენტი შეიძლება არ სცილდებოდეს მორალურ გაცივებას, ხოლო მეორე მომენტი რაიმე აზრით პოლიტიკურად იყოს გამართლებული. ამ უკიდურესობების მიუხედავად, კრიმინოლოგიისათვის მნიშვნელოვანია როგორც კრიმინალიზირებული, ასევე არაკრიმინალიზირებული ფაქტი. სისხლის სამართლის თვალსაზრისით კი მნიშვნელოვანია მართო ის ქმედება, რომელიც კვალიფიცირებულია ეროვნული ან საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების მიერ. აღნიშნულ დარგთა განსხვავებას არ აქვს მკვეთრი ზღვარი. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ძალადობითი დანაშაულობის ცნებისადმი ერთიანი მიდგომა პრაქტიკაში არ არსებობს.

განსაკუთრებით წინააღმდეგობრივია საერთაშორისო სისხლის სამართლის დოქტრინა, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ვერ შეაქვს მთელი რიგი მოვლენის მკაფიო და ყველასათვის მისაღები ცნებები, მაგალითად, ტერორიზმის ცნება.<sup>10</sup> საკითხი კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ჩვენ ვვინდა ერთმანეთს შევუდართ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული სისხლის სამართლის ნორმები. აქ ყურადსაღებია, რომ კონკრეტულ დეფინიციათა შორის არ არსებობს ერთიანი, ზოგადი მაჩვენებელი.

გაერთიანებული ერების კითხვარი ეყრდნობა კრიმინოლოგიურ თვალთახედვას, რადგან ძალადობითი დანაშაულობის ცნებაში არ შეაქვს გაუფრთხილებლობითი მკვლელობა. თავისი კრიმინოლოგიური არსით იგი ბევრად არ განსხვავდება იმ წესების დარღვევისაგან, რომლებიც ფიზიკურ ზიანს აყენებს ადამიანს წინასწარი განზრახვის გარეშე.

ყურადსაღებია სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკაში არსებული ცნებების განსხვავება. მაგალითად, აშშ-ის ფედერალურ სტატისტიკურ ანგარიშგებაში შეტანილია მართო განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება და ყაჩაღობა, რაც ნიშნავს ძალადობითი და ანგარებით-ძალადობითი დანაშაულების ფორმათა არაკორექტულ გაერთიანებას. ამერიკის პრაქტიკისაგან ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკური ანგარიშგება განსხვავდება ტრადიციული სიზუსტით, რადგან ძალადობითი დანაშაულობის ცნებაში შეაქვს მართო ის სახეები, რომლებიც კოდიფიცირებულად წარმოადგენენ ძალადობითი დანაშაულობას ელემენტებს (განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება, ძარცვა, სხეულის დაზიანება, მოწამვლა, მძევლების აყვანა და ადამიანის მოტაცება გამოძალვის მიზნით). ინგლისის და უელსის სტატისტიკური ბიულეტენები ემყარებიან კაზუისტურ სისხლის სამართალს. დანაშაულთა რეგისტრაციის ნუსხაში პოლიციას შეაქვს: ძალადობა პიროვნების წინააღმდეგ, სექსუალური დანაშაული და ყაჩაღობა. პირველ რუბრიკაში („ძალადობა პიროვნების შესახებ“) განსაზღვრულია:

10 Меры борьбы с международным терроризмом — Сб. стандартов и норм ООН в области предупреждения преступности и уголовного правосудия. ООН Нью-Йорк, 1992, ст. 50.

1. მძიმე დანაშაულობანი: მკვლელობა, არაპირდაპირი მკვლელობა, ბავშვის მოკვლა, მკვლელობის მცდელობა, შეთქმულება მკვლელობის ჩასადენად, ბავშვის განადგურება, მანქანის სახიფათო ტარება, რომელსაც მოჰყვა სიკვდილი, ძაღლის დაგეშვა ან სხვა საშიში მოქმედება;

2. ნაკლებად მძიმე დანაშაული: ზღვაზე საშიშროების შექმნა, შეურაცხყოფა, თავდასხმა, ორ წლამდე ასაკის ბავშვის მიტოვება, ბავშვის მოტაცება, უკანონო აბორტი, ბავშვის დაბადების დამალვა.

ინგლისის და უელსის სტატისტიკური ბიულეტენი გამოყოფს აგრეთვე ძალადობით სექსუალურ დანაშაულთა ნუსხას, სადაც შედის: პედერასტია, ანორალური ქცევა მამრობითი სქესის პირის მიმართ, გაუპატიურება, ანორალური ქცევა მდედრობითი სქესის პირის მიმართ, ცამეტი წლის გოგონასთან უკანონო სქესობრივი კავშირის დაჭერა, თქვესმეტი წლის გოგონასთან უკანონო სქესობრივი კავშირის დაჭერა, მაჭანკლობა, ქალის მოტაცება ქორწინების მიზნით, ორცოლიანობა და სხვა. უნდა ითქვას, რომ „ბიულეტენს“ ყაჩაღობა შეაქვს ძალადობით დანაშაულთა ჯგუფში.

ინგლისის სტატისტიკური ბიულეტენისაგან განსხვავებით, შვედეთის სტატისტიკა ცალკე არ გამოყოფს ძალადობით დანაშაულობას, რადგან ერთიანობაში ითვალისწინებს ყველა სახის განზრახ და არაგანზრახ მკვლელობას, სხეულის დაზიანებას, სექსუალურ დანაშაულს, ყაჩაღობას და სხვა საშიშ მოქმედებას. რამდენადმე განსხვავებული პოზიცია უკავია შვედეთის მეცნიერებს, რომელსაც სექსუალური დანაშაული არ შეაქვს ძალადობით დანაშაულობაში და აგრეთვე, ცალკე განიხილავს თანამდებობრივ პირებზე ძალადობით ხელყოფას.<sup>11</sup>

შვედეთის სტატისტიკის მსგავსად, არც ფრანგული სტატისტიკური კრებული სარგებლობს ძალადობითი დანაშაულობის რუბრიკით. ამ კრებულში პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის 20 სხვადასხვა სახე გამოიყოფა: მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, მძევლად აყვანა და სხვა დანაშაული, რომელიც ხელყოფს პიროვნებას. აქვე კანონმდებელი ითვალისწინებს ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს (გაუპატიურებას, მაჭანკლობას და სხვა), ოჯახის და ბავშვის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, სადაც ასევე შეაქვს ისეთი მოქმედებები, რომლებიც ძალადობასთან დაკავშირებულნი არ არიან.<sup>12</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ძალადობითი დანაშაული საგანგებოდ არის გამოყოფილი მესამე თავში, რომელშიც განიხილება დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ, თავმოყრილია ძალადობით დანაშაულთა ძირითადი ნაწილი. მაგრამ ძალადობით დანაშაულთა წრე ამით არ ამოიწურება, რადგან აღნიშნულ დანაშაულთა ჯგუფი სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებშიცაა მოთავსებული:

სახელმწიფო დანაშაული (ტერორისტული აქტი, ბანდიტიზმი, მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში);

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლისათვის, რომელიც ასრულებს საზოგადოებრივი

<sup>11</sup> Crime trends in Sweden, 1988 p. 34-46.

<sup>12</sup> ანალიტიკური მასალა იხ: Сборник стандартов и норм ООН в области предупреждения преступности и уголовного правосудия. Нью-Йорк, 1992 г.

წესრიგის დაცვის მოვალეობას; საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკისათვის ან სახალხო რაზმელისათვის წინააღმდეგობის გაწევა; მუქარა ან ძალადობა თანამდებობის პირის ან მოქალაქის მიმართ, რომელიც საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებს);

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (ხულიანობა, აფეთქება, ტრანსპორტის მუშაკის იძულება, ნავთობ-ძომპოვებელი ობიექტის მუშაკთა იძულება და სხვა).

სამხედრო დანაშაული (წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა, ძალმომრეობითი მოქმედება უფროსის მიმართ, ძალადობა მოსახლეობის მიმართ საომარი მოქმედების რაიონში).

აქვე აღვნიშნავთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ახალ პროექტში ძალადობითი დანაშაული ასევე განაწილებული კოდექსის სხვადასხვა თავში.

კრიმინოლოგიური დაკვირვებისათვის აღნიშნული სახის დანაშაულთა სხვადასხვა თავში განაწილება აძნელებს მათ მთლიანობაში ასახვას. მართალია, გარკვეულ სურათს გვაძლევს კოდექსის თავი, რომელშიც პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია ასახული, მაგრამ ამ თავშიც მოცემულია ისეთი დანაშაული, რომელიც ჩადენილია ძალადობის ნიშნების გარეშე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კრიმინოლოგიის წინაშე დგება დაკვირვების ობიექტის შერჩევის პრინციპის პრობლემა.

კრიმინოლოგიური ტრადიციის მიხედვით ყველაზე ხელსაყრელი მიდგომაა დანაშაულთა დაჯგუფება დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის მიხედვით.<sup>13</sup> ხელყოფის ობიექტზე დაფუძნებული კლასიფიკაცია კი დაიკავებს მეორეხარისხოვან ადგილს. ამიტომ კრიმინოლოგიური სიტუაციის სრული ასახვისათვის მიზანშეწონილია ათეულის წერტილად ძალადობით დანაშაულობის სუბიექტური ასპექტი გამოვაცხადოთ.

ამ მიმართებით დანაშაულობის ყველა ფორმა დაიყოფა ძალადობით, ანგარებით-ძალადობით და ანგარებით ჯგუფებად. ეს მიდგომა ყველაზე პერსპექტიულია და მას არაერთი მიმდევარი ჰყავს.<sup>14</sup> თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი სტატისტიკური უზრუნველყოფის საქმე ჯერჯერობით ნაკლებადაა მოვარებული ან სტატისტიკა ნაკლებადაა დამუშავებული. მართალია, მოტივაციის ზოგიერთი ასპექტი სისხლის სამართლის განხილვის დროს უშუალოდ დგინდება, მხედველობაში გვაქვს ის ნორმატიული შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლებრივი უმართლობა სუბიექტური ნიშნით აიგება.<sup>15</sup> მაგრამ მოტივაციის საკითხი, გარკვეული გამოწვევის გარდა, არაა შეტანილი დანაშაულთა აღრიცხვის პირველადი სახის დოკუმენტაციაში.

სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა და კრიმინალური სტატისტიკა როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ჯერჯერობით საშუალებას არ გვაძლევს, რომ ძალადობითი დანაშაულობის სრული ანალიზი გან-

13 В. В. Лунеев. Мотивация преступного поведения. М., 1991 г.

14 აღნიშნულ კლასიფიკაციას იყენებენ ქართველი კრიმინოლოგებიც, იხ. მ. ბაძაღა, ჯგუფური დანაშაული, თბ., 1998.

15 სუბიექტური ელემენტი, როგორც უმართლობის დამფუძნებელი ელემენტი, იხ. ო. გამყრელიძე. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯის საფუძველი, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 165.



ვახორციელოთ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დანაშაულობის ფორმა ყველგან განხილვა, როგორც ძალზე საშიში და უმძიმესი.

ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება არის საზოგადოების უმთავრესი სოციალური ღირებულება. ამიტომ ძალადობის კრიმინალიზირებული ფორმების შესწავლა სცილდება კრიმინოლოგიური კვლევის საგანს და პოლიტიკურ ხასიათს იძენს. ამაზე მეტყველებს მსოფლიოს ქვეყნებში დეპუტატთა მკვლელობა, სხვა სახის დანაშაულობა, რომელიც ხელყოფს პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეწარმეებს, ჟურნალისტებს, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს და სხვა.



**როინ კაპანაძე**

**ხმის ჩანერას არსი და მნიშვნელობა**

**სისხლის სამართალწარმოებაში**

თანამედროვე პირობებში გამოძიების ხარისხისა და კულტურის ამაღლება, ასევე სასამართლოში საქმის განხილვა მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის პროცესში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დანერგვასა და გამოყენებასთან.

გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის გაუმჯობესება კავშირშია ასევე ისეთ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასთან, როგორიცაა ფოტოაპარატურის, კინოგადაღების, აუდიო და ვიდეო აპარატურის გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 1960 წლის 30 დეკემბერს, საერთოდ არ ითვალისწინებდა ხმის ჩანერას დაკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს. აღნიშნული ნაკლი ნაწილობრივად გამოსწორდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებით „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. ამ ბრძანებულების შესაბამისად 96<sup>1</sup> მუხლით დაწესდა დაკითხვის დროს ხმის ჩანერის გამოყენება, რაც უნდა ჩაითვალოს პროგრესულ მოვლენად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 96<sup>1</sup> მუხლი ითვალისწინებდა ხმის ჩანერას მხოლოდ დაკითხვის დროს (ექვმიტანილის, ბრალდებულის, მოწმის და დაწარალებულის).

1 Селиванов Н. А., Современное состояние криминалистической техники и пути ее развития, «Вопросы криминалистики», 1962, № 5, с. 124—125; Роженбит С. Я., Возможности использования звукозаписи при производстве следственных и судебных действий, «Вопросы криминалистики», 1964 № 10, с. 70—71.

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა დაწინაოებულნი იქნა ნილობრივ გააფართოვა ხმის ჩანერის შესაძლებლობა არა მარტო დაკითხვის, არამედ სხვა საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების დროს, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის პროცესშიც. ახალი საპროცესო კოდექსი უშვებს ვიდეოგადაღებას და აუდიოჩანერას სასამართლოში საქმის განხილვის დროს (მუხლი 16/2), ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას (მუხლი 65/2), დაკითხვის პროცესის ფიქსაციის მიზნით ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებას (303-ე და 304-ე მუხლები). შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესის ჩანერას (334-ე მუხლი) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს აღნიშნულ ტექნიკური საშუალებების გამოყენებას (342/6 მუხლი), ამოსაცნობად წარდგენისას (349/3). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩანერილი ხმა ინვეს ეჭვს, საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების სავალდებულო შემთხვევას ჩანერილი ხმის იდენტიფიკაციის მიზნით (ფონოსკოპიური ექსპერტიზა).

სისხლის სამართალწარმოებაში ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენების შესახებ საკითხი დაყენებული იყო ამ ტექნიკური საშუალებების საპროცესო რეგლამენტაციამდე, მაგრამ პირველი შრომები, რომლებიც შედარებით დანვრილებით აღწერდნენ ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენების პროცესულურ წესს, დაინერა სამოციან წლებში<sup>1</sup>.

საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლო პრაქტიკაში ახალი ტექნიკური საშუალებების დანერგვა ყოველთვის უნდა ისახავდეს მიზნად საგამოძიებო, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და სასამართლოში საქმეთა განხილვის გაუმჯობესებასა და სრულყოფას. მათი გამოყენების შესაბამისობას კანონთან, სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან და პროცესის მონაწილეთა უფლებათა რეალურ განხორციელებასთან.

ხმის ჩანერა ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენების მიზნით ისახავს აგრეთვე საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების ზუსტ და ობიექტურ ფიქსირებას, ხელს უწყობს გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვის კულტურის დონის ამაღლებას.

ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში განუხრელად უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების პრინციპს, რომელიც იძლევა პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის გარანტიას, ხელს უწყობს საქმის ყოველმხრივ, სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიება-განხილვას. აღნიშნული ტექნიკური საშუალებების გამოყენება იძლევა საშუალებას დაეხმაროს პროცესის მონაწილეებს დარწმუნდნენ კანონის ზუსტ და განუხრელ დაცვაში საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების დროს. ასევე დარწმუნდნენ იმაში, რომ დაკითხვები და სხვა საგამოძიებო მოქმედებანი ჩატარებული იყო პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვით, რომ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს არ იყოს გამოყენებული მუქარა, შანტაჟი, იძულება და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი.

ხმის ჩანერა ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით შეესაბამება სისხლის სამართალწარმოების ისეთ პრინციპს, როგორცაა საქმის ყოველმხრივი, სრულყოფილი, ობიექტური გამოძიება და სასამართლოში განხილვა. ხმის ჩანერის პროცესულური წესი და პირობები ისეთია, რომ სრული მოცულობით უზრუნველყოფს ობიექტურ, ზუსტ, სრულყოფილ ჩანერას საგამოძიებო მოქმედებათა პროცესისა და მისი შედეგების ფიქსა-



ციას. ფონოგრამა აფიქსირებს ხმის ინტონაციის თავისებურებებს, აქრონოლოგიას, ცენტს, ალელეზას და ა. შ. ყოველივე აღნიშნული იძლევა იმის გარანტიას, რომ რეალურად განხორციელდეს სრულყოფილების, ყოველმხრივობისა და ობიექტურობის პრინციპი სისხლის სამართალწარმოებაში.

მნიშვნელოვან პრინციპს მიეკუთვნება აგრეთვე მტკიცებულებათა შეფასება შინაგანი რწმენის საფუძველზე. იმისათვის, რომ გამოძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ ყოველმხრივად, კრიტიკულად შეაფასონ დააკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა შედეგები, რომლის დროსაც გამოყენებული იყო ხმის ჩანერა, ისინი უნდა დარწმუნდნენ საგამოძიებო მოქმედების შედეგების სრულ და ობიექტურ ფიქსირებაში, პროცესუალური ნორმების მტკიცე და განუხრელ დაცვაში. აღნიშნული პრინციპის რეალურ განხორციელებაში დიდი დახმარების განევა შეუძლია ხმის ჩანერას ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით. აღნიშნული ტექნიკური საშუალებების გამოყენება ქმნის დამატებით გარანტიებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების საკითხში.


ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება გამოძიების პროცესში და სასამართლოში საქმის განხილვის დროს გარკვეულად ავალდებულებს მომკვლევს, გამოძიებელს, პროკურორს, სასამართლოს უფრო მომზადებულად ჩაატაროს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებანი და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთი ფუნქციების განხორციელებას.

ლ. კარნეევა, ა. რატინოვი, მ. ხილობაკი მიუთითებენ, რომ ხმის ჩანერის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს უშუალოდ პრინციპის განხორციელებას სისხლის სამართლის პროცესში.<sup>2</sup> აღნიშნული მოსაზრება სადაოა, რადგან ხმის ჩანერა, ფონოგრამის რეპროდუქცია პირიქით, ქმნის დამატებით გარანტიებს და შესაძლებლობებს უშუალოდ პრინციპის განხორციელების დროს. კანონის ძალით ქვეყნდება ჯერ წერილობითი დაკითხვის ოქმი, ხოლო შემდეგ ხდება ჩანერილი ჩვენების მოსმენა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ გათვალისწინებულ და აღქმულ იქნას ჩვენების მიცემის გარემოება, უფრო სწორად და უშუალოდ.

ხმის ჩანერას ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით როგორც გამოძიების პროცესში, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ახასიათებს მთელი რიგი დადებითი მხარეები, კერძოდ: შეესაბამება პროცესუალურ პრინციპს — საქმის სრულყოფილ და ყოველმხრივ გამოკვლევას, ხელს უწყობს სისხლის სამართლის საქმის დასაბუთებულად აღძვრას იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ტექნიკური საშუალებები გამოყენებული იყო ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელების დროს; ხელს უწყობს ჩვენებისა და სხვა საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედებათა შედეგების სწორ ფიქსაციას; დახმარებას უწევს საგამოძიებო ორგანოებს ინფორმაციის გაცვლაში, როდესაც გამოძიებას აწარმოებს გამოძიებელთა ჯგუფი; ხელს უწყობს გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის ხარისხის ამაღლებას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას; დაცვის უფლების განხორციელების ერთ-ერთი დამატებითი გარანტიაა.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის სწრაფ გახსნას, დანაშაულის ჩადენაში

<sup>2</sup> Карнеева Л. М., Ратинов А. Р., Хилобок М. П., Применение звукозаписи в следственной работе, М., 1967, с. 18.




მონაწილე პირების დადგენას, ინფორმაციის მიღებას დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. სწორედ ამ მიზნით გამოიყენება ვიდეო და აუდიო აპარატურა, რომელთა შედეგებს გარკვეული დადებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩამდენ პიროვნებათა დადგენაში. ვიდეო და აუდიო აპარატურა გამოიყენება აგრეთვე სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელების პროცესში, ასევე ცალკეული პირების მიერ ჩხუბის, ცილისწამებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა ფიქსირების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება შეიძლება იყოს ორი სახის: პირველი, პროცესუალური, ე. ი. როდესაც აუდიო და ვიდეო აპარატურა გამოიყენება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედებათა განხორციელების დროს და მეორე, არაპროცესუალური, ე. ი. როდესაც აუდიო და ვიდეო აპარატურის გამოყენება ხორციელდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, ამ სახეს მიეკუთვნება ხმის ჩანერა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების დროს. სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით და ხმის ჩანერა ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით ცალკეულ მოქალაქეთა მიერ. ხმის ჩანერის აღნიშნულ სახეებს გააჩნიათ დამახასიათებელი ნიშნები, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართალწარმოებაში. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ხმის ჩანერა ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით და ამ პრობლემების ცალკეული საკითხები უკვე იყო განხილული.<sup>3</sup>

მაგრამ, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი აღნიშნული ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკითხები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს, სატელეფონო საუბრების შედეგების ფიქსაციის შემთხვევაში, არ არის შესწავლილი და განზოგადებული აღნიშნული ტექნიკური საშუალებების გამოყენების პრაქტიკა და სხვა.

**საქართველოს** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 304-ე მუხლის შესაბამისად დაკითხვის დროს ხმის ჩანერას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რაც გამოიხატება შემდეგში: 1) ხმის ჩანერას აუდიო და ვიდეო აპარატურის გამოყენებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის დაკითხვის დროს. ახალმა საპროცესო კოდექსმა მიუთითა, რომ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან დამცველის ხმის ჩანერა არ შეიძლება, თუ ისინი ამის წინააღმდეგი არიან. კანონის ასეთი სიახლე, ჩვენი აზრით, იმით არის განპირობებული, რომ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისათვის ჩვენების მიცემა არის უფლება და არა ვალდებულება; 2) ხმის ჩანერა დაკითხვის დროს უნდა მოხდეს თავიდან ბოლომდე. დაკითხვის ნაწილის ჩანერა, აგრეთვე დაკითხვისას მიცემული ჩვენების განმეორება საგანგებოდ ჩანერისათვის, დაუშვებელია; 3) დაკითხვის დამთავრებისთანავე ხმის ჩანანერი მთლიანად უნდა მოასმენინონ დაკითხულს; 4) დაკითხულ პირს უნდა ჰქვითონ სურს თუ არა რაიმე დაუშვებელი ან დააზუსტოს ჩანანერის სისწორე; 5) ხმის ჩანერის შემდეგ დასაკითხის დამატებითი ჩვენებაც ფირზე უნდა იყოს ფიქსირებული.

<sup>3</sup> სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 1988; ა. ფალიაშვილი, მაგნიტოფონის გამოყენება საქართველოს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1974, № 2, გვ. 26-34; კრიმინალისტიკა, ტომი II, თბ., 1995.



ხმის ჩანწერის გამოყენების შემთხვევაში გარკვეული თავისებურება ახასიათებს აგრეთვე დაკითხვის ოქმის შედგენასაც, გარდა იმ მოთხოვნებისა, რასაც კანონი უყენებს საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენას (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლი), გათვალისწინებული უნდა იყოს ოქმის შედგენის თავისებურებაც: 1) ოქმის სრულყოფისათვის შეიძლება ვიდეო და აუდიო ჩანაწერის გამოყენება; 2) ვიდეო და აუდიო ჩანაწერის მასალები ინახება საქმეში; 3) საგამოძიებო მოქმედების ოქმში უნდა აღინიშნოს გამოყენებული აუდიო და ვიდეო ჩანწერის შესახებ, მათი გამოყენების პირობები, წესი და ტექნიკური საშუალებების დახასიათება; 4) ოქმში უნდა მიეთითოს, რომ აუდიო და ვიდეო ჩანაწერის შესახებ დაკითხვამდე (ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე) წინასწარ შეატყობინოს დაკითხულ პირს და დაკითხვაში მონაწილე სხვა პირებს (დამცველი, კანონიერი წარმომადგებელი, სპეციალისტი); 5) ოქმში უნდა აღინიშნოს, რომ დაკითხულმა პირმა თავიდან ბოლომდე მოისმინა ფონოგრამა; 6) ოქმში უნდა მიეთითოს იმის შესახებ, თუ რა სახის განცხადება გააკეთა დაკითხულმა პირმა ფონოგრამის მოსმენის შემდეგ; 7) ოქმს დანართის სახით უნდა დაერთოს დაკითხვის ფონოგრამა.

დაკითხვის ფონოგრამა უნდა მოთავსდეს მუყაოს კოლოფში და მას გაუკეთდეს წარწერა, თუ ვისი ჩვენებაა ჩანწერილი, რომელ საქმეზეა მიღებული ფონოგრამა და ვინ მოახდინა ჩვენების ჩანწერა აუდიო და ვიდეო აპარატურის გამოყენებით. საგამოძიებო პროცესში დაკითხვის ფონოგრამა შეიძლება მოსმენილ იყოს სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს, ხოლო საგამოძიებო დამთავრების შემდეგ ფონოგრამის კოლოფი უნდა დაილუქოს და საქმესთან ერთად გადაიგზავნოს სასამართლოში ქვემდებარეობის შესაბამისად.

საგამოძიებო მოქმედების ოქმი და კერძოდ, დაკითხვის ოქმი არის ჩვენების ძირითადი საკითხების ასახვა, ე. ი., მასში აისახება მხოლოდ ის ფაქტები და გარემოებანი, რაც კავშირშია მოცემულ საქმესთან. წერილობით ოქმთან განსხვავებით, ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებას ის თავისებურება გააჩნია, რომ ფონოგრამაში მთლიანად და სრულყოფილად არის ფიქსირებული დაკითხვის ვითარება, დაკითხვის მეთოდი და ტექნიკა, ხმის ტემბრი და დიაპაზონი. ჩვენების მიცემის აქცენტი, გრამატიკული შეცდომები და ა. შ. ყველა აღნიშნულ მონაცემს აქვს დადებითი მნიშვნელობა ჩვენების შედეგების შემოწმებისა და შეფასების დროს, როგორც საგამოძიებო პროცესში, ისე სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

ხმის ჩანწერას ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით ახასიათებს არა მარტო დადებითი, არამედ ამავე დროს ცალკეული ხარვეზებიც, რაც გამოიხატება შემდეგში: ფონოგრამაზე ასახულია ჩვენების სრული შედეგები და ფიქსირებულია ისეთი ფაქტები და გარემოებებიც, რასაც ხშირ შემთხვევაში არანაირი კავშირი არა აქვს საქმესთან. ჩვენების ჩანწერის დროს დაკითხვაში მონაწილე ყველა პირმა შეკითხვების მიცემის დროს უნდა დაასახელოს თავისი პროცესუალური მდგომარეობა და ამის შემდეგ მისცეს შეკითხვები ან უპასუხოს შეკითხვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფონოგრამაზე ფიქსირებული იქნება სხვადასხვა პირთა ხმები და არ იქნება ცნობილი, თუ ვისი ხმაა ჩანწერილი. თუ დაკითხვის ოქმის გაცნობა

არ საჭიროებს არავითარი ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, ფონოგრამის მოსმენა დაკავშირებულია მაგნიტოფონის ან ვიდეო აპარატურის გამოყენებასთან. წერილობითი ოქმი ადვილი შესანახია, მაშინ, როდესაც ფონოგრამა მოთავსებული უნდა იყოს კოლოფში და ექვემდებარება დალუქვას გამოძიების დამთავრების შემდეგ.

ზოგიერთი პროცესუალისტი ხაზს უსვამს მხოლოდ ფონოგრამის დასახელებულ უარყოფით მხარეებს და ამით ამცირებს ხმის ჩანწერის მნიშვნელობას ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით. ამ საკითხის განხილვის დროს უარყოფით მოსაზრებას გამოთქვამს ი. პეტრუხინი, რომელიც ხაზს უსვამს მხოლოდ ფონოგრამის უარყოფით მხარეებს და აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში არ არის გამორიცხული ფონოგრამის ფალსიფიკაცია და ამ გზით დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება.<sup>4</sup>

ფაქტია, რომ ფონოგრამის ფალსიფიცირება გამორიცხული არ არის პრაქტიკაში, მაგრამ ეს არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ფონოგრამისთვის. პრაქტიკა არ არის დაზღვეული იმ შემთხვევებისაგანაც, როდესაც შეიძლება მოხდეს წერილობითი ოქმის შინაარსის შეცვლა და ფალსიფიცირება. ცხადია, რომ გაცილებით უფრო ადვილია ფონოგრამის ან მხოლოდ წერილობითი ოქმის შინაარსის შეცვლა და ფალსიფიცირება, როგორც ცალ-ცალკე ალებულის, ვიდრე ორივესი ერთად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ისეთი მეთოდები, რომელიც ადგენს ოქმის ან ფონოგრამის შინაარსის შეცვლას და მათ ფალსიფიკაციას. ამგვარად საკითხის დადებით გადაწყვეტად უნდა იყოს მიჩნეული წერილობითი ოქმის შედგენა და ამავე დროს ხმის ჩანწერა ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით. ოქმი უნდა იყოს განხილული, როგორც ჩვენების ჩანწერის ძირითადი წყარო, ფონოგრამა კი როგორც დამატებითი საშუალება ჩვენების ფიქსაციისათვის და როგორც წერილობითი ოქმის დანართი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს რა ჩვენების ჩანწერას ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით, ამავე დროს არ მიუთითებს ჩვენების ჩანწერის შესახებ ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს, როგორიცაა დაპირისპირება ანუ ადრე დაკითხული ორი პირის დაპირისპირება მათ ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობის არსებობისას (მუხლი 314). საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში (მუხლები 344—346), რომლებიც ეხებიან ჩვენების ადგილზე შემოწმებას, არ არის გათვალისწინებული ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება. მეტად სასურველი იქნებოდა, რომ საპროცესო კოდექსში პირდაპირ ყოფილიყო მითითებული ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება ჩხრეკის და ამოღების დროს (მუხლები 315—329), შემოწმების დროს (მუხლები 350—355), გვამის ექსგუმაციის დროს (მუხლები 385—389).

ყოველივე აღნიშნული ხარვეზის დაძლევა შეიძლება ორი გზით: საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენების შესახებ ვითარების და ჩვენების პროცესის ფიქსაციის მიზნით ან ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენების შესახებ მითითებული უნდა იყოს იმ მუხლებში, რომლებიც ეხებიან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საერთო წესებს, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლში.

<sup>4</sup> Петрухин И. Л., О значении звукозаписи в уголовном процессе, «Правоведение», 1966, № 2, с. 137—138.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება შეუძლია უშუალოდ გამოძიებელს, მაგრამ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებლის ყურადღება მთლიანად იყოს გადატანილი საგამოძიებო მოქმედების სრულყოფილად ჩატარებაზე და ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენების მიზნით მონვეული უნდა იყოს სპეციალისტი (ოპერატორი).

ხმის ჩანერა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით არცერთ შემთხვევაში საპროცესო კანონით არ არის სავალდებულო, ამიტომ იგი განიხილება, როგორც ტექტიკური საკითხი. აღნიშნული ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკითხი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს უნდა გადაწყდეს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაოდ უნდა იყოს მიჩნეული პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მაგნიტოფონის გამოყენება გამოძიების პროცესში უნდა მოხდეს ორ შემთხვევაში, კერძოდ, მცირენლოვან მონშეთა და დაზარალებულთა დაკითხვის დროს და იმ შემთხვევაში, როდესაც არის იმის საშიშროება, რომ მონშე და დაზარალებული ვერ გამოცხადდება სასამართლოში ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო.<sup>5</sup>

უდაო და სწორია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მიზანშეწონილია მოხდეს ხმის ჩანერა ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით, მაგრამ აღნიშნული ტექნიკური საშუალებების გამოყენება გამორიცხული არ უნდა იყოს სხვა შემთხვევებში.

კერძოდ, ხმის ჩანერა სასურველია მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქე აცხადებს დანაშაულის მზადების ან მისი ჩადენის შესახებ, დანვრილებით აღწერს დანაშაულის ჩადენის ფაქტს და იგი ზეპირი განცხადებით მიმართავს მოკვლევის ორგანოს, გამოძიებელს ან პროკურორს.

აღნიშნულ შემთხვევაში ხმის ჩანერა მაგნიტოფონის ან ვიდეო აპარატურის გამოყენებით საშუალებას იძლევა სრულყოფილად იყოს აღქმული მოქალაქის ზეპირი განცხადება, სწრაფად და ოპერატიულად აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და მიღებული იყოს კონკრეტული ზომები დანაშაულის აღკვეთის ან დანაშაულის ჩამდენ პირთა დაკავებისათვის.

ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით ხმის ჩანერა მიზანშეწონილია, როდესაც პირი გამოცხადდა მოკვლევის ან გამოძიების ორგანოში დანაშაულის ჩადენის აღიარებით და იგი დანვრილებით აღწერს დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს. მომკვლევს, გამოძიებელს, პროკურორს აღნიშნულ შემთხვევაში შეუძლიათ მოისმინონ ფონოგრამა, გააანალიზონ დანაშაულის ჩადენის დეტალები, დასახონ გამოძიების ვერსიები და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ რეალური ზომები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისათვის, დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეების დაკავებისათვის.

მეტად სასურველია, რომ ხმის ჩანერა მოხდეს მცირენლოვან და არასრულწლოვან მონშეთა და დაზარალებულთა დაკითხვის დროს, ასევე არასრულწლოვან ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის პროცესში.

<sup>5</sup> Петрухин И. Л., О значении звукозаписи в уголовном процессе, «Правоведение», 1966, № 2, с. 139.

ცნობილია, რომ არასრულწლოვანები ხშირად ხდებიან სრულწლოვანი ბერების ზეგავლენის ქვეშ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხელი შეუშალონ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

იმისათვის, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ჩვენების შეცვლა, საჭიროა, ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, განხილული იყოს საკითხი ჩვენების ჩაწერის შესახებ და დადებითად იყოს იგი გადაწყვეტილი.

ასევე მეტად სასურველია ჩაწერილი იყოს ჩვენება, როდესაც იკითხება მძიმე ავადმყოფობით დაავადებული ან პირი, რომელსაც მიყენებული აქვს სხეულის დაზიანება და მათი შემდგომი დაკითხვა შეიძლება გართულდეს ან საერთოდ გამორიცხული იყოს.

ყრუ-მუხჯთა დაკითხვის დროს, როგორც წესი, დადებითად უნდა გადაწყდეს საკითხი მათი ჩვენებათა ჩაწერის შესახებ არა მაგნიტოფონის, არამედ ვიდეოაპარატურის გამოყენებით. ასეთი ტექტიკური ხერხის გამოყენება იმით აიხსნება, რომ ფონოგრამაზე ფიქსირებული იქნება ის პირობითი ნიშნები, რაც იყო გამოყენებული ჩვენების მიმცემი პირისა და სპეციალისტის მიერ, რომელიც მონაწილეობდა დაკითხვის პროცესში.

იმ შემთხვევაში, როდესაც მონმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაკითხვის ან სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში მონაწილეობს თარჯიმანი, სასურველია, ხმის ჩაწერა მოხდეს ვიდეო ან აუდიო აპარატურის გამოყენებით. ასეთი ტექტიკური ხერხის გამოყენება სასურველია იმიტომ, რომ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც წამოიჭრება საკითხი არასწორი, არასრული, არაზუსტი და არაკვალიფიციური თარჯიმანის შესახებ. ამ საკითხის სიზუსტის გარკვევაში და სწორად გადაწყვეტაში ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაწერილი ჩვენებისა და თარჯიმანის სიზუსტის გარკვევას ფონოგრამის რეპროდუქციით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თარჯიმანის მონაწილეობის ყველა შემთხვევაში არ უნდა წამოიჭრას საკითხი ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენების შესახებ, თარჯიმანის მონაწილეობით საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ყველა შემთხვევაში შეიძლება არ მოხდეს ხმის ჩაწერა. ვიდეო და აუდიო აპარატურა სასურველია გამოყენებული იყოს ხმის ჩაწერისათვის მაშინ, როდესაც რეალური საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ თარჯიმანი არაკომპეტენტური პირია, ან როდესაც ამის შესახებ შუამდგომლობას აღძრავენ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული, მონმე, დამცველი ან უშუალოდ თარჯიმანი.

ხმის ჩაწერა სასურველია იმ შემთხვევაში, როდესაც დასაკითხი პირის საუბარს გააჩნია დეფექტები, როდესაც იგი სწორად და სრულად ვერ აყალიბებს თავის მოსაზრებას. ამ შემთხვევაში ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება ჩვენების ჩაწერის მიზნით საჭიროა იმისათვის, რომ პრაქტიკულად გამორიცხული იყოს საუბრის არასწორი გაგება.

ვიდეო ან აუდიო აპარატურა საჭიროა გამოყენებული იყოს, როდესაც პირს ჩადენილი აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს უვადო პატიმრობას. ამ შემთხვევაში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების სრულად ჩაწერას შეუძლია გამორიცხოს ყოველგვარი გაუგებრობა, როგორც გამოძიების პროცესში, ისე სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

აღნიშნული გარემოება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ყველა შემთხვევაში მოხდეს ხმის ჩაწერა. საკითხი ვიდეო და აუდიო აპარატურის

გამოყენების შესახებ უნდა გადაწყდეს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, ჩვენების ზუსტი და სრული ჩანერის საჭიროებით.

თუ გამოძიების პროცესში წამოიჭრება საკითხი, რომ პირი არის ფსიქიკურად დაავადებული და საჭიროა დაინიშნოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ასეთ შემთხვევაში ფრაზების და აზრების გამოთქმას ახასიათებს გარკვეული თავისებურება, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის სრულყოფილ ჩატარებას. სწორედ ამ მიზნით მეტად სასურველია შეურაცხად და ფსიქიკურად დაავადებულ პირთა ჩვენებები იყოს ჩანერილი ვიდეო ან აუდიო აპარატურის გამოყენებით.

ხმის ჩანერას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამოძიებელი უშუალოდ ვერ ანარმოებს ბრალდებულის, მოწმის ან დაზარალებულის დაკითხვას და ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ავალებს სხვა გამოძიებელს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც იმყოფება დასაკითხი პირი (იხ. საქართველოს სსკ 64-ე მუხლი). ჩვენების სრულყოფილ ჩანერას ის მნიშვნელობა აქვს, რომ სხვა გამოძიებელს, რომელიც ასრულებს დავალებას, შეუძლია დაკითხვის ოქმში არ ასახოს დანვრილებით ის ფაქტები და გარემოებანი, რასაც კავშირი აქვს მოცემულ საქმესთან. სწორედ ამ მიზნით სასურველია ჩვენების ზუსტი და სრულყოფილი ასახვა ვიდეო ან აუდიო აპარატურის გამოყენებით.

ხმის ჩანერას დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა შემთხვევებშიც კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით.

ვიდეო ან აუდიო აპარატურის გამოყენება ხმის ჩანერის მიზნით განხილულ უნდა იყოს, როგორც ტექნიკური ხერხი, რომელიც გავლენას ახდენს დაკითხვის ხარისხზე, ამაღლებს არა მარტო გამოძიებლის, არამედ დასაკითხი პირის პასუხისმგებლობას, გარკვეულად ხელს უწყობს სწორი ჩვენების მიღებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, რომ საქართველოს საგამოძიებო ორგანოების და სასამართლო პრაქტიკაში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს აუდიო და ვიდეო აპარატურის გამოყენებას არა მარტო დაკითხვის შედეგების ფიქსაციის მიზნით, არამედ სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროსაც.

**თავარ იასუვილი**


**სისხლის სამართლის საქმის აღკვეთა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დაუშვებლობა**

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც 1999 წლის 15 მაისიდან ამოქმედდა, ბევრ სადავო საკითხში შეიტანა სიცხადე და გარკვეულობა. ამასთან, ბევრი სადავო საკითხიც წამოჭრა. ერთ-ერთი ასეთი საკითხია სისხლის სამართლის საქმის აღკვეთა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დაუშვებლობა. საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საგამოძიებო მოქმედე-

ბების ჩატარებას დასაშვებად მიიჩნევა საქმის აღძვრის მომენტიდან, მას შემდეგ, რაც არსებობდა საკმაო მონაცემები, რომ ნამდვილად ჩადენილი იყო დანაშაული. ამ მონაცემების მიღება და შემოწმება კი ხდებოდა ისეთი საშუალებებით, რაც პიროვნების თავისუფლების არავითარ შეზღუდვასთან არ იყო დაკავშირებული. „შემოსული განცხადების და შეტყობინების გამო შეიძლება გამოთხოვილ იქნეს საჭირო მასალები და მიღებულ იქნეს ახსნა-განმარტება, მაგრამ ამ კოდექსით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების გარეშე“. — ნათქვამი იყო აღნიშნული კოდექსის 110-ე მუხლში. ამ კოდექსის 178-ე მუხლში, რომელიც დათვალთქმების საფუძვლებს განსაზღვრავდა, 1970 წელს შეტანილი იქნა ცვლილება და დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალთქმება, თუ ეს გადაუდებელი აუცილებლობით იყო გამოწვეული, შეიძლება ჩატარდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. დადგინდა ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში, თუკი არსებობს ამის საფუძველი, საქმე უნდა აღიძვრას დაუყოვნებლივ, შემთხვევის ადგილის დათვალთქმების შემდეგ. ანალოგიური ცვლილებები იქნა შეტანილი ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების კანონმდებლობაშიც. ამ საკანონმდებლო ცვლილებებს დიდი მონივნებით შეხვდნენ პრაქტიკული მუშაკებიც და მეცნიერებიც. ზოგმა ისიც კი აღნიშნა, რომ საქმის აღძვრამდე მარტო შემთხვევის ადგილის დათვალთქმება კი არ უნდა იყოს კანონით დაშვებული, არამედ ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, როგორცაა ეჭვმიტანილის დაკავება, ამოცნობა და პირადი ჩხრეკა,<sup>1</sup> ხოლო ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედების წარმოება კი საქმის აღძვრამდე კატეგორიულად უნდა იყოს აკრძალული. ცოტა უცნაური პოზიციაა. გაუგებარია, რა პრინციპებით ხელმძღვანელობენ ეს ავტორები, როცა საქმის აღძვრამდე ნაწილი საგამოძიებო მოქმედებებს დასაშვებად მიიჩნევენ, ხოლო ნაწილი კი — არა. თუ მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, მაშინ უსაფუძვლოდ დაკავება ან პირადი ჩხრეკა არანაკლებ ვნებს და ზიანს აყენებს ადამიანს, ვიდრე, მაგალითად, ექსპერტის დანიშვნა ან ქონების დაყადაღება.

როგორ არის ეს საკითხი გადანყვეტილი ახალ საპროცესო კანონმდებლობაში. ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლში ნათქვამია, რომ „სისხლის სამართლის საქმის აღძვრას შეიძლება წინ უძღოდეს მიღებული ცნობების შემოწმება, რაც 20 დღეზე მეტ ხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების შემოწმება ხდება არასაპროცესო მეთოდებით (ახსნა-განმარტების მიღების, დოკუმენტების გამოთხოვის გზით). შემოწმებისას პირს არ აფრთხილებენ ცრუ ახსნა-განმარტების მიცემისათვის ან ახსნა-განმარტების მიცემისათვის ან ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმისათვის. შემოწმების მასალების საფუძველზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის საგამოძიებო არ შეიძლება დაევალოს შემოწმებულს. შემოწმებისას მიღებული მასალები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად, თუ მათი დამაგრება და გამოკვლევა ამ კოდექსით გათვალისწინებული წესებით არ მომხდარა“.

1 См. Н. В. Жогин, Ф. Н. Фаукулин. Предварительное следствие М., 1965, стр. 25—26; В. И. Иванов; Дознание в Советском уголовном процессе, 1966, стр. 14.




თითქმის ყველაფერი ნათელი და გასაგებია. ახალ კანონს მიაჩნია, რომ დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების შემონახვა უნდა მოხდეს საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების გარეშე. საკითხის ასეთი გადაწყვეტა საეჭვოა სწორი და სამართლიანია. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ხშირად დაკავშირებულია იძულებასთან; არცთუ იშვიათად ზღუდავს იმ პირთა უფლებებს, რომელთაც არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება ჩადენილი დანაშაულისათვის. მაგალითად, აღძრულ საქმეზე მონმის გამოძახება ხდება გაფრთხილებით, რომ გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი იძულებით იქნება მიყვანილი, დაკითხვის წინ მას აფრთხილებენ, რომ პასუხს აცებს ჩვენებაზე უარის თქმისა და ყალბი ჩვენების მიცემისათვის. პიროვნების თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული აგრეთვე სხვა საგამოძიებო მოქმედებები. ეს შეზღუდვები შეიძლება აიხსნას და გამართლდეს მხოლოდ დანაშაულის გახსნის ინტერესებით, რადგანაც დანაშაულმა ხელყო არამართო ცალკეულ პირთა ინტერესები, არამედ ამასთან მთელი საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებიც. ამ შეზღუდვათა გამართლება შეუძლებელია იმ მოსაზრებით, რომ შეიძლება გამოვლენილი იქნეს დანაშაულის ნიშნები. რასაკვირველია, გამორიცხული არ არის ისეთი სიტუაციები, როდესაც საქმის აღძვრის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მეტად ეფექტიანი საშუალება იქნება ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება. მაგრამ კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ინტერესებისათვის ნაკლებად საზიანოა უსაფუძვლოდ აღძრული საქმის მოსპობა, ვიდრე საქმის აღძვრის საფუძვლის გამოსარკვევად საგამოძიებო მოქმედებათა წარმოება. თუ ამ მოქმედებათა წარმოებას საქმის აღძვრამდე დასაშვებად ჩავთვლით, მაშინ საქმის აღძვრას, როგორც პროცესუალურ სტადიას, ეკარგება ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა.

შესაძლოა ამ საკითხზე საერთოდ არ გაგვემახვილებინა ყურადღება, საკანონმდებლო სიახლეებთან დაკავშირებული რამდენიმე გარემოება რომ არა. საქმე ისაა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლში, რომელიც მოკვლევის ორგანოების ამოცანებს ეხება, ასეთი რამაა ნათქვამი: „მოკვლევის ორგანო ატარებს თავდაპირველ საგამოძიებო მოქმედებას ამ კოდექსით დადგინილი წესით გამოძიებლისათვის სისხლის სამართლის საქმის გადაცემამდე... თავდაპირველი მოქმედება შეიძლება იყოს: ჩხრეკა, ამოღება, შემონახვა, დათვალიერება, ექვმიტანილის დაკითხვა, დაზარალებულის და მონმის დაკითხვა, ექსპერტიზის დაწინაშე და ნიმუშების აღება საექსპერტო მოკვლევისათვის“. კოდექსის ეს დებულება ზოგმა პრაქტიკულმა მოშაკმა ისე გაიგო, თითქოს აღნიშნული მოქმედების ჩატარების უფლება მოკვლევის ორგანოს აქვს საქმის აღძვრამდე. კანონის ასეთი ინტერპრეტაცია არასწორია. თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედება ნიშნავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ქათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებას, რომლის წარმოება შეიძლება მხოლოდ საქმის აღძვრის შემდეგ. აღნიშნულ მუხლში მითითებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შეიძლება მოხდეს მხოლოდ აღძრულ საქმეზე, საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ. ამასთან, აქ ჩამოთვლილი საგამოძიებო მოქმედებათა ნუსხა არის ამომწურავი, მოკვლევის ორგანოს აღძრულ საქმეზე უფლება არა აქვს ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, როგორცაა: ბრალდების წაყენება, ბრალდებულის დაკითხვა. დაპირისპირება, საგამოძიებო ექსპერიმენტი,

ჩვენების ადგილზე შემონმება, წარდგენა ამოსაცნობად და გვამის ექსპერტის მაცია. წინასწარი გამოძიების სტადიაზე ამ მოქმედებათა ჩატარება მხოლოდ გამომძიებლის და პროკურორის კომპეტენციაა. ამასთან, მოკვლევის ორგანოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სსსკ 65-ე მუხლში მითითებული თავდაპირველი საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ პროკურორის სანქციით. საქმის აღძვრამდე მოკვლევის ორგანო, ისევე როგორც გამომძიებელი, შემონმებას ატარებს მხოლოდ და მხოლოდ კანონში მითითებული არასაპროცესო მეთოდებით, ანუ ახსნა-განმარტების მიღებით და დოკუმენტების გამოთხოვით. ამ მეთოდებით სავსებით შესაძლებელია საქმის აღძვრის საფუძვლის გარკვევა, ესე იგი, დანაშაულის ნიშნების დადგენა. ბოლოს და ბოლოს, საქმის აღძვრის მნიშვნელობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რაკი საქმე აღიძრა, რაღაც არ უნდა დაჯდეს, უნდა გაგრძელდეს მისი წარმოება. კანონის თანახმად, საქმე აღიძვრება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დანაშაულის ნიშნები. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აუცილებლად ჩადენილია დანაშაული, რომ საქმის აღძვრის შემდეგ აუცილებლად დადგინდება დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ძირეულად შეიცვალოს შეწყვეტილი საქმეების მიმართ დამოკიდებულება. მომკვლევსა და გამომძიებელს ზოგჯერ ნაკლად უთვლიან თუ აღძრული საქმე შეწყდა დანაშაულის შემთხვევის ან ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მომკვლევნი და გამომძიებელი ცდილობს საქმის აღძვრამდე დაადგინოს დანაშაულის შემადგენლობის ყველა კონკრეტული ნიშანი და მერე გამოიტანოს აღძვრის შესახებ დადგენილება.


ერთი საკითხი, რასაც უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სსსკ 215-ე მუხლის მითითება იმის შესახებ, რომ საქმის აღძვრამდე ჩატარებული შემონმებისას მიღებული მასალები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად, თუ მათი დამაგრება და მოკვლევა ამ კოდექსით გათვალისწინებული წესებით არ მომხდარაო, ზოგმა პრაქტიკულმა მუშაკმა ისე გაიგო, თითქოს ეს მასალები საერთოდ არ უნდა დაერთოს საქმეს. ეს არაა სწორი. საქმის აღძვრამდე ჩატარებული შემონმების ყველა მასალა უნდა დაერთოს საქმეს. თუმცა ისინი საგამომძიებო წესით არაა მოპოვებული, მაგრამ მათი მტკიცებითი მნიშვნელობის უარყოფა, ჩვენი აზრით, არ შეიძლება. სსსკ 110-ე მუხლის თანახმად, დოკუმენტი არის მტკიცებულება. მისი მტკიცებითი მნიშვნელობა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, რომ საგამომძიებო წესითაა ამოღებული თუ საქმის აღძვრამდე გამოკითხვის გზით. თუმცა კარგი იქნება ამის თაობაზე ღვითონ კოდექსში იყოს ნათქვამი ნათლად და გასაგებად.



**დავა დავიკა**

**ჩვენების ადგილზე შემონმების დამოუკიდებელი სახის საგამომძიებო მოქმედებად აღიარებამდე უნდა თავისი განვითარების საკმაოდ რთული გზა. კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში იგი პირველად აღმოცენდა როგორც**

ჩვენების ადგილზე შემონმებამ დამოუკიდებელი სახის საგამომძიებო მოქმედებად აღიარებამდე უნდა თავისი განვითარების საკმაოდ რთული გზა. კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში იგი პირველად აღმოცენდა როგორც



ორც ადრე დაკითხულ პირთა ჩვენებების შემოწმების ტაქტიკური ხერხი და საგამოძიებო პრაქტიკაში ისე სწრაფად დამკვიდრდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო, მის ჩატარებას მაინც ხშირად მიმართავდნენ და მის დადებით შედეგებზე არაერთი სამეცნიერო სტატიაც დაიწერა. პირველ ხანებში მას მოიხსენიებდნენ მოწმის, დაზარალებულის ან პრაღლებულის შემთხვევის ადგილზე გაყვანის, შემთხვევის ადგილზე მათი განმეორებითი დაკითხვის სახელწოდებებით და სხვ. ამასთან კრიმინალისტიკები მოითხოვდნენ, რომ იგი აღიარებული ყოფილიყო საპროცესო კანონმდებლობით, რათა საგამოძიებო პრაქტიკაში დამკვიდრებულიყო დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად. მაგრამ როგორც ყოველთვის, ამ მოქმედებასაც გამოუჩნდნენ მისი უარმყოფელი ოპონენტები, რომლებმაც საგამოძიებო პრაქტიკაში მისი დანერგვა მიიჩნიეს არასწორად და მოითხოვეს პრაქტიკიდან მისი განდევნა. მაგალითად, 1960 წელს პროფესორმა მ. სტროგოვიჩმა და პროფ. გ. ალექსანდროვმა უურნალ „სოციალისტიკისკაია ზაკონოსტ“-ში გამოაქვეყნეს წერილი სათაურით: „არასწორი პრაქტიკა“, რომელშიც კატეგორიულად მოითხოვეს ამ მოქმედების წარმოების საგამოძიებო პრაქტიკიდან განდევნა, რადგან იგი მიიჩნიეს საპროცესო კანონმდებლობის უხეშ დარღვევად. მათი აზრით, იგი სხვა არა არის რა, თუ არა შემთხვევის ადგილის განმეორებითი დათვალიერება ან პირის შემთხვევის ადგილზე განმეორებითი დაკითხვა და სხვ. მათი ეს მოსაზრება ზოგიერთმა სხვა მეცნიერმაც გაიზიარა და კრიმინალისტიკა დიდი უმრავლესობის არაერთი მეცნიერულად დასაბუთებული მოთხოვნისა, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში კვლავ განიხილებოდა როგორც კრიმინალისტიკის ტაქტიკური ხერხი და არა პროცესუალური მოქმედება. ყოველივე ეს კი იწვევდა არასწორ პროცესუალურ გაფორმებას. ე. ი. ატარებდნენ ჩვენების ადგილზე შემოწმებას და მას აფორმებდნენ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, რაც არ იყო სწორი. შემდეგ საბჭოთა კავშირში შემავალი ზოგიერთი რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით იგი ნაწილობრივ აღიარებულიც იქნა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით კი იგი ჯერაც არაა საერთოდ აღიარებული დამოუკიდებელი სახის პროცესუალურ მოქმედებად და მიუხედავად ამისა, იგი რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის ყველა სახელმძღვანელოშია დეტალურად აღწერილი და გათვალისწინებულია კრიმინალისტიკის სასწავლო პროგრამებით.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ჩვენების ადგილზე შემოწმება მართებულად იქნა აღიარებული დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად, რადგან იგი თავისი მიზნებით, ამოცანებით და ჩატარების წესით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არსებითად განსხვავდება სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებებისაგან.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით იგი არა მარტო აღიარებული იქნა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად, არამედ მასში იგი ცალკე მუხლებითაც არის რეგლამენტირებული. კერძოდ, სსსკ 344-ე მუხლი ითვალისწინებს ჩვენების ადგილზე შემოწმების საფუძველს და მიზანს; სსსკ 345-ე მუხლი — ჩვენების ადგილზე შემოწმების წესს; სსსკ 346-ე მუხლი კი იძლევა იმის განმარტებას თუ როგორ უნდა მოხდეს ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმის შედგენა.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებას მიმართავენ მაშინ, როცა აუცილებელია გამოსაძიებელ საქმეზე დაკითხული მოწმის, დაზარალებულის,




ეჭვიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების შემოწმება შემთხვევის ადგილზე მათი გაყვანით და მათ მიერ ადრე მიცემული ჩვენების სისწორის შემოწმება ადგილზე ფაქტობრივ გარემოებასთან შეპირისპირებით. მისი არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადრე დაკითხული პირი, მავალითად, ბრალდებული, მისგან მიღებული ჩვენების სისწორის შესამოწმებლად, ამ საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ სხვა პირებთან ერთად, სათანადო პირობების დაცვით, გამოიძიებელს გაჰყავს და წინადადებას აძლევს შემთხვევის ადგილზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში აღწეროს და აჩვენოს ის ადგილი, სადაც იგი შეხვდა დაზარალებულს ან საიდანაც შეიპარა ბინაში ან სადაც შეინახა და გადაძალა გატაცებული საგნები ან დანაშაულის ჩადენის იარაღი ან დაზარალებულის გვაში და სხვ. ამ საგამომიებო მოქმედების ჩატარების დროს გამოიძიებელი არის არა ამ „სცენის“ დამდგმელი რეჟისორი ან მისი ორგანიზატორი, არამედ უბრალო მაყურებელი, რომელიც თვალს ადევნებს და ზუსტად ასახავს და ოქმში გადააქვს ჩვენების შესამოწმებელი პირის მოძრაობა, მისი მიმართულება, მოცემული ახსნა-განმარტება და სხვ.

მართებულად შენიშნავს პროფესორი შ. ფაფიაშვილი 1995 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის ლექციების კურსში, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმებით შეიძლება გაირკვეს: 1) ნაწილად არსებობს თუ არა ის ადგილი და გარემოება, რომლის შესახებაც მოგვცა თავისი ჩვენება ადრე დაკითხულმა პირმა; 2) დადგინდეს დანაშაულის ჩადენის ადგილი, როცა იგი ჩადენილია მინდორში, ტყეში ან სხვა ისეთ ადგილას, რომელზეც დაკითხული პირი თავის ჩვენებაში ზუსტად ვერ მიუთითებს, მაგრამ აღწერს იმ ადგილმდებარეობისათვის დამახასიათებელ გარემოებებს; 3) გვაძის, დანაშაულის ჩადენის იარაღების ადგილი ან სხვა მტკიცებულებათა ადგილსამყოფელი; 4) გზა, საიდანაც მივიდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე ეჭვიტანილი, ბრალდებული და ის ადგილი, სადაც მოხდა მისი დაზარალებულთან ან დანაშაულში მონაწილე სხვა პირთან მისი შეხვედრა და სხვ.; 5) ბრალდებულის მოქმედება დანაშაულის ჩადენის შემდეგ; 6) დანაშაულის ჩადენის მექანიზმი, დანაშაულის ჩადენის პროცესში გამოყენებული ხერხები და საშუალებები, 7) მოწმის, დაზარალებულის, ეჭვიტანილის ან ბრალდებულის ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები, დანაშაულის ჩადენის ადგილის, დანაშაულში მონაწილე პირთა ურთიერთშეხვედრის ადგილის გარემოებათა შესახებ და სხვ.

შემოჩამოთვლილ გარემოებათა რიცხვი, ცხადია, ამომწურავი არაა და ყოველ კონკრეტულ გამოსადიებელ საქმეზე მათი რიცხვი და სახეობა შეიძლება საგრძნობლად გაიზარდოს ან შემცირდეს. ადრე დაკითხული პირის ჩვენების ადგილზე შემოწმებით ვახდენთ არა მარტო იმის დადგენას თუ რამდენად სწორად შეესაბამება მოცემული პირის ჩვენება რეალურ სინამდვილეს და რამდენად სწორია იგი, არამედ ყოველივე ამით ვიღებთ ახალ მტკიცებულებასაც, რადგან ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დროს აუცილებელია ოქმის შედგენა. ეს უკანასკნელი კი, სსსრ 110-ე მუხლის თანახმად, შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმება არის კრიმინალისტიკური მეცნიერებით რეკომენდებული და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ისეთი საგამომიებო მოქმედება, რომელიც ტარდება გამოსადიებელ საქმეზე დაკითხულნი მოწმის, დაზარალებულის, ეჭვიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების სისწორის შემოწმების, დაზუსტებისა და ახალ მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით შემთხვევის ადგილზე გაყვანით და დამსწრე პირების



მონაწილეობით მათ მიერ ადრე მოცემული ჩვენების ადგილზე ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში.

ჩვენების ადგილზე შემოწმება, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სახალხო სასამართლოს სამართლის საპროცესო კანონმდებლობით საკმაოდ დეტალურადაა რეგლამენტირებული. მასში მოცემულია მისი ჩატარების საფუძველი, მიზნები და ამოცანები, აგრეთვე მისი ჩატარებისა და ოქმის შედგენის წესი.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი დაწვრილებითი რეგლამენტაციისა, გვეჩვენება, რომ მასში ჩვენების ადგილზე შემოწმებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, საფუძველი, მიზნები და ჩატარების წესი სრულყოფილად არაა აღწერილი და ამ მიმართებით საჭიროებს შემდგომ დახვეწას. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ და განვიხილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ზემოაღნიშნულ გარემოებებზე. კერძოდ, ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების საფუძველზე, მიზნებზე და ამოცანებზე. საქართველოს სსკ 344-ე მუხლის თანახმად: „გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს მოწმის, დაზარალებულის, ეჭმიტანილის, ბრალდებულის ჩვენება შეამოწმოს შემთხვევის ადგილზე.“

2. ჩვენების ადგილზე შემოწმება ტარდება იმ მიზნით, რომ:

- ა) აღმოაჩინონ საგანი, დოკუმენტი, კვალი, რომლის ადგილსამყოფელიც ცნობილია პირისათვის, რომლის ჩვენებაც მოწმდება; ბ) დაახუსტონ ადგილი: სადაც გამოძიებისას აღმოჩენილი იყო საგანი, დოკუმენტი, გვაში, კვალი;
- გ) გამოავლინონ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ადგილი ან მარშრუტი, ერთი და იმავე გარემოების შესახებ რამდენიმე პირის ჩვენების დამთხვევა ან განსხვავება; დ) შეამოწმოს ჩვენების უტყუარობა მისი აღდგენისა და შემთხვევის ვითარებასთან შეჯერების გზით.

3. პირი, რომლის ჩვენებაც მოწმდება, შემთხვევის ადგილზე იძლევა განმარტებას, რასაც თან ახლავს გარკვეულ მოქმედებათა დემონსტრირება და მის მიერ მიცემული ჩვენების დახუსტება;

4. ეჭმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმების შედეგებს მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს მაშინ, თუ გარკვეული შემთხვევის, საგნისა და ფაქტის შესახებ ამ პირის ინფორმირებულობა შეიძლება აიხსნას დანაშაულის ჩადენაში მისი მონაწილეობით;

5. საცხოვრებელ სადგომში ან სხვა მფლობელობაში ჩვენების შესამოწმებლად აუცილებელია მოსამართლის ბრძანება“.

ზემოაღნიშნული მუხლის ასეთი რედაქცია გარკვეულ შეკამათებას იწვევს, რადგან ჯერ ერთი, გაურკვეველია ჩვენების ადგილზე შემოწმების უფლება რატომ მართლოდენ პროკურორსა და გამომძიებელს მივაკუთვნეთ და მისი ჩატარების უფლება რატომ წაგართვათ სასამართლოს? განა სასამართლოს არ შეუძლია სასამართლოში დაკითხული პირის ჩვენების შესამოწმებლად ჩაატაროს ეს მოქმედება? სასამართლო-ს გამოძიებო პრაქტიკაში ამ მოქმედების ჩატარებას არც თუ ისე იშვიათად მინ. რთავენ. ამიტომ სასამართლოსათვის ამ უფლების წართმევა, ჩვენი აზრით, არ ფრთ არ შეიძლება გამართლებული იქნეს. აღსანიშნავია, რომ მომდევნო მუხლშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმებას ატარებს გამომძიებელი ან პროკურორი.

მეორე, მეტად შეზღუდულადაა წარმოდგენილი ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზანი. საკითხების ის წრე, რომელთა გასარკვევდაც შეიძლება ჩატარდეს ადრე დაკითხული პირის ჩვენების შემოწმება, მის მიერ მიცემული ჩვენების მრავალფეროვნების მიხედვით შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი მრავალი სახეობის გარემოების შესახებ, რომელთა წრეც, კონკრეტული გამო-

საძიებელი საქმის თავისებურების გათვალისწინებით, დაკითხული პირის ჩვენების შესაბამისად შეიძლება გაფართოვდეს ან შექმნიდეს;

**შესაშვ.** მეტად გაუგებრად და შევიწროებულადაა წარმოდგენილი ჩვენების ადგილზე შემოწმების მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რაზეც ზემოაღნიშნული მუხლის მეოთხე პუნქტის არასწორი ფორმულირება მიუთითებს. კანონის ზემოაღნიშნული რედაქციით ეჭვიმტანილის ან ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმებას მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ მაშინ, როცა „ამ პირის ინფორმირებულება შეიძლება აიხსნას დანაშაულის ჩადენაში მისი მონაწილეობით“. ასეთი რედაქციით გამოდის, რომ ამ პირთა ჩვენების შემოწმების შედეგებს სხვა შემთხვევაში მნიშვნელობა არ მიენიჭება, რაც, ჩვენი აზრით, არასწორი და მიუღებელია.

**მეოთხე.** კიდევ უფრო გაუგებარია იმავე მუხლის მეხუთე პუნქტის რედაქცია, რომლითაც აუცილებლადაა მიჩნეული საცხოვრებელ სადგომში ან სხვა მფლობელობაში ჩვენების შესამოწმებლად მოსამართლის ბრძანების არსებობა. ჩვენების ადგილზე შემოწმება იძულებითი ხასიათის საგამომიებო მოქმედება არაა. იგი არ შეიძლება ჩატარდეს ადრე დაკითხული პირის ნების საწინააღმდეგოდ, მის გარეშე. მაგალითად, თუ დაზარალებული აღწერს და თავის ოთახში მიუთითებს საწოლზე, სადაც მოძალადემ მოახდინა მისი გაუპატიურება ან მიუთითებს იმაზე თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს საიდან შევიდნენ ბინაში დამნაშავენი და როგორ, რა საგნების გამოყენებით აწამეს იგი და სხვ. ვანა ასეთ დროს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩასატარებლად გამომძიებელმა ნებათვა აუცილებლად მოსამართლისაგან უნდა აიღოს? კანონის ასეთი რედაქციით გამომძიებლის უფლების ამგვარ შეზღუდვას, ჩვენი აზრით, არავითარი გამართლება არა აქვს. ეს ნებაყოფლობითი სახის საგამომიებო მოქმედებაა და არა იძულებითი სახის. ამიტომ მისი ჩატარების უფლება თვითონ გამომძიებელს უნდა მიენიჭოს. ჩვენი აზრით, კანონის მითითება იმის შესახებ, რომ „გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვიმტანილის, ბრალდებულის ჩვენება შეამოწმოს შემთხვევის ადგილზე“, ჩვენების ადგილზე შემოწმების არსის არასწორ გაგებაზეც მიუთითებს, რადგან კანონის ასეთი რედაქციით გამოდის, რომ გამომძიებელსა და პროკურორს უფლება აქვთ ჩვენების ადგილზე შემოწმება ჩაატარონ ადრე დაკითხულ ამ პირთა მონაწილეობის გარეშე, რაც არასწორია. ჩვენი აზრით, მასში მითითებული უნდა იყოს იმაზეც, რომ ამ პირთა ჩვენების შემოწმებას ახდენენ „მათი შემთხვევის ადგილზე გაყვანილ“. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ გამომძიებელი ან პროკურორი ადრე დაკითხულ პირთა ჩვენების შემოწმებას თვითონ ამ პირთა მონაწილეობის გარეშე ჩაატარებენ, მაშინ ადგილი ექნება არა ჩვენების ადგილზე შემოწმებას, არამედ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ მიმართებითაც მოხდეს ზემოაღნიშნული მუხლის რედაქციული შესწორება.





საქართველოს მთავრობის განკარგულებაშია აღნიშნული წიგნი

გივი ყვარალაშვილი

სასჯელსრულების სამართლებრივი

რეგულირების ზოგიერთი საკითხი

თანამედროვე პირობებში სასჯელის აღსრულების პრაქტიკამ გამოავლინა რიგი აქტუალური პრობლემა, რომელიც უნდა იყოს თეორიულად გააზრებული და კანონმდებლობით გადაწყვეტილი.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ პენიტენციალური ხასიათის საკითხებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, საჭიროა გადავწყვიტოთ სასჯელის აღსრულების კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით. მხედველობაში გვაქვს საპრობილემო სასჯელის მოხდის სუბიექტთა წრის დადგენა, საპრობილემო მოსათავსებელი პიროვნების განსაზღვრა, საპრობილის რეჟიმის სახეების კლასიფიკაცია, საპრობილის რეჟიმის დანიშვნის და შეცვლის მექანიზმი. ამასთან, მნიშვნელოვანია იმ რეჟიმების მოდელის არსის დადგენა, რომლებიც თავისი სიმკაცრით და პენიტენციალური კონტროლის ფორმით უტოლდებიან საპრობილეს, თუმცა გააჩნიათ თავიანთი სპეციფიკა. ამ მიმართულებით გავაშუქებთ ორ საკითხს: ესენია განსაკუთრებულ რეჟიმით გასამართლებულ პირთა წესები და უვადოდ თავისუფლებადაღკვეთილ პირთა თავისებურებანი.

პენიტენციალურ პრაქტიკაში წარმოიშვა საპრობილის რეჟიმში განსაკუთრებული რეჟიმისა და უვადო პატიმრობის გაერთიანების აუცილებლობა, რამაც თავის მხრივ მოითხოვა იმ მსჯავრდებულთა წრის დადგენა, რომლებმაც სასჯელი უნდა მოიხადონ საპრობილემო, ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასჯელის აღსრულების კოდექსში აისახოს შემდეგი დებულებები:

1. საპრობილემო სასჯელს იხდიან სრულწლოვანი პირები ხუთ წელზე მეტი ვადით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსჯავრდებისას, ასევე განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს, უვადოდ თავისუფლებადაღკვეთილი მსჯავრდებულები, რომლებიც სასამართლოს განაჩენით გადაყვანილნი არიან სასჯელის აღსრულების სხვა დაწესებულებებიდან რეჟიმის მოთხოვნათა ბოროტად თავის არიდებისათვის, აგრეთვე კანონით დადგენილ შემთხვევაში სხვა მსჯავრდებულები. პირები, რომლებსაც შეეცვალთ სასჯელის უმადლესი ზომა თავისუფლების აღკვეთით;
2. საპრობილემო სასჯელს იხდიან აგრეთვე პირნი, რომლებიც ამ კოდექსით დადგენილი წესით სამეურნეო მომსახურებისათვის არიან დატოვებული საპრობილემო;
3. დასაშვებია საპრობილემო იმ პირების მოთავსება, რომლებსაც ჰისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა კოლონიაში მოხდით, მაგრამ დატოვებულნი ან გადმოყვანილნი არიან საპრობილემო იმის გამო, რომ აუცილებელია მათი მონაწილეობით სავაჭრომძიებო მოქმედების ჩატარება;

4. დასაშვებია არა უმეტეს ათი დღით საპრობილეში დროებით მოთავსება იმ პირებისა, რომლებიც გადაყვანილნი არიან თავისუფლების აღკვეთის ერთი ადგილიდან მეორეში.

**საპრობილეში მოთავსების პირობების ამსახველი ნორმა მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**

1. მსჯავრდებულნი საპრობილეში იმყოფებიან საერთო საკნებში. აუცილებელ შემთხვევაში სასჯელის აღსრულების დაწესებულების დირექტორის დადგენილებით და პროკურორის თანხმობით, მსჯავრდებული შეიძლება მოთავსდეს სამართლო საკანში;

2. მსჯავრდებულთა საკანში განაწილება ხდება ამ კოდექსითა და სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილი წესითა და პირობებით.

საპრობილეში სასჯელის მოხდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად ითვლება საპრობილის რეჟიმის სახის დადგენა და მისი ადეკვატური გამოყენება. ამ მიმართულებით აქტუალურია საპრობილის საერთო, მკაცრი და შეღავათიანი რეჟიმის დადგენა და სხვადასხვა რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულთა შორის ურთიერთობების აკრძალვის რეგლამენტაცია. ამ მიმართულებით მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს საპრობილის რეჟიმის სახეების ამსახველი შემდეგი ნორმები:

### **მუხლი, საპრობილის საერთო რეჟიმი.**

1. საპრობილის საერთო რეჟიმში იმყოფებიან ის პირები, რომლებიც პირველად არიან მსჯავრდებულნი საპრობილეში მოთავსებით და რომლებიც საპრობილის მკაცრ რეჟიმში იმყოფებოდნენ და გამმოიყვანეს საერთო რეჟიმში. ან ქალები, რომლებიც გადმოყვანილნი არიან საპრობილის რეჟიმზე დაწესებულებაში რეჟიმის უხეში დარღვევისათვის, ანდა რომლებსაც მისჯილი აქვთ სამუდამო პატიმრობა;

2. საკნები ადჰურვილი უნდა იყოს მსჯავრდებულებზე ვიზუალური დაკვირვების საშუალებებით;

3. საპრობილის საერთო რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ:

ა) წლის განმავლობაში იქონიონ ოთხი მოკლევადიანი და ოთხი გრძელვადიანი პაემანი;

ბ) წელიწადში მიიღონ არა უმეტეს ექვსი ბანდეროლისა;

გ) ისარგებლონ ყოველდღიური ორსაათიანი ვასეირნებით.

### **მუხლი, საპრობილის მკაცრი რეჟიმი.**

1. საპრობილის მკაცრ რეჟიმში იმყოფებიან ის პირები, რომლებსაც მიესაჯათ პატიმრობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჩადენილი დანაშაულისათვის და რომლებიც დაწესებულებებიდან იყვნენ გადმოყვანილნი სასჯელის მოსახდელად

ან საპრობილის ადმინისტრაციის მიერ, სასჯელის ღონისძიების სახით გადაყვანილნი არიან მკაცრ რეჟიმში;

2. მკაცრ რეჟიმში არ შეიძლება ამყოფონ ორსული ქალები, აგრეთვე ქალები, რომელთაც თან ჰყავთ ძუძუმწოვარა ბავშვები.

3. მკაცრი რეჟიმის საკნები წარმოადგენს სადგომს მსჯავრდებულის მოსა-იკვებლად, სადაც შეიძლება მსჯავრდებულებზე ვიზუალური დაკვირვება;



4. მკაცრი რეჟიმის პირობებში მსჯავრდებულნი შესაძლებლობის ფარგლებში ასრულებენ მხოლოდ ისეთ სამუშაოებს, რომელიც არ საჭიროებს საკონტაქტო გამოსვლას;

5. მკაცრ რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ:

- ა) წლის განმავლობაში იქონიონ სამი მოკლევადიანი პაემანი ადმინისტრაციის მეთვალყურეობის ქვეშ;
- ბ) წელიწადში მიიღონ არა უმეტეს ოთხი ბანდეროლისა;
- გ) ისარგებლონ ყოველდღიურად ერთსაათიანი გასეირნებით.

**მუხლი, საპრობილის შეღავათიანი რეჟიმი.**

1. საპრობილის შეღავათიანი რეჟიმში იმყოფებიან მსჯავრდებულები, რომლებიც დატოვებულნი არიან საპრობილში სამეურნეო მომსახურების სამუშაოებისათვის. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება გადაყვანილი იყვნენ საერთო და მკაცრი რეჟიმის სხვა მსჯავრდებულებიც.

2. საპრობილის შეღავათიანი რეჟიმის საკნები დიაა, იკეტება თვით მსჯავრდებულთა მოთხოვნით, ამ საპრობილში მომხდარი განსაკუთრებული ინციდენტების დროს;

3. საპრობილის შეღავათიანი რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ:

- ა) თავისუფლად გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე;
- ბ) ჰქონდეთ შეღავათები მათთვის მისჯილი შესაბამისი რეჟიმის კოლონიებში მოთავსებული მსჯავრდებულებისათვის დაწესებული ნორმით.

4. სასჯელის აღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს დააწესოს დამატებითი შეღავათები მსჯავრდებულის ქცევისა და სამუშაოსადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილი წესით.

პენიტენციური პრაქტიკის და თეორიის მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე საპრობილის რეჟიმის დანიშვნის და შეცვლის მექანიზმი. საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით წამოიჭრება მრავალი საკითხი, კერძოდ, დაწესებულების დირექტორის უფლებამოსილების, მისი გადაწყვეტილების ფორმის, ვადამდე გადაყვანის და სხვა საკითხები. ჩვენი აზრით, ყოველივე აღნიშნულმა თავი უნდა მოიყაროს საპრობილის რეჟიმის დანიშვნის და შეცვლის შესახებ ნორმაში, სადაც უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი:

1. საპრობილის რეჟიმის სახეობის დანიშვნა ან შეცვლა ხდება დაწესებულების დირექტორის დადგენილებით ორიდან ექვს თვემდე, განსაკუთრებულ შემთხვევაში ერთ წლამდე ვადა;

2. დადგენილებაში აღინიშნება რეჟიმის დანიშვნის ან შეცვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი. თუ მსჯავრდებულს დაენიშნა მკაცრი რეჟიმი, დადგენილებაში უნდა მიეთითოს მისი ვადა;

3. დაუშვებელია მსჯავრდებულის ვადამდე გადაყვანა მკაცრი რეჟიმიდან საერთო რეჟიმზე, გარდა სამედიცინო დასკვნის საფუძველზე — ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევისას;

4. თუ მსჯავრდებული გადაყვანილი იქნა საერთო რეჟიმში, მაგრამ არღვევს დაწესებულებების შინაგანაწესს, იგი შეიძლება უკან იქნეს გადაყვანილი მკაცრ რეჟიმში.

როგორც აღნიშნეთ, თავისი სიმკაცრით საპრობილის რეჟიმს უტოლდება ზოგიერთი პენიტენციური ფორმა. ამიტომ ამ მიმართულებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი სახის ნორმები:

**მუხლი, წესები განსაკუთრებული რეჟიმით გასამართლებულ პირთა შესახებ**

1. განსაკუთრებული რეჟიმით გასამართლებულ პირებს სასამართლოს განაჩენით სასჯელის მოხდა დაენიშნებათ განსაკუთრებით საშიში რეციდივის შემთხვევაში, ასევე პირებს, რომელთაც სასჯელის უმაღლესი ზომა შეეცვალათ ვადიანი თავისუფლების აღკვეთით;

2. განსაკუთრებული რეჟიმით გასამართლებულ მსჯავრდებულებს ათავსებენ საკნის ტიპის სადგომში, მკაცრი იზოლაციის პირობებში. შესაძლებელია მათი დასაქმება საკნის პირობებში;

3. განსაკუთრებული რეჟიმით გასამართლებულ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ:

ა) იქონიონ წელიწადში სამი მოკლევადიანი და სამი გრძელვადიანი პაემანი;

4. კარგი ყოფაქცევისა და შრომისადმი დამოკიდებულების შემთხვევაში პატიმრის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს:

ა) სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ, თუ იგი გამოირჩევა სანიმუშო ყოფაქცევით და მყარად დაადგა გამოსწორების გზას, შესაძლებელია მას განსაკუთრებული რეჟიმი შეეცვალოს მკაცრი რეჟიმით.

**მუხლი, უვადოდ თავისუფლებააღკვეთის თავისებურებანი**

1. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს ამოფებენ საკნებში, სადაც შესაძლებელია მუდმივი ვიზუალური კონტროლი;

2. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) იქონიოს წელიწადში ორი მოკლევადიანი და ორი გრძელვადიანი პაემანი;

ბ) მიიღოს და გააგზავნოს ორი საფოსტო გზავნილი.

3. რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის მსჯავრდებულს შეიძლება დისციპლინარული სასჯელის სახით განესაზღვროს:

ა) საყვედური;

ბ) პაემანის აკრძალვა;

გ) საფოსტო გზავნილების მიღების და გაგზავნის აკრძალვა;

დ) კარცერში მოთავსება ვადით სამიდან ოც დღემდე.

4. სასჯელის მოხდის 30 წლის შემდეგ, თუ იგი მტკიცედ დაადგა გამოსწორების გზას და გამოირჩევა სანიმუშო ყოფაქცევით, შესაძლებელია დადგეს საკითხი მსჯავრდებულის ვადაზე ადრე განთავისუფლების შესახებ;

5. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირს ეკრძალება ურთიერთობა იმ მსჯავრდებულებთან, რომლებიც იხდიან ვადიან თავისუფლების აღკვეთას.

**დაბოლოს**, სასჯელის აღსრულების კოდექსის პროექტის მიმართ გვინდა გამოვთქვათ ცალკეული ხასიათის შენიშვნები, კერძოდ:

— სასჯელის აღსრულების კოდექსის მე-16 მუხლში სამსახურის სირთულიდან გამომდინარე, სასჯელის აღსრულების თანამშრომელს საპენსიო ვადა განესაზღვროს არაუმეტეს 60 წლისა, გარდა სამედიცინო სამსახურისა;

— პროექტის 31-ე მუხლში უნდა დაემატოს ან ჩამოყალიბდეს ახალი მუხლი: „მსჯავრდებულნი, რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმის მოთხოვნებს, გადაყვანილნი უნდა იქნან საპყრობილის რეჟიმზე სამ წლამდე ვადით, ხოლო განსაკუთრებული რეჟიმიდან მკაცრ რეჟიმზე გადაყვანილნი — განსაკუთრებულ რეჟიმზე“;



– მიზანშეწონილია 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი დებულება:

„**მსჯავრდებულნი**, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას, სასჯელის შემდგომი მოხდისათვის, გარდა კოლონიებიდან საპყრობილის რეჟიმზე გადაყვანილებისა, შეიძლება წარდგენილნი იქნენ გადასაყვანად საპყრობილიდან კოლონიაში სასამართლოს განაჩენით დანიშნული პატიმრობის ვადის არანაკლებ 2/3 მოხდის შემდეგ“.

**გაუგებარია** 26-ე მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული დებულება – **მსჯავრდებულის** გადაყვანა რეჟიმის შეცვლით ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით“. დასადგენია ეს დებულება, გათვალისწინებულია თუ არა ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

– **ამოსაღებია** ტექსტი: „საბოლოოდ თუ გადაწყდება, რომ სამუდამო და განსაკუთრებული რეჟიმი გაერთიანდება საპყრობილში, მაშინ 30-ე მუხლის „ე“ პუნქტი უნდა შეიცვალოს, რადგან აქ ნაგულისხმევია განსაკუთრებული რეჟიმის საკნის ტიპის სადგომიდან ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა“.



**მივი ყვარელაჟვილი**

# სარეაბილიტაციო ცენტრის ზოგადი საპროექტო პროექტი

**სარეაბილიტაციო** დახმარების მოდელის იდეა აშშ-ი, ევროპის ქვეყნებში და იაპონიაში წარმოიშვა მეოცე საუკუნის მიწურულს. ამ ქვეყნების პრაქტიკაში არსებობს ორი ტიპის მოდელი: სახელმწიფოს მიერ შექმნილი სისტემა და ორგანიზაციები, რომლებიც ფუნქციონირებენ საზოგადოებრივ საწყისებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც სარეაბილიტაციო სისტემა ვითარდება სახელმწიფო რეგლამენტაციის ფარგლებში, წინა პლანზე დგება საკანონმდებლო მოწესრიგების სრულყოფის პრობლემა. გამონაკლისი არ არის საქართველოს სასჯელაღსრულებითი კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. სარეაბილიტაციო დახმარება კოდექსის პროექტში გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო ცენტრის ინსტიტუტის სახით. ამიტომ, გასაგები მიზეზების გამო, აღნიშნული საკითხი გააზრებული უნდა იქნას ნორმათა სისტემის სახით. ამ მიმართულებით ყურადსაღებია ისეთი საკითხები, როგორცაა: ცენტრის პენიტენციალური ტიპის დადგენა, მსჯავრდებულთა მოთავსების წესი და პირობები, მათი კლასიფიკაცია, მსჯავრდებულთა შევებულების საკითხის განსაზღვრა და სხვა.

პრაქტიკაში და პენიტენციალურ პრაქტიკაში წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სარეაბილიტაციო ცენტრის შესახებ შემდეგი დებულებების ასახვა არსებულ კანონპროექტში.

## „სარეაბილიტაციო ცენტრი“

**სარეაბილიტაციო** ცენტრი არის ღია ტიპის დაწესებულება, რომელიც, როგორც ყველა ტიპის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება, უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ.

სარეაბილიტაციო ცენტრში კანონით დადგენილი წესით მსჯავრდებულნი, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას, სასჯელის შემდგომი პერიოდისთვის შეიძლება წარდგენილი იქნენ გადასაყვანად —

საერთო და მკაცრი რეჟიმის კოლონიებიდან პირნი, რომლებიც გასამართლებულნი არიან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედის მოხდის შემდეგ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და 54-ე მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტებში (ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მოსაყვანია შესაბამისობაში) მოხსენებული მსჯავრდებულნი სასჯელით დანიშნული ვადის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ.

სარეაბილიტაციო ცენტრი შეიძლება იყოს ორი ტიპის:

**ერთი**, სადაც გაიგზავნებიან მსჯავრდებულები საერთო რეჟიმის დაწესებულებებიდან სასჯელის ერთი მესამედის მოხდის შემდეგ, ასეთი მსჯავრდებულების მიმართ, თუ ისინი მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას, ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი შეიძლება განხილულ იქნას სასჯელის ვადის 2/3-ის გავლის შემდეგ, ხოლო მეორე ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრში, სადაც მსჯავრდებულები გაიგზავნენ მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან სასჯელის 1/3 და 2/3-ის მოხდის შემდეგ, ვადაზე ადრე განთავისუფლების საკითხი შეიძლება განხილულ იქნას სასჯელის ოთხი მეხუთედის გავლის შემდეგ.

სარეაბილიტაციო ცენტრში შეიძლება მოთავსებულნი იქნან მამაკაცებიც და ქალებიც.

ყველა სახის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსებულ მსჯავრდებულთ:

არ ამყოფებენ დაცვის ქვეშ, მაგრამ უწევენ ზედამხედველობას;

ადგომიდან დაწოლის საათამდე სარეაბილიტაციო ცენტრის მთელი ტერიტორიის ფარგლებში აქვთ თავისუფალი მიმოსვლის უფლება;

ადმინისტრაციის ნებართვით შეუძლიათ ზედამხედველობის გარეშე დაწესებულების გარეთ მიმოსვლა. სარეაბილიტაციო ცენტრში შრომა ნებაყოფლობითია.

მათ შეუძლიათ ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი, იქონიონ ფული და ძვირფასი ნივთები, შეუზღუდავად ისარგებლონ ფულით, შეუძლიათ შეუზღუდავად აწარმოონ მიმოწერა, შეხვდნენ ნათესავებს და სხვა პირებს, მიიღონ ამანათები, გადაცემები, ბანდეროლები.

ადმინისტრაციის ნებართვით სათანადო საცხოვრებელი პირობების არსებობისას, შეუძლიათ სარეაბილიტაციო ცენტრში იცხოვრონ ოჯახთან ერთად, პის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძინონ საცხოვრებელი სახლი და მოაწიონ პირადი მეურნეობა.

თუ მსჯავრდებულნი, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს ნებისმიერი სახის სარეაბილიტაციო ცენტრში, კეთილსინდისიერად შრომობდნენ და სამაგალითოდ იქცეოდნენ, სასამართლოსა და სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს ერთობლივი შუამდგომლობით, შეუძლია ჩათვალოს სარეაბილიტაციო ცენტრში მათი მუშაობის დრო საერთო შრომის სტაჟში.

დაბოლოს, დავასახელებთ რამდენიმე საკითხს, რომელიც მოითხოვს სერიოზულ შესწავლას. მათ განეკუთვნება:

- 1) სარეაბილიტაციო ცენტრში მსჯავრდებულთა შვებულების საკითხი;
- 2) საავადმყოფოებით სარგებლობის საკითხები;
- 3) შრომის ანაზღაურებას პრინციპები.





ქეთევან სავინაშვილი

# სასჯელთა სისჯვება საეკლესიო სამართალი

საეკლესიო კანონები ორ ნაწილად იყოფა: დოგმატიკურ (სარწმუნოებრივი) და პრაქტიკულ (რომელიც საეკლესიო ორგანიზაციისა და დისციპლინის სფეროს მოიცავს) კანონებად. პირველი სახის კანონებში არანაირად არ შეიძლება ცვლილება იქნას შეტანილი, მეორე კი შეიძლება შეიცვალოს საჭიროებისა და რეალობის მიხედვით.

დოგმატიკური კანონების განხილვისათვის აუცილებელია კრება, რათა ერთი პირის მიერ გამოტანილი განაჩენი მცდარი არ იყოს, ფარგლებში არ მოხდეს ცდომილება. თუ საეკლესიო კრებამ კერძო აზრი არ შეიწყნარა, იგი ან ცდომილებად იქნება აღიარებული ან კერძო აზრადვე დარჩება და საყოველთაო აღიარებას ვერ მოიპოვებს. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები ერთი ეკლესიის ფარგლებში რჩება და სამართლებრივად არ ვრცელდება სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებზე, თუ ეს უკანასკნელი არ შეუერთდება მიღებულ გადაწყვეტილებას.

კანონის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავეს უფლებები ჩამოერთმევა გარკვეული თანამდებობით, რაც უფრო დიდია დანაშაული, მით უფრო დიდ უფლებებს კარგავს დამნაშავე და დიდ საეკლესიო სასჯელს იმსახურებს იგი.

საეკლესიო სასამართლო საერო და სასულიერო პირებს ერთი და იგივე დანაშაულისათვის სხვადასხვა სიმძიმისა და ხარისხის სასჯელით სჯის. ამასთან განსხვავებულია სასჯელის მოხდის ფორმაც. უმაღლესი სასჯელი, რომელიც სასულიერო პირს შეიძლება შეეფარდოს, სასულიერო წოდების ჩამორთმევაა, ხოლო ერისკაცისათვის კი — ეკლესიიდან განკვეთა.

სასულიერო პირები ეკლესიიდან მოიკვეთებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ, ჯერ ერთი, განაჩენის ფარგლებში აყვრებათ სასულიერო ხარისხი და თუ ამის შემდგომ განმეორდა იგივე ან მსგავსი დანაშაული.

ასეთი სამართლებრივი ნორმების მიზნები განმარტებულია მოციქულთა 25-ე კანონში, რომლის თანახმად ერთი და იგივე დანაშაულისათვის ორჯერ არ სჯიან. იგივეს მიუთითებს ბასილი დიდი ამფილოქე იკონიელისადმი მიმართულ ეპისტოლეში.

ბასილი დიდის განმარტებით ერთი და იგივე დანაშაულისათვის სასულიერო და საერო პირებს არ შეიძლება მიეზღოთ ერთნაირი სასჯელი. განკვეთილი ერისკაცი სინანულის შემდეგ შეიძლება დაუბრუნდეს ეკლესიის წიაღს. ხოლო განკვეთილი სასულიერო პირი მონაწილის შემდეგაც აღარ შეიძლება აღდგენილი იქნეს პირვანდელ ხარისხში.

სასჯელი თავისი არსით შურისგებაა ბოროტებისათვის, რომელიც დამნაშავემ ჩაიდინა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღსრულდება სამართლებრივი შურისგება დასჯის საშუალებით.

მოციქულთა 25-ე კანონი მიუთითებს იმის შესახებაც, რომ ზოგიერთი უმძიმესი დანაშაულისათვის სასულიერო პირებიც განიკვეთებიან ეკლესიიდან. ყოველგვარ სასჯელში შეიძლება დაეინახოთ იძულებითი ქმედება, მაგრამ იგი ემსახურება საკუთრივ დამნაშავეს მიერ ჩადენილი ბოროტების გამოსწორებას. უპირველესად კი — დამნაშავეს კეთილ გზაზე შემობრუნებას, მის გამოფხიზლებას, რათა ხელახლა დაუბრუნდეს მას დაკარგული მადლი, — მადლი, რომელიც მხოლოდ ეკლესიასთან ზიარებით მოიპოვება. სხვა კუთხით სასჯელი სხვა მიზანი დამნაშავეს, როგორც ბოროტმზრახველის ამ მადლისაგან ჩამოშორებაცაა. ეკლესია იმდენად მკაცრია სასჯელის გამოტანის დროს, რამდენადაც სასჯელის (განაჩენის) სისრულეში მოყვანა სარგებლობას მოუტანს მას, მის ღირსებას.

ეკლესიაში, ისევე როგორც სხვა საზოგადოებაში, კანონიერების დაცვა ნიშნავს წინ აღუდგეს ბოროტებას, რომელმაც შეიძლება მრავალი დაავადოს.

ეკლესიაში წესრიგის დარღვევამ შეიძლება მთელი ეკლესიის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს: ამიტომ მას მინიჭებული აქვს უფლება დაუმორჩილებელი და უგზური წევრების განკვეთისა, რათა დაიცვას და შეინარჩუნოს კეთილი და ერთგული შვილები.

სასჯელის დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ეკლესიის ღირსება, რათა სარწმუნოების სხვა მიმდევრებმა არ დაკარგონ მისდამი რიდი და შიდა საეკლესიო პრობლემები არ გამოიყენონ სხვათა საცდუნებლად. ამ მიზნით საეკლესიო ხელისუფლებამ მათ მიმართ, ვინც შეურაცხყოფს ეკლესიის ღირსებას და საშუალებას აძლევთ ცრუმორწმუნეთ უპატივცემულოდ მოეპყრონ მას, უნდა განახორციელოს უკიდურესად მკაცრი ზომები.

**საეკლესიო სამართლის მეცნიერება** ორი სახის სასჯელს იცნობს. სანაცვლოს მომზდველს ანუ დამსჯელს და გამოსასწორებელს ანუ განმკურნებელს. ასეთი დაყოფა მსოფლიო საეკლესიო კრებების პრაქტიკიდან მომდინარეობს. პირველი სახის სასჯელთა საფუძველი იურიდიული ნორმების დარღვევა და კანონიერების უგულვებელყოფაა, რომელიც სამართლიანობის დაცვას ემსახურება. მეორე გამოსასწორებელი სასჯელის შემთხვევაში, სასჯელი წყდება მაშინ, როდესაც იგი თავის მიზანს მიაღწევს, ანუ როდესაც დამნაშავე გამოსწორდება. პირველ შემთხვევაში სასჯელის ხანგრძლივობა განისაზღვრება ზუსტად კანონის მიერ, მსაჯულთა ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო მეორე შემთხვევაში სასჯელის ხანგრძლივობა დამნაშავეს სინანულზეა დამოკიდებული.

საეკლესიო სასჯელები, ერთი გამოწაკლისის გარდა, სულიერი ხასიათისაა და არა ფიზიკური.

## **საკანონიო სასჯელები საეროსათვის, რომელიც მოსენაშულია კანონებში!**

**ეპიტემია** — იურიდიული თვალსაზრისით იგი როგორც სასჯელი გამოაქვს საეკლესიო სასამართლოს ან ასეთი უფლებებით აღჭურვილ პირს. ეს სასჯელი აუცილებლად სისრულეშია მოსაყვანი, როგორც ნაცვალგება ჩადენილი ბოროტებისათვის. სხვა შემთხვევაში კი მისი შესრულება აუცილებელია ეკლესიის სრულუფლებიანი წევრის სახელის მოსაპოვებლად.

**უფლებობა** — უპატიობა — პატივის აყრა. ამ სასჯელით ბერძნულ-რომაული სამართლის მიხედვით პიროვნებას სამოქალაქო უფლებები ერთმეოდა (ამ სასჯელით ეკლესია თავს იცავდა გარყვნილი ადამიანებისგან).



**განყენება** — საეკლესიო სამართალში ორი ტერმინი არსებობს: მცირე განყენება და დიდი განყენება. პირველ შემთხვევაში გარკვეული დროით ეკრძალება დამნაშავეს ზიარების მიღება. მისი უმაღლესი ფორმა დიდი განყენებაა. მართალია, ვისაც ეკრძალება ლიტურგიულ მსახურებაში მონაწილეობის მიღება, სარგებლობს კათაკმეველთა უფლებებით. წმ. ბასილი დიდის თანახმად და მოციქულთა 36-ე კანონის მიხედვით ზოგჯერ შეიძლება მთელი სამრევლოს დაყენება მოხდეს ზიარებისაგან.

**სრული განკვეთა ეკლესიისაგან** — ეს სასჯელი განსაკუთრებული დანაშაულისათვის არსებობს. ამ შემთხვევაში გამორკვეულია ცრუმორწმუნეთა ყველა პირობა დანაშაულისა. დამნაშავე კარგავს:

- 1) ერთობლივი ღოცვის უფლებას;
- 2) ღვთისმსახურებაში მონაწილეობის უფლებას;
- 3) საიდუმლოებებში მონაწილეობის უფლებას;
- 4) დაკრძალვის დროს შესრულდეს მასზე (წესის აგება).

განკვეთილთან არავითარი რელიგიური ურთიერთობა არ გვაქვს. სასულიერო პირებს კერძო ურთიერთობებიც კი ეკრძალებათ. ამ სასჯელს საკანონმდებლო წყაროები ანათემასაც უწოდებენ.

**ეკლესიური დაკრძალვის უფლებების ჩამორთმევა.** ამ სასჯელს განკვეთილი პიროვნებები იმსახურებენ, რომლებიც გარდაცვალების წინ არ ინანიებენ დანაშაულს.

### სასჯელები კლირიკოსებისათვის

1. შენიშვნა ანუ მოვალეობის შეხსენება;
2. საყვედური — ოგი გამოაქვს ეპისკოპოსს ან კრებას;
3. სხვა ადგილზე გადაყვანა და ჩამოქვეითება;
4. მსახურებიდან დროებით დაყენება მონასტერში გაგზავნით;
5. მღვდელთმსახურების დროებით შეწყვეტა ამ სასჯელებით. სინანულის შემთხვევაში, პიროვნებას შეიძლება დაუბრუნდეს პატივი. სასულიერო პირს უნარჩუნდება მხოლოდ სახელი;
6. ზოგიერთი მღვდელთმოქმედების აკრძალვა დანაშაულისათვის, რომელიც არ მოინანიება.

ყველა ეს სასჯელი სასულიერო პირთა გამოსასწორებლად და დადგენილი.

### სხვა სასჯელები

1. მსახურების ადგილიდან სამუდამოდ გაძევება;  
ეს სასჯელი ეკისრებათ მოვალეობის გაუფრთხილებელი აღსრულებისათვის, საეკლესიო დისციპლინის დარღვევისათვის;
2. რომელიმე მღვდელთმსახურების სამუდამო აკრძალვა;
3. სამღვდლო ხარისხის აყრა — ეს სასჯელი დაედებათ იერარქიული კანონმდებლობის დარღვევისათვის;
4. დაყენება განკვეთით ან მონასტერში გაგზავნით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) Церковный судъ И. Заозерского, 1878, Кострома;
- 2) Книги законныя, А. Павлов, 1885, Сиб.;
- 3) Права и обязанности пресвитеров по основнымъ законамъ христіанской церкви, Забелинъ, 1884—85 г.

ავტორი კალანდია

## ძველი კოლხეთის დეკრეტები

(ეპიგრაფიული მასალების მიხედვით)

ძვ. წ. III—II საუკუნეების კოლხეთის ისტორიის ამსახველი წერილობითი წყაროები თითქმის არ მოგვეპოვება. ძირითადად, ამ ხარვეზის შევსება ხდება არქეოლოგიური მასალების მიხედვით. აღებულ ხანაში კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე მასიურად ვრცელდება როგორც ადგილობრივ დამზადებული, ისე იმპორტული კერამიკის ნაწარმი, რაც იმისი მათწივებელია, რომ ძვ. წ. III—II სს-ში კოლხეთს მკვიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ხმელთაშუა, ისე შავი ზღვის ქვეყნებთან.<sup>1</sup> ამ პერიოდის კოლხეთის საზოგადოების ისტორიის შესასწავლად უძვირფასესი წყაროა ეპიგრაფიკა. სახელდობრ, არქეოლოგიური კვლევამდებების შედეგად, ეშერასა და ვანში აღმოჩენილი ბერძნულ-წარწერიანი ბრინჯაოს ფილების ფრაგმენტები. პროფესორი თინათინ ყაუხჩიშვილი იზიარებს ეპიგრაფიკის სპეციალისტთა შორის გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ წარწერები ბრინჯაოს ფილაზე უმთავრესად ოფიციალური დოკუმენტებია, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია ისინი კერძობითი ხასიათის.<sup>2</sup>

ბერძნულ-წარწერიანი ბრინჯაოს ფილის ფრაგმენტები პირველად აღმოჩნდა კოლხეთის ტერიტორიაზე 1975 წელს ეშერის ნაქალაქარის არქეოლოგიურად შესწავლის შედეგად. მეორე აღმოჩენა კი — ვანში 1985 წელს.

ეშერის ეპიგრაფიკული ძეგლი იმ დონეზეა დაზიანებული, რომ სპეციალისტებმა ვერ მოახერხეს ტექსტის შინაარსის აღდგენა. თ. ყაუხჩიშვილმა მოახერხა მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა.<sup>3</sup> ეს სიტყვებია: „ძალა“, (იგულისხმება სამხედრო ძალა), „მდგომარეობაში ყოფნა“, „სამეფო“, „სახელმწიფო“, „რაზმის უფროსი“, „მრავალრიცხოვანი დადი ფლოტი“, „მეფობა“, „ალაყაფი“, „კოშკი“, „ციხე-სიმაგრე“, „ცეცხლი“ და სხვა.<sup>4</sup> ძეგლის აღმოჩენმა გიორგი შამბამ, შესაძლებელია ეპიგრაფიკის ცნობილი რუსი სპეციალისტის იური ვინოგრადოვის გავლენით, გამოთქვა მოსაზრება, რომ ფილა განსაკუთრებული მნიშვნელობის დეკრეტის ტიპის დოკუმენტია, სადაც ვრცლად უნდა ყოფილიყო საუბარი სამ-

1 «Всемирная история», т. 2, М., 1956, ст. 414; Г. А. Меликишвили, К истории Древней Грузии, Тб., 1959, ст. 301—311; О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тб., 1979, ст. 190—195; Г. А. Лордкипанидзе, Колхида VI—II вв до н. э., Тб., 1978, ст. 104—119.

2 Т. С. Каухчишвили, Греческая надпись на бронзовой плите из Вани — Местные этно-политические объединения Причерноморья в VII—IV вв. до н. э. — Материалы IV Всесоюзного симпозиума по Древней истории Причерноморья, Цхалтубо—Вани, 1985, Тб., 1988, ст. 248—269.

3 Т. С. Каухчишвили, Греческая надпись Эшерского городища — Источниковедческие разыскания, 1982, Тб., 1985, ст. 218—223.

4 იქვე, გვ. 218—223.

ხედრო საქმიანობაზე.<sup>5</sup> გურამ ლორთქიფანიძის აზრით ეშერაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბერძნულწარწერიან ფილაზე საუბარია რომელიღაც უმნიშვნელოვანეს შემთხვევაზე, მის პოლიტიკურ ხასიათზე და სამეფო ხელისუფლებაზე.<sup>6</sup> ჩვენ ვიზიარებთ თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას. მისი აზრით, ეს წარწერა ოფიციალური დოკუმენტია, იგი მოგვითხრობს სამხედრო საქმიანობაზე და მის შემდგომ სამშენებლო სამუშაოებზე.<sup>7</sup> ვარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ მოცემულ ხანაში კოლხეთის სამეფოში არსებული მძლავრი სამხედრო ფლოტი, რაც იმის ჩაუწყებლად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ძლიერი სახმელეთო ჯარიც ეყოლებოდა, რომელიც საგანგებო შემთხვევაში სახელმწიფოს ინტერესებს დაცავდა.

ამგვარი მეორე ფილის ფრაგმენტი, როგორც ვთქვით, აღმოჩნდა ვანში, იგი უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ ვერც მან მოაღწია ჩვენამდე მთელის სახით. მიუხედავად ამისა, თ. ყაუხჩიშვილმა მოახერხა ტექსტის შინაარსის აღდგენა.<sup>8</sup> ცხადია, რომ შედგენილია საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გარკვეულ პირობებს. ტექსტში ნათქვამია: უნდა იყვნენ ყოველმხრივ წმინდა, რომ ხელი მოჰკიდონ რაიმე საქმის წამოწყებას, გაწმენდილნი იყვნენ საფლავთან მისვლის შემთხვევაშიაც და ეს ეხება მათაც და მათ ჩამომავლებსაც. იგი მიმართულია იმ პირთა წინააღმდეგ ვისთანაც ვერაფერს გააწყობ, როგორც ჩანს, ამ აკრძალვის გარეშე. ძველი მოუწოდებს თავის მრევლს, მამაკაცებსა და ქალებსაც და ყველა დანარჩენს, მისდინ ამ „დაწერილს“.<sup>9</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ ვანის წარწერა საკრალურ წარწერათა შორის ერთი ჯგუფის ტიპური ნიმუშია, ე. ი. ტაძრის საკანონმდებლო ძეგლია.<sup>10</sup> მერი ინაძე მას საკანონმდებლო დოკუმენტს უწოდებს.<sup>11</sup> ამ წარწერის მიხედვით ვანის საზოგადოება საკმაოდ დიფერენცირებული, სხვადასხვა ფენებისაგან შემდგარ საზოგადოებად არის წარმოდგენილი.<sup>12</sup>

ძვ. წ. III—I სს-ში ვანი, ფუნქციონალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით, სატაძრო ქალაქი იყო.<sup>13</sup> კოლხეთის სატაძრო ცენტრების ორგანიზაციული ფორმირების ჩამოყალიბებას წარმართავდა აქ არსებული საზოგადოების სოციალურ-გეონომიკური განვითარების დონე.<sup>14</sup> ამიტომ ძვ. წ. III—I სს ვანის ტერიტორიაზე უზვადაა აღმოჩენილი საკულტო-რელიგიური დანიშნულების ნაგებობები. შესაძლებელია ამით იყოს განპირობებული ის, რომ ჩვენთვის საინტერესო დეკრეტი სწორედ რელიგიური შინაარსისაა და მასში მკაცრადაა განსაზღვრული იმის შესახებ, რომ რაიმე საქმის წამოწყების დროს გაწმენდილნი უნდა იყვნენო. ჩანს, აქ მხოლოდ მოწოდება არ იყო საკმარისი. ამიტომ ვანის ხელისუფალნი აძულებულნი გამხდარან კანონი გამოცათ.

ძველიდან ჩანს, რომ ვანის საზოგადოება მოკრძალებით ეპყრობოდა წინაპართა საფლავებს. ტექსტის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს: გაწმენდილ იქნენ საფლავთან შეხების შემთხვევაშიაც. და ეს ეხებათ მათ და მათ ჩამომავლებსაც.<sup>15</sup>

5 Г. К. Шамба, Эшерское городище, Тб., 1980, ст. 54—55.

6 Г. А. Лордкипанидзе, Греко-Колхидские взаимоотношения VI—IV вв. до н. э., ВДИ, 1982, № 2, ст. 41.

7 Т. С. Каухчишвили, Греческая надпись Эшерского городища..., ст. 222.

8 თ. ყაუხჩიშვილი, ვანის ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწერა, კრებული ქართული წყაბრობით, კოდნობა, ტომი 8, 1987, გვ. 135.

9 იქვე, გვ. 136.

10 იქვე, გვ. 137.

11 მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1984, გვ. 149.

12 იქვე, გვ. 149—150.

13 იქვე, გვ. 74.

14 იქვე, გვ. 99.

15 თ. ყაუხჩიშვილი, ვანის..., გვ. 136.

აღნიშნული ცნობიდან ჩანს, რა ამ ძეგლს ნამდვილად კანონის ძალა ჰქონდა ეს იყო არა მარტო მოწოდება, არამედ მოთხოვნა.

აქვე მოთავსებულია კანონის საგანგებო პუნქტი. მოუწოდებენ ღმერთს კ. ი. პანთეონის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, შესთხოვენ იყოს მოწყალე, მაგრამ ეს მოწყალეობა არ ვრცელდება მასზე, ვინც განიზრახა ამ დოკუმენტი აღკვეთილი საქმის ჩაღწევა.<sup>16</sup>

ამ დაწერილში ყურადღებას იქცევს სიტყვა „ქალები“. ანუ, ყაუხჩიშვილი აზრით, ეს ქალები იყვნენ ტაძრის მონები და ამის გამო არიან ტაძრის დოკუმენტში მოხსენიებულნი.<sup>17</sup> მ. ინაძეს აზრით, ეს ქალები, „ყველა დანარჩენთან განსხვავებით, ვანის საზოგადოების დაწინაურებულ ფენას ეკუთვნოდნენ.“<sup>18</sup>

მართებულად შენიშნავს მ. ინაძე იმას, რომ ვანის სატაძრო ცენტრში გამართულ სადღესასწაულო ცერემონიალში არა მხოლოდ ქალაქის მკვიდრნი არამედ უცხოელთა მონაწილეობის დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს საკრალურ დადგენილებაში იმისი აღნიშვნა, რომ ის, ვინც წამოიწყებს რაიმე საქმეს, უნდა იყოს ყოველმხრივ წმინდა. ეს დადგენილება მიმართულია იმ პირთა წინააღმდეგ, ვისთანაც ამ აკრძალვის გარეშე ვერაფერს გააწყობ. საფიქრებელია დადგენილების ეს მუხლი მიმართული იყოს იმ პირთა წინააღმდეგ, ვისა და შეემლო ვანის ტაძარში დადგენილი საკრალური წესები უხეშად დაერღვია და ვისაც ამ საკანონმდებლო დაწერილით საგანგებო გაფრთხილება და მკაცრი აკრძალვა სჭირდებოდა. ბუნებრივია, სადღესასწაულო ცერემონიალში მონაწილე ასეთი პირები უცხოელები უფრო შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, ვიდრე ვანის სატაძრო თემის წევრები. თუმცა არც ის იყო გამორიცხული, რომ გამოიწვიოს სახით საკანონმდებლო დოკუმენტში აღნიშნული წესდება სატაძრო თემის რომელიმე წევრსაც დაერღვია.<sup>19</sup> აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვანის სატაძრო ორგანიზაცია ცდილობს სატაძრო კოლექტივში ადრე არსებული ვითარების შენარჩუნებას, ძველი სარიტუალო წესების დაცვით მის სტაბილიზაციას.<sup>20</sup>

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვანის საკანონმდებლო დოკუმენტში წესდების დამრღვევებზე არავითარი აღმინისტრაციული სასჯელი არ არის დაწესებული არამედ ის, ვინც ამ დადგენილების საწინააღმდეგოს ჩაიდენს, მას ნურც ღმერთები უშველიან და თავს დაატყდეს ყოველგვარი უბედურება, ეშერის ბრინჯაოს ბერძნულწარწერიანი ფილა დათარიღებულია ძველი წ. III საუკუნით,<sup>21</sup> ხოლო ვანის წარწერა — ძვ. წ. IV—III საუკუნეებს განეკუთვნება.<sup>22</sup>

აღნიშნულიდან გამოძინარე, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. ძვ. წ. III—I სს-ში წერილობითი წყაროების სიმცირეს ნაწილობრივ ავსებენ ეპიგრაფიკული ძეგლები. ამ მხრივ აღსანიშნავია ბრინჯაოს ფილებზე გაკეთებული წარწერები, რომლებიც საკანონმდებლო ხასიათისა არიან;
2. იურიდიული ხასიათის ეპიგრაფიკული ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე ორ ადგილზეა აღმოჩენილი, ორივე ქვეყნის დასავლეთ ნაწილში;
3. ეშერაში აღმოჩენილი ძეგლი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ძვ. წ. III ს-ში კოლხეთში არსებულა სამეფო ხელისუფლება, რომელსაც თავის დაქვემდებარებაში მრავალრიცხოვანი დიდი ფლოტი ჰქონია. სამხედრო ოპე-

16 თ. ყაუხჩიშვილი, ვანის..., გვ. 137.

17 იქვე, გვ. 139.


18 მ. ინაძე, ძველი კოლხეთის..., გვ. 149.

19 იქვე, გვ. 253—254.

20 იქვე, გვ. 149.

21 Т. С. Каухчишвили, Греческая..., ст. 223.

22 თ. ყაუხჩიშვილი, ვანის..., გვ. 134.



რაციების შემდეგ კოლხეთში ადგილი ჰქონია აღდგენით სამშენებლო საქმეებს. ანობას;

4. ვაწში აღმოჩენილი ძეგლის მიხედვით მტკიცდება, რომ ეს ქალაქი საკულტო რელიგიური მნიშვნელობის ცენტრი ყოფილა, სადაც ყველა სატაძრო რიტუალის ჩატარება მკაცრად ყოფილა დადგენილი.

**დაიი გაზიონია**

**საქორწინო-საოჯახო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი**

„27. შექმნა ღმერთმა კაცი თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.“

28. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს რაც კი დედამიწაზე დახოხავს“.<sup>1</sup>

ოჯახი ის უპირველესი მიკროსამყაროა, რომელშიც იბადება და ყალიბდება პიროვნება — საზოგადოების წევრი. ოჯახში ეუფლება იგი ეროვნულ ტრადიციებს, მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებას, ოჯახში იღვამს ფეხს და სწავლობს კეთილისა და ბოროტის გარჩევას. ოჯახში ყალიბდება თითოეული ჩვენგანის მორალური კოდექსი, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საზოგადოების როლის უგულებელყოფა. „დიდია ოჯახის როლი არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების ცხოვრებაშიც. ოჯახი უზრუნველყოფს ადამიანთა მოღვაწის გავრძელებას და ასრულებს ბავშვების აღზრდის ფუნქციას... საოჯახო ურთიერთობა რთულია, ვინაიდან, იგი დაკავშირებულია ადამიანის შინაგან სამყაროსთან“.<sup>2</sup> მით უფრო აუცილებელია საქორწინო-საოჯახო ურთიერთობათა ისტორიის სრულყოფილი ანალიზი.

ქორწინების ძველთაძველი ტრადიცია შემორჩა სვანეთს, ფშავ-ხევსურეთსა და სამეგრელოს. სიტყვა ძველთაძველი შემთხვევით როდი ვიხმარეთ, ეს წეს-ჩვეულება წარმართობის ხანაში იღებს სათავეს და თითქმის უცვლელი სახით მოაღწია დღემდე.

სიტყვა ოჯახი — თი — მეგრულად სახლი, დიდი გვაროვნული ოჯახი, პატრიარქალური ოჯახი. გ. ელიავა მიუთითებს, რომ: „თური — გვარია. თი უძველესი წარმოშობის ლექსიკური ერთეულია, იგი არა მხოლოდ სუფიქსია, არამედ კომპოზიციის ერთი სრულყოფილია წევრია და უძველესი დროიდან ნიშნავდა ადამიანთა სისხლით ნათესაურ ერთობის ჯგუფს — დიდ, პატრიარქალურ ოჯახს, რომლის შემადგენლობა აღირიცხებოდა მელოგინეთა რიცხვის მიხედვით. შემდეგ თი დაიშალა ცალკე ოჯახებად, მელოგინეთა წყვილებად, მათ ნამრავლებად და ახალი გვარის — თურის შექმნას დაედო საფუძვლად“.<sup>3</sup> ახლა გადავხედოთ ბიბლიურ ენციკლოპედიას: „ვინც დღეს პატარა თანამედროვე ოჯახში ცხოვრობს, აბრაამის დროინდელი ოჯახი ძალიან დიდად მოეჩვენებოდა. მას-

1 ბიბლია, თბ., 1989, გვ. 13.  
 2 შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., 1999, გვ. 7.  
 3 გ. ელიავა, გეგეჭვორის მუხუშუმის მასალები,

ში შედიოდნენ არა მარტო მშობლები და შვილები, არამედ ბებიები, პაპები, დედები, ბიძები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და მოსამსახურეებიც. კერძოდ, როდესაც აბრაამი ლოთის გასქთავის უფლებად მოდიოდა, რომელიც ქანაანში შემოჭრილ მეფეებს ჩაუვარდა ტყვედ, მან თავისი ოჯახიდან 318 მეომრის წაყვანა შეძლო. ასეთ ოჯახურ თემში მამა წყვეტდა არა მარტო პრაქტიკულ, არამედ რელიგიურ საკითხებსაც. მისი სიკვდილის შემდეგ ძალაუფლებას მემკვიდრეობით უფროსი შვილი იღებდა. მამის სიტყვა ყველასთვის კანონი იყო.<sup>4</sup> ალბათ კანონზომიერია ბიბლიური ოჯახის რაობისა და ქართული ოჯახის შინაარსის მსგავსება.

მეგრული ადამიანისა და ჩვეულების მიხედვით ქორწინების დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მშობლების თანხმობას, არამედ იმ ფაქტორსაც, უნათესავეებიან თუ არა ერთმანეთს ქალი და ვაჟი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მათ შორის მართლაც არსებობს ნათესაურ კავშირი, მაშინ წინ წამოიწევს მეგრული ცნება „ვაშინერსი“, ე. ი. არ შეიძლება არა ჰხამს, ტაბუა. ასეთ დროს წყვილთა შეუღლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. „ვაშინერსი“ იმდენად მტკიცედ არის გამჯდარი ხალხში, რომ დღესაც ძალზე ხშირად გავიგონებთ: „ვაშინერთ თქვა ართიანსი“, ე. ი. ჩვენს შორის კავშირი არ არის ნებადართული ძველი ათადის გამო, რომელიც ნათესაობის უხენაესად მიიჩნევს. ახლა გადავხედოთ ბიბლიურ ისტორიას: „სხვა ეროვნების და რელიგიის წარმომადგენელ კაცთან ქორწინება დაუშვებელი იყო. კანონით იკრძალებოდა აგრეთვე უახლოეს ნათესავეებს შორის შეუღლება“.<sup>5</sup> როგორც თელიძის სახოკია მიუთითებს, მეგრელებს შორის დანათესავეების სამი ძირითადი სახე არსებობს: 1) ნათესაობა დაბადებით, ე. ი. სისხლით ნათესაობა (ბუნებით); 2) ნათესაობა ქორწინებით; 3) ხელოვნური დანათესაება.


სისხლის ნათესაობა ყველა, ვინც საერთო მშობლებისაგან არიან დაბადებულინი როგორც პირდაპირ, ისე გვერდითი შტოთი. მეგრული ნათესაობა ნიშნავს ერთი თესლისაგან ამოსულს. სისხლით ნათესავეებს აქვთ ერთი საერთო ძირი ანუ მეგრულად „ჯინჯი“, რომელზედაც აღმოცენდება და შტოებს იკეთებს საგვარეულო ხე. დამახასიათებელია მეგრული ყველაზე ძლიერი წყევლა: ჯინჯამო გეშალაფედა ანუ ძირიანად ამოვარდი, ე. ი. გადაშენდი ძირ-ფესვიანად... ძირად მხოლოდ ვაჟიშვილი ითვლებოდა. შორეულ ნათესავეებად ითვლებიან ერთი საერთო გვარის მატარებლები: „გვარი ნიშნავს: მსგავს, დარს, მოგვარე იქნება ვინც მეორესა ჰგავს. ასეთი ერთი გვარისანი, დაბადებულნი საერთო მშობლები საგან, ერთი-მეორისათვის ითვლებიან „მოჯიმალე“-ებად ანუ თანამომკმეებად ხოლო მათი კრებული — ერთ საზოგადო ერთეულად ანუ ევროპულად კლანად საჯიმალოდ ანუ კიდეც სამძოდ“.<sup>6</sup> თანამომკმეთა შორის დაბადებული ბავშვები ითვლებიან და-მკმებად და მეგრული ჩვეულების მიხედვით, მომკმეუ გათხოვების უფლება არა აქვთ. ქალებმა საქმროები სხვა გვარის ვაჟიშვილებს შორის უნდა ეძებონ.

ახლა შევეხოთ ცოლ-ქმრული წესით ნათესაობის დამყარებას. „მეგრული ეგზოგამია გაცილებით შორს მიდის, ვიდრე ამის წარმოდგენა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო სხვა ხალხთა ეგზოგამიის კანონის გაცნობით. როცა ქალ-ვაჟი ცოლ-ქმრულს კავშირით შეუღლდება, ორი ოჯახი, რომელსაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ეკუთვნის ასე დანათესაება ერთი მეორესი, რომ მეტი გათხოვება.

4 ბიბლიის ენციკლოპედია, „ცხოვრება ოჯახში“, თბ., 1998, გვ. 161.

5 ბიბლიის ენციკლოპედია, „ყოფა და ოჯახური ცხოვრება ბიბლიაში“, თბ., 1999, გვ. 166.

6 თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 72.



გამოთხოვება ამ ორ ოჯახს შორის, მეგრული წესით „ვაშიწერსი“, ე. ი. აკრძალულია, არ შეიძლება, არა ჰხამს. ასეთი შეუძლება უდრის სისხლის აღრევას, ნათესაური კანონის დათრგუნვას. ქმარი, რომელიც ცოლთან ერთად თამაშობს მთავარ როლს ახალი სანათესაო კავშირის დადებაში, ქალის ნათესავეებისათვის არის სინჯა-სიძე, თავის მხრივ, პატარძალი ქმრის ნათესავეებისათვის ითვლება სოსა-დ რძლად“.<sup>7</sup>

ხელოვნური დანათესაება — მეგრული მამაკაცის ცხოვრების მთავარი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ დაუტოვოს ოჯახს მემკვიდრე, გვარის გამგრძელებელი, ე. ი. ვაჟიშვილი. ეს არის მისი ცხოვრების იდეალი. მაგრამ ხშირად ეს იდეალი ბუნებრივი გზით განუხორციელებელი რჩება, ე. . ოჯახს არ გაუჩნდება ვაჟიშვილი. ამ შემთხვევაში მეგრული კაცი ხელოვნურ დანათესაებას მიმართავდა: შვილს ხელოვნურად შეიძენდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, იშვილებდა. მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა უშვილო ცოლ-ქმართან, არამედ უვაჟიშვილო მშობლებთან. „უშვილო მეგრელს შეუძლია იშვილოს არამც თუ სხვათა ვაჟი, არამედ შეუძლია რომელიც გინდა გარდაცვლილს ნათესავს უმაგიეროს სხვა ცოცხალი მეზობელი. ასე რომ, მეგრული თავდაცვის გრძნობის კარნახით დაუყოვნებლივ ადადგენს ყოველგვარ დანაკარგს, რომელიც მის ოჯახში მოხდა. მაგალითად, ვაჟს შეუძლია გარდაცვლილ მამის მაგივრად სხვა ახალი მამა შეიძინოს, ძმის წულს — ბიძა და სხვა და სხვა“.<sup>8</sup> უშვილობა სამეგრელოში, როგორც მთელს საქართველოში, დიდ უბედურებად იყო მიჩნეული. გასაოცარია ის ფაქტი, რომ უვაჟიშვილო ოჯახი სამეგრელოში თავს უშვილოდ თვლიდა. თუმცა თუ გადავხედავთ ბიბლიურ ისტორიას, ვნახავთ, რომ ვაჟიშვილისადმი მომეტებული ყურადღება არა მხოლოდ საქართველოშია გაბატონებული. „ჩვეულებრივ მემკვიდრედ მხოლოდ ვაჟიშვილები ხდებოდნენ. ამასთანავე უფროს ვაჟიშვილს გარკვეული უპირატესობანი ეძლეოდა და უფლება ჰქონდა მამის მემკვიდრეობის ორმაგ წილს დაპატრონებოდა. ასულს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო მემკვიდრედ გახდომა, თუ ოჯახში ვაჟიშვილები არ იყვნენ. თუ ოჯახს საერთოდ არ ჰყავს შვილები, საკუთრება გადადიოდა უახლოეს ნათესავზე მამრობითი ხაზით“.<sup>9</sup>

ქალი გვარის გამგრძელებელი ვერ იქნება და ამას ჰქვია მეგრელთა შორის „ჯინჯამო ეშალაფა“ (ძირიანად ამოვარდნა, გადაშენება). მეგრულ ოჯახში ქალს თითქმის არ გააჩნია არავითარი უფლებები. ისევე როგორც აღნიშნული პერიოდის მთელს საქართველოში, სამეგრელოში ქმარი ითვლება ცოლის სრულ ბატონ-პატრონად და ისიც სიტყვაშეუბრუნებლად უნდა ასრულებდეს ქმრის ყველა სურვილს.

უშვილო მეგრული ცდილობს იშვილოს სხვათა შვილი (სქუალაფა), აღზარდოს იგი საკუთარ ოჯახში, მისცეს თავისი გვარი და იყოლიოს შვილად. შვილად აყვანის აქტი მაშინ ითვლებოდა კანონიერად, როცა შეასრულებენ რიტუალს, რომელიც მაყურებელზე სტოვებს უშვილო დედაკაცის მიერ შვილის შობის შთაბეჭდილებას.<sup>10</sup> როგორც წესი, სამეგრელოში შვილად იყვანდნენ უღარიბესი ოჯახის შვილს ან უკანონოდ შობილ შვილს. „შვილად აყვანის ცერემონიის რამდენიმე დღის წინათ, მომავალ დედას თავი ისე უჭირავს, როგორც ორსულობის

7 იქვე, გვ. 73.  
 8 იქვე, გვ. 76.  
 9. ბიბლიის ენციკლოპედია — „ყოფა და ოჯახური ცხოვრება, მემკვიდრეობის უფლება“, თბ., 1998, გვ. 163.  
 10 თ. სახოკია, ხსენებული ნაშრომი, გვ. 78.

უკანასკნელ დღეებში მეოფ მშობიარეს, მუცელზე ბალიშს იკეთებს, რომ ვაძო-  
ზერილად ეჩვენოს მაყურებელს. ნელა მოძრაობს, კენესით და სულის ბრუნებით  
მეზობელი ქალები მის მდგომარეობას თანაგრძნობით და სერიოზულად უყურ-  
ბენ, ეკითხებიან, თუ როდის მოილოცინებო. ბოლოს თვით მოლოცინებაც დად-  
გება; მშობიარე ლოგინში ჩაწვება, კვნესის სწორედ ისე, როგორც ბავშვის და-  
ბადების დროს მელოცინები. ბებია თავს დასტრიალებს, რჩევას აძლევს, ამში-  
ღებს... ამ დროს... ლოგინში ჩაუგორებენ ბავშვს. აქედან დაერქვა თვით პრო-  
ცესს „სქუაში მითორგინაფა“ (შემოგორება შვილისა). ბავშვის ატირების დროს  
ყველანი ჩქარობენ მოულოცონ დედას მშვიდობით შექენა ვაჟისა. მშობიარე კი-  
დევე რამდენსავე დღეს დარჩება ლოგინში... ახალი მშობლები ნაშვილებს ისე  
ზრდიან, როგორც საკუთარს, მეზობლებიც ასეთად თვლიან.<sup>11</sup> ვინ იცის, იქნებ  
არ ყოფილიყო ურიგო ამ უძველესი ქართული ტრადიციის აღდგენა, რაც უფრო  
ბუნებრივს, ლამაზსა და დამაჯერებელს გახდიდა შვილად აყვანის პროცესს.  
დაბოლოს, წმინდა სიტყვები ოჯახსა და მის წევრებზე:

„23. გყავს შვილები? ასწავლე მათ და ყრმობიდანვე მოახრევენიე ქედი.

27. მთელი გულით განადიდე მამაშენი და ნუ დაივიწყებ დედაშენის ტკი-  
ვილებს.

28. გახსოვდეს, რომ მათგან დაიბადე; რას მისცემ მათ ამის სანაცვლოდ?

29. ნურავის ჩათული ბედნიერად სიკვდილამდე, რადგან კაცი მის ნაშობთა-  
გან შეიცნობა“.<sup>12</sup>



**ინო ცნოზიაცა**

**ვაჟა-ფშაველა და ფშავ-ხევსურეთი გავრცელებული  
სამართალი**

პიროვნების თავისუფლების, სოციალური თანასწორობის იდეა დედაძარ-  
ღვად დაჰყვა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. ზოგან იგი ჰუმანისტური მანიფეს-  
ტის სახეს იძენს, ზოგან საზოგადოებრივ პროტესტში გადადის, ხანაც მამხი-  
ლებელ-სატირულ ფორმაში ვლინდება.

ათეული წლების მანძილზე ვაჟა განუწყვეტლივ ასაზრდოებდა ქართულ  
პრესას, როგორც ბრწყინვალე ლექსებით, პოემებით, მოთხრობებით, პიესებით,  
ისე ცოცხალი კორესპონდენციებით, მამხილებელი პუბლიცისტური და პოლე-  
მიკური წერილებით. ეს იყო ქართული ჟურნალისტიკის სახელოვანი ეპოქა,  
რომელსაც დიდი შემოქმედის ამოუწურავი ტალანტი, მოქალაქეობრივი კეთ-  
ილშობილება ამშვენებს.

11 იქვე, გვ. 76.  
12 ბიბლია.

ფშავ-ხევსურეთში სისხლისსამართლებრივი ნორმების და მათ მიერ რე-  
კულირებული ურთიერთობების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ვაჟას მეცნი-  
ერული და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ვაჟას გადმოცემით, ფშავ-ხევსურეთში მოქმედი ჩვეულებითი სამართალი,  
რომელიც ადათებსა და წეს-ჩვეულებებს ემყარებოდა, „არ იყო მრავალმუხლო-  
ვანი ად რთული“.<sup>1</sup> ეს წეს-ჩვეულებები მაინც საკმაო სისრულით აწესრიგებ-  
დნენ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს, კერძოდ, დანაშაულად ჩაითვლე-  
ბოდა გარკვეული საზოგადოების ნაწილის ადათებით გათვალისწინებული საზო-  
გადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა). საზოგადოებრივად  
საშიში მოქმედება გამოიხატებოდა პირთა მიერ ადათობრივი სამართლის ნორმე-  
ბით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობების ხელყოფაში, საზოგადოების  
განსაზღვრული ჯგუფის ინტერესების დარღვევაში. ასეთ დანაშაულთა კატეგო-  
რიას მიეკუთვნებოდა მკვლელობა, მრუშობა, ქურდობა და ა. შ.

საზოგადოებრივად საშიში უმოქმედობა კი გამოიხატებოდა პირის მიერ  
ადათობრივი სამართლით გათვალისწინებული განსაზღვრული ქცევის შეუსრუ-  
ლებლობაში. ასეთ დანაშაულად ჩაითვლებოდა რელიგიური წესების შეუსრუ-  
ლებლობა და სხვა. ამასთან, როგორც ვაჟა-ფშაველა გადმოგვცემს, ფშაველების  
რველი ჩვეულებითი სამართალი არ ითვალისწინებდა პრივილეგიებს გვაროვნო-  
ბისა და ჩამომავლობის მიხედვით: „ღირსებას, გვაროვნობასა და ჩამომავლობას  
ფშაველების ჩვეულებითი სამართალი არ მიჰხედავდა“.<sup>2</sup> მაშასადამე, სოციალუ-  
რი მდგომარეობის მიუხედავად, ყოველი დანაშაულისათვის ერთი და იგივე სის-  
ხლის საფასური უნდა გადაეხადა ყველას.

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებათა დადგენამდე  
ვაჟა განსაზღვრავს იურიდიულ ტერმინს „სისხლის“ ცნებას. ტერმინ „სისხლს“  
უადრესად დიდი ძალა ჰქონდა ფშავ-ხევსურეთში. აქ გაბატონებული ყოფილა  
„კულტი სისხლისა“. ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე მსხვერპლმწიფრვა აუ-  
ცილებლად პირუტყვით უნდა მომხდარიყო, რომ მისი სისხლი დაღვრილიყო  
წმინდა ადგილას, ანუ „სახატე“ ადგილას. თვით ხევის ბერებსაც, მათი არჩევის  
პერიოდში, შუბლსა და ხელებზე სისხლს უსვამდნენ. ვაჟა ასკვნის: „სისხლს  
რაკი ეს ძალა აქვს, უეჭველად, მოვალენი ვართ, ვიფიქროთ, რომ თვით ჩვეუ-  
ლება მთიელთა შორის სისხლის ადებისა, თუ სისხლის ძიებისა, სამღვთო მო-  
ვალეობად ჩასათვლელია“.<sup>3</sup> სწორედ ამიტომ ვაჟას აზრით, ფშავ-ხევსურეთში  
სისხლის ადების საფუძველი იყო ღვთის მიერ დადგენილი კანონი, რომელიც  
ავალებდა მოკლულის ნათესავეებს ავლთ დაკარგული ახლობლის სისხლი, რად-  
გან მკვლეელი იმ ქვეყნად მისი მონა-მორჩილი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა,  
ფშავ-ხევსურთა ასეთი მოქმედება რელიგიური ცრუმორწმუნეობის ნაყოფი იყო.

სისხლის ალება მეტად გავრცელებული იყო ფშავ-ხევსურეთში, მაგრამ  
საინტერესოა, რომ ასეთი წესი საგვარეულო წრეზე არ ვრცელდებოდა. ე. ი.  
ნათესავის მკვლეელი კაცი პასუხს არ აგებდა სისხლისსამართლებრივი წესით.  
მას სიცოცხლეს არავინ გამოასალმებდა. ეს, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ  
საგვარეულო წრე მოკლულის სახით კარგავდა თავისი „ოჯახის“ წევრს და  
ადებოდა მისი რაოდენობა. ეს დაასუსტებდა მათ ნათესაურ მოდგმას და შე-  
ძლებოდა გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩენილიყვნენ. თუმცა, ნათესავის  
მკვლეელი ხალხის ოვალში ღირსებასა და პატივისცემას კარგავდა: „კაცი, მკვლე-

1 ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. IX, გვ. 71.

2 იქვე, გვ. 73.

3 იქვე, გვ. 238.

ლი თავისი ნათესავისა, განთავისუფლებული იყო სისხლის ზღვევიდამა და აღ-  
მანიღამაც. საგვარეულოში სისხლის აღება წესად არ იყო. მამას შეემძლო შვილი  
ზოეკლა დაუსჯელად, მძას — „თავისსხლს“ იმათ არავინ მოსთხოვდა, თუმი იმათ  
პასუხისგებაში ვერ მისცემდა, მაგრამ ღირსება მათი კი დამცირებული იყო ხა-  
ლხის თვალში, ყველანი ზიზღით უცქეროდნენ ამგვარ მკვლელსა და „ცოდვი-  
ანს“ ეძახდნენ“.<sup>4</sup>

სისხლის ზღვევას მთაში, ვაჟას გადმოცემით, ეწოდებოდა „თავისსხლი“.

მართალია, ფშავ-ხევსურეთში სისხლის აღების უფლებაცა და მოვალეობაც  
დაკანონებული იყო, მისი აცილებაც შესაძლებელი ყოფილა. ეს ხდებოდა შერი-  
გების გზით, რაც უთუოდ, პროგრესულ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ. ვაჟასივე  
გადმოცემით, არსებობდა ე. წ. „თავისსხლის“ საფასური“.<sup>5</sup> გამოთქმა მიგვი-  
თითებს, რომ ყოველი დანაშაულისათვის წინასწარ დაწესებული ყოფილა ვარ-  
კვეული საფასური. დამნაშავე, ანუ იგივე ბრალდებული დანაშაულის ჩადენის  
შემდეგ უნდა მისულიყო დაზარალებულის ნათესავებთან და მის მიერ ჩადენილი  
დანაშაულის სისხლი ეხლო.

სხვათა შორის, სისხლის სამართლის ანალოგიური სისტემა ცნობილია  
ზხვადასხვა სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. იქ მოხსე-  
ნიებულია, თუ რომელი დანაშაულისათვის რამდენი უნდა გადაეხადა დამნაშავეს  
დაზარალებულისათვის.<sup>6</sup>

ვაჟას გადმოცემული მასალიდან კარგად ჩანს, რომ ფშავ-ხევსურეთში ამა  
თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის საზღაურად დაწესებული ყოფილა  
არა ფულადი, არამედ ნატურალური საფასური. საცვლელ ღირებულებად იშ-  
ვით შემთხვევაში თუ გამოიყენებოდა ფული. ძირითადი საგადასახადო ერთე-  
ული პირუტყვი (ძროხა, ცხვარი) იყო.

ამ მოსაზრებას ადასტურებს რუსი სოციოლოგი და ეთნოგრაფი მ. კოვა-  
ლევსკი, რომელსაც ვაჟა-ფშაველა პირადად იცნობდა და დიდ პატივს სცემდა.  
აგი მიუთითებს: «Не зная денег, горцы не могли представить себе, ка-  
ким образом могли давать проценты такие предметы, которые сами  
по себе не дают приплода, и поэтому он избрал за меновую единицу  
корову, естественный приплод который и составил проценты на ка-  
питал».<sup>7</sup>

ვაჟას გადმოცემით, ფშავეში არსებობდა სისხლის საფასურის სხვადასხვა  
კატეგორია. ე. ი. დაზარალებულისათვის საზღაურის გადახდა ხდებოდა მისთვის  
ბიყენებული ზიანის ხარისხის შესაბამისად. თუ დამნაშავეს მიერ მიყენებული  
ჭრილობა მომაკვდინებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ დამნაშავეს უნდა გადაეხადა 80  
ძროხა, რაც უდრიდა 360 ცხვარს. ფულის სახით ჯარიმა აღწევდა 400 მანეთს.  
თუ ჭრილობა სიცოცხლისათვის საშიში არ იქნებოდა, დამნაშავეს გადაეხდები-  
ნებოდა შესაბამისად უფრო მცირე სისხლის საფასური.

ადამიანის სხეულის ყველა ნაწილი შეფასებული იყო, რა თქმა უნდა,  
მკვლელობის შემდეგ ყველაზე დიდ დანაშაულს წარმოადგენდა სხეულის მძიმე  
დაზიანება. თუმცა, სხეულის ყოველი ნაწილის, ორგანოს დაზიანება როდი იყო  
შეფასებული ერთნაირად: „მთელი ხელე დაფასებული იყო თხუთმეტ ძროხად.  
ნეკი ღირდა ერთი, მაჩვენებელი — ოთხი, ცერი — ხუთი ძროხა. საშუალო თითი

4. იქვე, გვ. 73.

5. იქვე, გვ. 72.

6. „შუა საუკუნეების სამართალი“, ტ. 11, 1962.

7. М. Ковалевский, «Закон и обычай на Кавказе», т. I, стр. 208.

— სამი ძროხა, ნეკილამ დაწყებული რიგზე თითოეულს თითს თითო ძროხა ემატება“.<sup>8</sup>

ასეთი დაყოფა, ცხადია, შემთხვევითი არ არის. ითვალისწინებდნენ მათ წნიშვნელობასა და დანიშნულებას.

სხვათა შორის, ვახტანგ VI სამართლის წიგნი, რომელიც ვაჟას გადმოცემით, გავრცელებული იყო ფშავ-ხევსურეთში, შეიცავს ზემოთ აღნიშნული საკითხის განმარტებას. სამართლის წიგნის 46-ე მუხლში ნათქვამია: „ფეხის თითი ხელის თითთან არ ჩავარდების. ამიტომ რომე არც ხელის თითის ოდენი სახმარობა შეუძლია და არც გამოჩენით სახიჩრად დაინახების ხელსავით. ამაღ, ერთის ფეხის თითს ნახევარის ხელის თითის სისხლი ადინეთ, რომე ორის ფეხის თითი და ერთი ხელის თითი სწორედ ჩავარდების“.<sup>9</sup> ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ არის. მეფე „ვახტანგის სამართლის წიგნი ქართული ჩვეულებათა საფუძველზე იყო შედგენილი“.<sup>10</sup> ფშავ-ხევსურეთშიც, როგორც გადმოგვცემს ვაჟა, საზოგადოებრივ ურთიერთობებს სწორედ ჩვეულებითი სამართლის ნორმები არეგულირებდნენ.

ფშავ-ხევსურებს ერთი საგულისხმო წესიც ჰქონდათ — სისხლის დაურვებისა. როდესაც ერთი პირი დაჭრიდა მეორეს, ანუ „დაჰკეჭნიდა“, დაკნტლილ პირს წყლულებზე სიგრძივ დაადებდნენ მარცვლებს. რამდენი მარცვალიც მოთავსდებოდა მასზე, იმდენი ძროხა უნდა მიეცა დამკნტნელს. „დაჭრილობა პირსახეზე მარცვლით იზომება. ერთი მარცვალი დაედებოდა სიგრძივ, სხვა გარდიგარდმო. დანარჩენი მარცვლებიც ამრიგად. მარცვლების რიცხვი და ძროხებისა, რამდენიც დამჭრელს უნდა მიეცა დაჭრილისათვის, სწორედ უნდა ყოფილიყო“.<sup>11</sup> მ. კოვალევსკიც მიუთითებდა, რომ „სისხლის ძიებისას მიმართავდნენ მკვლელობას და ჩვეულებრივად საქმე სისხლის შესყიდვით მთავრდებოდა“.<sup>12</sup>

ყურადსაღებია სხვა მომენტიც: მოკლულის ოჯახს მკვლელისაგან, „თავსისხლის“ გარდა, შეეძლო მოეთხოვა სხვა რომელიმე საგანი, ნივთი, რომელიც მოეწონებოდა. დამნაშავე კი ამ მოთხოვნაზე უარს ვერ ეტყოდა, ვალდებულიც კი იყო, მიეცა იგი. ვაჟას სიტყვებით, ამგვარ ჩვეულებას ეწოდებოდა „ალმა-ხია“, ანუ იგივე „ყისტი“.<sup>13</sup>

ვაჟას დროს ფშაველები ძველებურად ცხოვრობდნენ ისევ. ვაჟა მზად იყო ებრძოლა ჩამორჩენილობის აღსაკვეთად, მაგრამ ღირსეულისა და უღირსის, კეთილისა და ბოროტის, სამართლიანობისა და უსამართლობის აღქმის სიახლით და დაძაბულობით, ვაჟას აზრით, ფშავ-ხევსურები განსაკუთრებულ სიმაღლეზე იდგნენ, ვაჟა ჯანსაღი განმსჯელი იყო სინამდვილისა, კარგი ანალიზი ეხერხებოდა, თავს არ იხრიდა ტირანიისა და სიყალბის წინაშე.

პოეტმა სიცოცხლეზე შეეყვარებულის თვალთ შეხედა უსწორმასწორო წუთისოფელს და იმავე სიცოცხლის სახელით მოითხოვა ყველა უსამართლობის დათრგუნვა.



8 „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, გვ. 494.

9 იქვე.

10 ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, გვ. 111.

11 ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, გვ. 72.

12 მ. კოვალევსკის დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

13 ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, გვ. 72.



გიორგი ნაღარკოვილი

„ხელის“ უკვლავს ენიშვნელოვანს ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“

რუსთაველის პოემაში ვკითხულობთ: „გაჭრა ხელია მიჯნურთა“.

მკვლევართა მართებული მოსაზრებით, „გაჭრა“ აქ ველად გავარდნას ნიშნავს, ხოლო „ხელი“ – წესს, მოვალეობას, საქმეს. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, ხელი ამ შემთხვევაში ნიშნავს ქცევის წესს.

რუსთაველის ეპოქაში „ხელი“ იწერებოდა ხარ-ით (ვ) და არა ხან-ით (ხ). ამ ჯელის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო სწორედ ახლანდელი „ხელი“, ე. ი. ადამიანის ზემოკიდურის ნაწილი მაჯის ქვემოთ.

მაშასადამე, პოეტის აზრით, ველად გავარდნა და ხეტიალი მიჯნურთავან გასაკვირი არ არის, ეს მათი ქცევის წესია.

საკითხავია, რატომ არ ბრძანა რუსთაველმა: „გაჭრა წესია მიჯნურთა“-ო. მის ეპოქაში სიტყვა წესი ხომ საკმაოდ გავრცელებული იყო?

წეს-ი ძველი ქართული ენის დონეზე ნიშნავდა რიგს, განაწესს, ბუნებას, სჯულს, ზოგჯერ ნივთსა, ელემენტსა და „ჯუარსაც“ კი,<sup>1</sup> წეს-ყოფა კი, „ჯერყოფას“.

წეს-ი ერთ-ერთი უძველესი სოციალურ-იურიდიული ტერმინია. იგი ქართულსა და სომხურ ენებში საერთო ხმარების სიტყვაა, მაგრამ ქართულიდან უნდა იყოს შესული სომხურში, როგორც ეს აღნიშნული აქვს ცნობილ სომეხ მკვლევარს აჭარიანს.

წინარეკლასობრივი საზოგადოებისა და წინარესამართლის დონეზე, ერთ ხანს მაინც, წესი და კელი არაიშვიათად ერთმანეთის სინონიმად იხმარებოდა. „წესი“ რომ სჯულის სინონიმად გვევლინებოდა, ეს წერილობითი ძეგლებითაც დასტურდება. „სჯული“ კი გულისხმობდა როგორც სამართალს, ასევე რელიგიასაც, როგორც საერო, ასევე სასულიერო ქცევის წესს.

ძნელია დაიძებნოს ენა, გარდა ლათინურისა, სადაც ხელს ჰქონდეს იმდენი იურიდიული მნიშვნელობა, როგორც ქართულში.

კელი ქართულში ნიშნავდა თანამდებობას, ძალას, უფლებას და, ჩვენი აზრით, საკუთრებას, წესსა და სამართალსაც კი.

კელი – „მანუს“ რომ საკუთრებას აღნიშნავდა ადრეული ხანის ლათინურში, ეს აღნიშნული აქვს დიდ მეცნიერს რუდოლფ იერიხტს.

სავარაუდოა, რომ წინაფეოდალური ხანის საქართველოში „კელი“ ნიშნავდა არა მარტო უფლებას, და საკუთრებას, არამედ წესსა და სამართალსაც, ასეთი პოლისემიურობა დამახასიათებელი იყო არა მარტო ქართულისათვის, არამედ სხვა განვითარებული ენებისთვისაც. ლათინურში, მაგალითად „რეს“ სიტყ-

1 ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 542.

ვას, რომლის ძირითადი მნიშვნელობა ნივთია, ათზე მეტი სხვა მნიშვნელობაც აქვს.

რუსთველურ სტროფში — „გაჭრა ხელია მიჯნურთა“ — აისახა „კე-ლის“ ჩვენთვის დღემდე უცნობი მნიშვნელობა ქცევის წესისა და სამართლისა, თუ სამართლად ჩავთვლით ქცევის წესთა სისტემურ ერთობლიობას.

ქართულ ენას ენათა დიდი უძრავლესობისაგან გამორჩევეს ის გარემოება, რომ ის ინგლისურის გვერდით ერთმანეთისაგან მკვეთრად არჩევეს უფლებასა და სამართალს, რაც ენისთვის დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს. თავდაპირველად უფლებას გამოხატავდა ხელმწიფება, ე. ი. უფლება მაინც უკავშირდებოდა კელს. მით უფრო მოსალოდნელია, რომ არქაულ ხანაში კელი გამოხატავდა უფლებას და სამართალს დაუნაწევრებლად და მხოლოდ მოგვიანებით წერილობით ისტორიის ხანაში კელი და კელმწიფება სინონიმებად იქცა, ხოლო სამართალმა თავისი სოციალურ-პოლიტიკური არსის გამოსახატავად ჯერ „წესში“, „რიგში“ „ჯერში“, „წეს-რიგში“ და ბოლოს „სამართალ“ სიტყვაში გადაინაცვლა (გარ-და-იცვალა).

ხელის (კელის) წესის მნიშვნელობით ხმარების სხვა შემთხვევასაც ვხვდებით შოთა რუსთაველთან:

„დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“ (16).

ზემოთ მოტანილ სტროფში „ხელად აქვს“ ნიშნავს წესად აქვს.

სავარაუდოა, რომ ადრეკლასობრივი საზოგადოების დონეზე სამართალს გამოხატავდნენ „კელი“ სიტყვით, ამ დროს „კელი“ ნიშნავდა სამართალსაც და უფლებასაც. მოგვიანებით სამართლის ცნებას გამოხატავდნენ „წესი“ სიტყვის მეშვეობით, ხოლო წესი თანდათან შეცვალა „სამართალმა“.

ქართული ოთხთავის უძველესი ხელნაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადრეფეოდალური ხანის ქართული საკმაოდ მდიდარი იყო იურიდიული ტერმინებით, ისეთებით, როგორცაა „სამართალი“, სჯა, შჯა, სჯულ, შჯულ, განსჯა, დასჯა, მოსაჯულ, მსაჯულ, წინამოსაჯულ (მოცილე, მოპასუხე), სასჯელ, კელმწიფება, შესმენა (ბრალის დადება) და შინა-განცემა (დალატი), შფოთ (ამბოხება) და ა. შ. ამასთან, შჯულ, სჯულ, რჩულ კანონის მნიშვნელობით იხმარებოდა უპირატესად.

„მიიყვანეთ თქვენ ეგე და შჯულისაებრ თქუენისა განიკითხეთ (ი. 18, 31). შოთა რუსთაველს „კელის“ უძველესი მნიშვნელობა დაფიქსირებული აქვს, როგორც ჩანს, ხალხური მეტყველების ზეგავლენით და არა წერილობითი ძეგლების მიხედვით.

ასეა თუ ისე, რუსთაველმა თავის პოემაში შემოგვინახა ხელის (კელი) ერთ-ერთი უძველესი მნიშვნელობა.

### „ქალაქი მოფიცარი ამოკვეთილია“

(თანამოფიცართა ინსტიტუტის ამოკვეთა ქალაქში)

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში<sup>1</sup> „მოფიცარი“ თანამოფიცრის მნიშვნელობით იხმარება. ამ გაგებით არის ის ნახმარი ხსენებული საკანონმდებლო ძეგლის 114-ე მუხლშიც, სადაც ვკითხულობთ: ქალაქში მოფიცარი ამოკვეთილი

1 „სამართალი ვახტანგ მეექვსისა“, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 223.

რის რაგინდ დიდ საქმეს, სისხლსა თუ ბევრს ვალსა და საქონელს ან მოქალაქე გარეშე კაცს სწამობდეს ან გარეშე კაცი მოქალაქეთ სწამობდეს, თავეკით აძესთ ფიცი, მოფიცარს ერთმანეთს ვერ შეუგდებენ“.

მაშასადამე, კანონმდებლის ნების თანახმად, ქალაქში თანამოფიცრების მეშვეობით თავის მართლება ან ბრალის დადება, რაიმეს მტკიცება მიუღებელი იყო, რაგინდ დიდი საქმე უნდა ყოფილიყო გასარჩევი. საერთოდ, „მოფიცრებს“ მხოლოდ მნიშვნელოვანი საქმეების გარჩევის დროს თუ მიმართავდნენ, იმ შემთხვევაში თუ „თავეკატა“ მოჩივართა თუ მოპასუხეთა ფიცი არ იყო საკმარისი. საერთოდ, როგორც წესი, ფიცის, როგორც მტკიცებულების უპირატესად გამოყენების უფლება, მოპასუხეს გააჩნდა. მომჩივან-მოსარჩლეს მხოლოდ გამოწაკლისის სახით თუ დააფიცებდნენ.

ის გარემოება, რომ მოსარჩლე-მომჩივანის ფიცს ერიდებოდნენ, ეს გასაგებია. ფიცის, როგორც მტკიცებულების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში უსინდისო და უღმერთო მომჩივანს (მოსარჩლეს) დიდი ზიანის მოტანა შეეძლო საზოგადოებისათვის. სხვა რომ არაფერი, ამ გზით შეიძლებოდა დიდი უძრავ-მომრავი ქონების შეძენა. საჭირო იყო მხოლოდ ცრუ ფიცი. გავიხსენოთ ჩაპელუტო ჯ. ბოკაროს „დეკამერონიდან“.

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად საქართველოში მხოლოდ ღვთის-მორწმუნე და პატიოსნებით ცნობილი პიროვნების ფიცი ითვლებოდა სანდოდ. ზემოხსენებული სამართლის წიგნის მიხედვით, მოსამართლემ გასინჯვით უნდა ფიცის საქმე გაარიგოს: „თუ კაცს ხედევდეს, რომ ღმერთის მოშიში არ არის და რჯულისა არა იცის რა, იმას ფიცს ნუ დასდებ, ბრძენო მოსამართლევე, ხედავ, რომ არას ინაღვლის“ (237-ე მუხლი).

ფიცით მხოლოდ ისეთ კაცს ჰქონდა თავის მართლების უფლება, რომლის მიმართაც არ შეიძლებოდა გულგება, რომ ის მატყუარა და ცრუმოფიცარია. როგორც თავეკატა, ჩვენი გაგებით, მოფიცართა, ასევე თანამოფიცართა ფიცს მხოლოდ მაშინ ჰქონდა შეურყეველი მტკიცების ძალა, როდესაც „მოფიცარი დროული, ღმერთის მცნობელი, სჯულის მეცნიერი“ იყო. მაშასადამე, მოხუცებული, ღვთის მორწმუნე და ქრისტიანული სარწმუნოების მცოდნე, ნღობის ღირსი პიროვნება თუ იქნებოდა, მის ფიცს ენდობოდნენ. სასამართლო პრაქტიკის მასალების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ქართული სასამართლო ფართე ახსნა-განმარტებას აძლევდა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის ცალკეულ მუხლებს და ნღობის ღირსად თვლიდა, პატიოსანი, კარგი რეპუტაციის მქონე არაქრისტიანების ფიცსაც. სასამართლო პრაქტიკის მასალებით ირკვევა, რომ პრინციპში ქართული სასამართლო ღებულობდა სანდო მტკიცებად, როგორც ებრაელ ცალკე მოპასუხეთა — „თავეკატა“ ფიცს, არამედ ებრაელებს ანიჭებდა უფლებას, ჰყოლოდათ საკუთარი ებრაელი თანამოფიცრებიც. ამავე დროს, ქართველი „დედაკაცის“ და ალბათ სხვა ეროვნების „დედაკაცთა“ ფიცს არ ენდობოდნენ. ამასთან დაკავშირებით ვახტანგ მეექვსის „სჯულის“ 239-ე მუხლით განსაზღვრული იყო, რომ „დედაკაცს არ ეფიცების, არც გარეშე კაცი შეეგდების, ამისთვის რომე გარეშე კაცს არ გაუტყდეს, არც არას მისის ფიცისას ინაღვლის, უნდა მოსამართლემ მოუძებნოს, რაც რამ საყვარელი ჰყვანდეს, ძმა თუ შვილიანი სიძე, ის შეაკლოს“.

(დასასრული იქნება).



ინტელიგენციის მხარეზე იტყობინებოდა. ახლა კი მათი მხარეზე იტყობინებოდა. ახლა კი მათი მხარეზე იტყობინებოდა. ახლა კი მათი მხარეზე იტყობინებოდა.

# რწმენა მისი სიცოცხლის მძლავრი სტიმული და გარანტია

როდესაც გუსურს საგაზეთო სტატია მიუძღვნა ისეთ არაორდინალურ პიროვნებას, როგორც პროფესორი შიმონი ტყეშელაშვილი, პიროვნული ემოცია, მისდამი უაღრესად დიდი სიყვარული და პატივისცემა გვერდზე უნდა გადადო.

საშუალო სკოლა გ. ტყეშელიძემ ოქროს მედლით დაამთავრა. ამის შემდეგ სწავლა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. სტუდენტობის წლებშივე მისი ნიჭიერება, შემოქმედებითი აზროვნების უნარი და სიბუჯითავე შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სასაქაველო მეცნიერ-იურისტებს — პროფესორ თინათინ წერეთელსა და ვლადიმერ შაყაშვილს (თავად ისინი ფართოდ და ღრმად განსწავლული იურისტების, საქვეყნო განთქმული ავტორების ლარსა და ანდრონიკაშვილის მოწაფეები იყვნენ). ამან გადაწყვეტი რილი შეასრულა გ. ტყეშელიძის მეცნიერული კვლევა-ძიების მიმართულების განსაზღვრისათვის. ასეთ მიმართულებად იქცა სისხლის სამართლის მეცნიერების საკანონო პრობლემები. ამის უპირველესი დასტურია თინათინ წერეთლის თანაავტორობით გამოქვეყნებული მონოგრაფია „მოძღვრება დანაშაულებზე“ (1969), რომელშიც განხილულია დანაშაულის სოციალური და იურიდიული ნიშან-თვისებები, გასუქებულია დანაშაულის შემადგენლობის რაობა და მისი მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, გამორკვეულია დანაშაულის ობიექტისა და ობიექტური მხარის საკითხები, შეჯამებულია სისხლის სამართლის მეცნიერების მიღწევები, ასახულია ავტორთა პოზიცია სადისკუსიო საკითხებისადმი.

მართალია, გ. ტყეშელიძის გამოკვლევები უპირატესად მიძღვნილია სისხლის სამართლის პრობლემებისადმი, მაგრამ მათი განხილვა ორგანოდ შერწყმულია სამართლის თეორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეთიკის, სოციოლოგიის მომხიჯავე საკითხებთან. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფია სასამართლო პრაქტიკისა და სისხლის სამართლის კანონის ურთიერთობის შესახებ (1975 წ.). ეს პრობლემა ჩვენს ლიტერატურაში არსებითად სწორედ მან გააშუქა. გ. ტყეშელიძემ დაასაბუთა, რომ სასამართლო პრაქტიკა პრეცედენტული სამართლის ნორმებს შეიცავს. ასეთ ნორმებს კი დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც კანონის სწორი შეფარდების, ისე კანონმდებლობის სრულყოფისა და განვითარებისათვის. ამ ნაშრომებზე ვრცელი რეცენზია გამოქვეყნდა უნგრეთის იურიდიულ ჟურნალში.

პირველად ჩვენს ლიტერატურაში სწორედ გ. ტყეშელიძემ გამოარკვია ღირებულების თეორიის (აქსიოლოგიის) თვალსაზრისით სამართლებრივი ნორმის არსი, სტრუქტურა და დანიშნულება. ამით მან საიმედო ვაზა დასახა მართლწინააღმდეგობისა და დანაშაულის შემადგენლობის მიმართების პრობლემის გადასაწყვეტად.

გ. ტყეშელიძემ ღრმად აქვს გაცნობიერებული ის უდავო დებულება, რომ სწავლული იურისტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ თეორეტიკოსი, რომლისთვისაც განყვებულ ლოკატურ კონსტრუქციებს თავისთავადი მნიშვნელობა აქვთ. იურიდიულ კონსტრუქციებს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და ღირებულება, როცა ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან სოციალურ პრაქტიკას. ამ მხრივ ნიშანდობლივია პროფ. თ. წერეთელთან ერთად მისი მეცნიერული რედაქტორობითა და მონაწილეობით გამოქვეყნებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარები (1975 წ.). აქვე მოსახსენებელია მისი გამოკვლევა დანაშაულისა სიმრავლისა და მისი ნაირსახეობის — რეციდივის შესახებ (1965 წ.). ცხადია, ღღვსაც არ დაუკარგავს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ვ. შაყაშვილთან ერთად გამოცემულ ნაშრომს, რომელიც შექრთაშეუბნისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შეეხება (1964 წ.).

როგორც ჩვენი, ისე უცხოური კანონმდებლობისა და იურიდიული ანალიზის მეთოდების ცოდნა, სასამართლო პრაქტიკის განზოგადოების უნარი გ. ტყეშელიძეს შესაძლებლობას აძლევს უხეიშმდევანელოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემუშავებულ კომისიას. იგი უდიდესი ყურადღებით ეკიდება ამ პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებს.


არ შეიძლება საგანგებოდ არ მოვიხსენიოთ გ. ტყემელიძის პედაგოგიური მოღვაწეობა იუ-  
რდიულ ფაქტორებზე. მისი ღვაწლიანი თუ სემინარები სტუდენტთა ახალგაზრდობის დიდ ინტერესს  
იწვევს. გ. ტყემელიძის მოხსენებები და გამოსვლები საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერ-  
ენციებზე გამოიჩინა პრობლემების ორიგინალური გაშუქებით. სამაგალითოდ დავასახელებთ ზერ-  
მანუელ ენაზე სამცხე-ჯავახეთის კრებულში მოთავსებულ მის ნაშრომს, რომელიც მოსამართლის შეხედუ-  
ლებას შეეხება (1982).

და აღბათ, რაც მთავარია, გ. ტყემელიძე უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს იურისტის ზნე-  
ობრივ პრინციპებს. ამიტომ იგი საკუთარი ქვევით ყოველთვის ცდილობს იყოს ადამიანობის, უან-  
გარობის, მაკადრობის, მორალური და ზნეობრივი ნორმების. მოთხოვნათა ზუსტი შემსრულებელი. მას  
ღრმად სწამს, რომ რაგინდ ნიჭიერი და ბეჯითი უნდა იყოს პიროვნება, იგი ვერ გახდება ნამდვილი  
იურისტი, თუ იმთავითვე არ ჩამოყალიბდა, როგორც სანიშნო მოქალაქე, სპეციალი, პრინციპული,  
შეუპოვარი მსახური სამართლიანობისა, ჰუმანიტური მამულიშვილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა  
და კრიმინოლოგიის ფაქულტეტის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი  
ტყემელიძე 70 წელი ასეთი რწმენით ცხოვრობს. ეს რწმენა მომავალში მისი კიდევ უფრო სან-  
გრძობი სიცოცხლის მძღვარი სტიმული და გარანტიაა.

**მოთარ. გამგზავნილია, მხნა დავითიშვილი, მიხედა უბრახედიძე, პროფესორი.**

გაზე „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 25 თებერვალი.





ჩვეულებრივ სულიერ ატმოსფეროში, გალაკტიონის, შალვა დადიანის თუ სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა უშუალო მონაწილეობით.

იმიტაც ბედნიერი იყო, რომ მან თავად შექმნა შესანიშნავი ოჯახი უსათნოეს ქართველ მანდილოსანთან, ქალბატონ გულიკო მეტრეველთან ერთად. აქ ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ მათი შვილები, თამარი და უდროოდ დაღუპული გია; იზრდებიან შვილიშვილები — ნინო და მარიკა.

უდიდესი ბედნიერების მომტანი იყო ბატონი ზურაბისათვის განუყრელი მეგობრების ფართო წრე, რითაც იგი სულდგმულობდა და სამართლიანად ამაყოფდა.

სანუკუვარი ხანა იყო მისი ცხოვრებისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტსა და მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის პერიოდი, როდესაც სამართლის დარგის საიდუმლოებებს იგი ეუფლებოდა მეტნიერული აზრის ნამდვილი კორიფეების, გამოჩენილი ქართველი და რუსი იურისტების ხელმძღვანელობით.

შემდეგ — პროფესიული მოღვაწეობის ფართო ასპარეზი, ნაყოფიერი საქმიანობა და სათანადოდ დაფასება ადვოკატად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელად, იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარედ, ჟურნალ „სამართლის“ რედაქტორად მუშაობისას.

უზადოდ და უზინჯოდ გამოიარა ბატონმა ზურაბმა ეს გრძელი და რთული გზა ისე, რომ მის სახელსა და ღირსებას ოდნავი ჩრდილიც კი არ გაჰკარებია. ეს იყო სწორუბოვარი მაგალითი უმწიკვლო და მაღალპროფესიული მოღვაწისა, რომელმაც უდავოდ სასიკეთო კვალი დაამჩნია ქართულ სამართლებრივ სინამდვილეს. ამიტომაც იყო იგი ამაყი და ბედნიერი. სრული უფლებაც ჰქონდა...

განსაკუთრებული იყო ბატონი ზურაბის მეგობრობა და თანამშრომლობა კულტურის სამყაროს წარმომადგენლებთან, მეტადრე — სახელოვან ქართველ მწერლებთან. ეს ოჯახურ ტრადიციადაც მოსდგამდა, მაგრამ, იმავდროულად, შთაგონებული იყო მისი ფართო განათლებითა და ცხოველი ინტერესით ყოველივე ამაღლებული სადმი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მწერლობა მისთვის მშობლიური სტიქია იყო. ეს გარემოება მან ოსტატურად დაუკავშირა თავის ძირითად პროფესიას — სამართლის მსახურებას. საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად მის მიერ იურისტთა კავშირის თაოსნობით გამართული უაღრესად საინტერესო და სასარგებლო შეხვედრები, ისევე როგორც სხვა ერთობლივი ღონისძიებანი, უთუოდ ამშვენებენ და ამდიდრებენ ქართული სამართლებრივი კულტურის ისტორიას.

ზურაბ რატიანი, გასლდათ დახვეწილი ინტელიგენტი, ყოველთვის გალანტური და ელეგანტური; მისგან სჭვიოდა უდიდესი შინაგანი კულტურა.

მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი იყო, მაგრამ სხვა ნიჭთა შორის ყველაზე მეტად იგი მაინც სიყვარულის ნიჭით გამოირჩეოდა. თვით საყოველთაო ვნებათაღელვის ვითარებაში ახერხებდა, შეენარჩუნებინა ქართული კეთილშობილება, იუმორი და განუმეორებელი პიროვნული სიტბო, როგორც სხვათა სიყვარულისა და მათზე ზრუნვის დაუშრეტელი წყარო.

ყოველივე ამის ღირსეული მისაგებელია ის საყოველთაო სიყვარული, რომლითაც საქართველომ გააცილა ზურაბ რატიანი არდავიწყების გზაზე.

წიგნობის ბიბლიოთეკის ნომერი 280  
№ 99  
27/XII  
80





ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ